

ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი

თ ა მ ა რ მ ი ქ ა კ ე

**იოსებ ბაქრაძის  
ცხოვრება და შემოქმედება**



გამომცემლობა „ენიკერსალი“  
თბილისი 2007

იოსებ ბაქრაძის შემოქმედება დღემდე კომპლექსურად არავის უკვლევია. არც მისი ცხოვრება-მოღვაწეობა იყო სათანადოდ შესწავლილი.

მწირი საარქივო მასალების, მის თანამედროვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებების საფუძველზე წიგნში გადმოცემულია ავტორის სირთულეებით აღსავსე ცხოვრების გზა, მოხშობილია ახალი ფაქტები ბიოგრაფიიდან.

წარმოჩენილია მიუიწყებელი პოეტისა და მთარგმნელის შემოქმედების ანალიზი.

რედაქტორი      გიორგი აბაშიძე

რეცენზენტები:    მაია წერეთელი  
                             მანანა ბარათაშვილი

© თ. მიქაძე, 2007

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2007

თბილისი, 0128, ი. აკისაძის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-99940-61-31-0

იოსებ ბაქრაძე – XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თანამონაწილე, რადიკალურად მოაზროვნე პიროვნება, უმართებულოდ მივიწყებული პოეტი, მთარგმნელი და პუბლიცისტი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მწერლობაში იოსებ ბაქრაძის ლიბერატორული მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო, მან ვერ მიიპყრო მკითხველთა სათანადო ყურადღება და მისი მთლიანი შემოქმედება ლიბერატორული კრიტიკის სერიოზული მსჯელობის საგანიც კი არასოდეს ყოფილა.

რა იყო ამის მიზეზი?

ამისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მწერლის ორიგინალური თუ ნათარგმნი ნაწარმოებების უმეტესობა ქვეყნდებოდა ფსევდონიმებით და მკითხველმა არ იცოდა მათი ავტორის ვინაობა.

მეორე მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ პოეტის თხზულებანი მისი სიცოცხლის დროს არ ყოფილა ერთად თავმოყრილი და ცალკე წიგნად გამოცემული.

მესამე მიზეზად უნდა ჩავთვალოთ მწერლის პოეტური ქმნილებების მხატვრული მხარე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სწრაფად განვითარდა ქართული ლექსის კულტურა, გამდიდრდა პოეტური აქსესუარი, მოხდა ძირეული ცვლილებები ლექსის მეტრისა და რიგმის ნაირსახეობებში, გამოჩნდნენ მაღალი რანგის შემოქმედნი, სწორედ ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვა თვალსაჩინო პოეტები, რომელთა ფონზეც დაირჩილნენ საშუალო დონის მწერლები, მათ შორის იოსებ ბაქრაძეც.

მეოთხე მიზეზს იოსებ ბაქრაძე თვითონ აღნიშნავს ერთ გამოუქვეყნებელ ფელეტონში: „ჩვენი ქართველი კაცი არც ერთ საზოგადო საქმეს ისე არ ეგანება, როგორც მწერლობას. ჩვენი საზოგადოება არც ერთ მოღვაწეს ისე არ აფასებს, როგორც მწერალს. განსვენებული მიხეილ ყიფიანი (იგულის-

ხმება ცნობილი ხალხოსანი მწერალი და მთარგმნელი მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი – თ.მ.) ქალაქში რომ ჩამოასვენენ დასაკრძალად, ბევრმა არც კი იცოდა, ვინ იყო იგი და რა ღვაწლი მიუძღოდა ქართველი საზოგადოების წინაშე. რატომ? იმიტომ რომ ის ჩუმად და მღუმარედ მოქმედებდა თავისი ქვეყნის წარმატებისათვის და ჩუმად მომუშავეს ბევრი ვერ დაინახავს“. მწერლის ეს სიტყვები კი ისე ქლერს, თითქოსდა თავის თავზე დაეწეროს. მართლადღა იგი ხომ „ჩუმად და მღუმარედ მოქმედებდა თავისი ქვეყნის წარმატებისათვის“ და ჩუმად მომუშავე ბევრმა ვერ დაინახა.

იოსებ ბაქრაძის ცხოვრება-მოღვაწეობა სათანადოდ არ იყო შესწავლილი. მწირი საარქივო მასალების, მის თანამედროვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებების საფუძველზე ნაშრომში გადმოცემულია იოსების წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება, მოხმობილია ასალი ფაქტები ბიოგრაფიიდან.

პოეგს დიდი სიძნელეებით უხდებოდა თავისი ნაწერების გამომხეურება. ცენზურა საკმაოდ მკაცრად განიხილავდა არა მარტო ორიგინალურ თხზულებებს, არამედ უცხო მწერალთა მისეულ თარგმანებსაც. გექსტიდან აგდებდა მისთვის „საეჭვო“ ადგილებს ან საერთოდ კრძალავდა ნაწარმოებს, თუ მასში შეიმჩნეოდა ეროვნული ან სოციალური უსამართლობის რაიმე ნიშნები.

სწორედ ცარისგული რეჟიმისა და ცენზურის ღვენის გამო ავეგორი იძულებული იყო ამოფარებოდა ლიგერატურულ ნიღაბს და ფსევდონიმებით გამოექვეყნებინა თავისი ნაწერები.

ფსევდონიმების და ინიციალების ავეგორთა საბოლოო დაღვენის შემდეგ გამოვლინდა პოეგის ორიგინალური თუ ნათარგმნი არა ერთი ნაწარმოები.

იოსებ ბაქრაძის ფსევდონიმები პირველად შეისწავლა სოლომონ ყუბანეიშვილმა, შემდეგ პოეგის ფსევდონიმები განიხილა ქეთევან ბურჯანაძემ.

ჩვენთვის საინტერესო ფსევდონიმებით დაინტერესებულა იოსებ გრიშაშვილი. მართალია, აღნიშნულ საკითხზე მას გამოკვლევა არ დაუწერია, მაგრამ პოეგის ლექსთა კრებუ-

ლის საკუთარ ეგზემპლარზე მიუწერია მეგად ყურადსაღები შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად ჩავთვალეთ.

გემოაღნიშნულ და სხვადასხვა დამატებითი მასალის შესწავლის შედეგად საბოლოოდ ნათელი გახდა მწერლის ფსევდონიმური ხელმოწერები (ელბაქიძე, სოსიკო ოქიაშვილი, გ. თენაძე, გ. ციმაკურიძე, რომანიძე), გაირკვა ისიც, რომ ქართულიდან კორესპონდენციების გამომგზავნი „სოსიკო“ არის გლეხი პოეტი იოსებ დავითაშვილი და არა იოსებ ბაქრაძე.

იოსებ ბაქრაძის შემოქმედების განხილვისას ზოგადად არის შესწავლილი ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, ნაჩვენებია მწერლის დამოკიდებულება აღნიშნულ მოძრაობასთან. დაწერილებით არის გაანალიზებული იოსებ ბაქრაძის შემოქმედების ძირითადი მოტივები და თემატიკა: ეროვნული მოტივი, სოციალური საკითხი, საგრფიალო ლირიკა, ბუნების აღწერა, საყმაწვილო ნაწარმოებები და ა. შ.

თავის პრაქტიკულ მოღვაწეობასა და მხატვრულ ნაწარმოებებში იოსებ ბაქრაძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა სოციალურ საკითხებს, ამიგომ, შემთხვევითი არ არის, რომ მისი შემოქმედების ძირითადი მოტივი სწორედ სოციალური მოტივია. პოეტი ნათლად ხედავს და მთელი სიმძაფრით განიცდის შექმნილ უსამართლო სოციალურ ურთიერთობას, გლეხების უფლებააყრილ მდგომარეობას და მკითხველშიც აღძრავს დაბეჩაევებისადმი სიბრალულის გრძნობას და გარკვეულ სიმპათიას.

იოსებ ბაქრაძის ეროვნულ მოტივზე შექმნილი ლექსები დამუხტულია იმ დიდი ეროვნული სულისკვეთებით, რომელიც ქართულ მწერლობაში სამოციანელებმა შემოიგანეს. მათი მთავარი მიზანდასახულება იყო ბრძოლა ქართველი ხალხის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.

ქართულ მწერლობას მთარგმნელობითი კულტურის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. იმ ხანად საუკეთესო გრადიციების აღმდგენ-გამგრძელებლები იყვნენ გამ. „ღროება“, „იერია“, რომლებსაც წლების განმავლობაში მეთაურობდნენ დიდი ილია და ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვა-

წე სერგეი მესხი. „ივერია“ „დროების“ მესვეურთა ამ დიდ ეროვნულ წამოწყებას მხარში ედგა იოსებ ბაქრაძეც.

გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ მწერლის არქივში შემონახულია სხვადასხვა ავტორის ნათარგმნი თხზულებები, რომლებიც აჭრელებულია ბაქრაძის მიერ შეტანილი ჩამატება-გასწორებებიც.

თავად იოსებმა უცხო ენებიდან მხოლოდ რუსული იცოდა. მისი ყველა თარგმანი შესრულებულია რუსული თარგმანების მიხედვით. ქართული ტექსტების შეჯერება რუსულ თარგმანებთან საშუალებას ვვაძლევს გავიგოთ, თუ რა მეთოდით ირჩევდა და თარგმნიდა უცხოელ ავტორთა თხზულებებს.

იოსებ ბაქრაძე თითქმის არსად ვვაძლევს სიგყვასიგყვით თარგმანს. ზოგ შემთხვევაში იგი იძლევა თავისუფალ თარგმანს, ზოგჯერ კი მთარგმნელი მიყვება სათარგმნ დედანს, მაგრამ თარგმანს აძლევს ეროვნულ იერს. პოეტი სათარგმნად ირჩევს ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ახლოსაა მის სულიერსამყაროსთან, მის იდეურ მისწრაფებებთან.

იოსებ ბაქრაძემ ყველაზე მეტი თარგმნა ბაირონისა და ჰაინეს თხზულებები - ბაირონის 30 ლექსი და ჰაინეს მრავალი ლექსი და პოემები „ღონ-ქუანი“ და „ჩაილდ ჰაროლდი“. წლების განმავლობაში გულმოდგინედ შესრულებულმა თარგმანებმა შეადგინა უცხოელ ავტორთა ერთგვარი „მცირე ანთოლოგია“, რომელშიც ლიტერატურების მიხედვით შესულია შემდეგი მწერლები:

ინგლისური ლიტერატურიდან – უოლტერ სკოტი, გომას მური, ბაირონი, გომას ჰუდი, ელფრიდ ტენისონი

გერმანულიდან – ფრიდრიხ შილერი, ჰაინრიხ ჰაინე

ფრანგულიდან – ვიქტორ ჰიუგო, პიერ ლიუპონი

ამერიკულიდან – ჰენრი უოდსუორთ ლონგფელო

სერბიულიდან – ივან დრაგაშევიჩი

რუსულიდან – ლერმონტოვი, მინაევი, ნემიროვიჩ-დან-

ჩენკო

სომხურიდან – სუნდუკიანი, თუმანიანი, პატკანიანი და სხვა.

ვენერა კავთიაშვილი მართებულად აღნიშნავს, „იოსებ ბაქრაძემ ისე დაუახლოვა ჰაინეს ლექსი „ტურფავ, ტურფავ“ ქართული ხალხური ლექსის ბუნებას, რომ არა მარტო საქართველოში, თვით გერმანულ მწერალს ადოლფ ღირსაყ ქართული ხალხური ლექსი ჰგონებია იგი და ქართულიდან გერმანულ ენაზე უთარგმნია:

„ტურფავ, ტურფავ! რას უყურებ,  
მოაცურე ჩემსკენ ნავი,  
ერთად დავსხლეთ და ვუყუროთ,  
როგორ არხევს წყალს ნიავი“.

იოსებ ბაქრაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ზოგადი შეფასებიდან ირკვევა, რომ მის მხატვრულ თარგმანებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რათა მკითხველთა ფართო მასებს გაეცნო დასავლეთ ევროპის მწერლები, დღეს კი უმეტეს მათგანს, შესაძლოა მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს.

აღსანიშნავია იოსებ ბაქრაძის მოღვაწეობა დრამატული თხზულებების თარგმნის დარგში. მას თეატრი ხალხის გათვითცნობიერების ერთ-ერთ უმთავრეს გზად მიაჩნდა. თეატრს თვლიდა ძლიერ გრიბუნად და ცარიზმის დამპყრობელური პოლიტიკის საწინააღმდეგო მეტად მოხერხებულ იარაღად.

თავის დროზე მისმა თარგმანებმა გაამდიდრა ქართული თეატრის რეპერტუარი და გარკვეულად ხელი შეუწყო ქართული თეატრის განვითარებას.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით ვჩერდებით იოსებ ბაქრაძის ნაწარმოებთა მხატვრულ მხარეზე. პოეტის შემოქმედების მხატვრული ღირებულების შეფასებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ხალხოსანი მწერლების თხზულებებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისება. მათ შემოქმედებაში ყოველთვის არსებითია ნაწარმოების იდეური მხარე, თხზულების შინაარსი, მასში გადმოცემული საზოგადოებრივი ინტერესები; ანუ ხალხოსანი მწერლები პირველ რიგში

აყენებდნენ თხზულების იდეურობას, მსაგვრული მხარე კი შედარებით ნაკლებად ჰქონდათ გათვალისწინებული.

ლიგერაგურული ცხოვრების, როგორც ერთი მთლიანი პროცესის განხილვისას უნდა ვსწავლობდეთ ყველა მწერალს, როგორც დიდს, ისე პაგარას, როგორც არ უნდა იყოს დღეს მათი ნაწარმოებების მსაგვრული ღირებულება, თითოეულ მათგანს თავისი წვლილი შეჰქონდა სალიგერაგურონის შექმნაში; პოულობდნენ რა თავისი განსაკუთრებული დაკვირვებებისა და ინტერესების სფეროს, იძლეოდნენ მასალას უფრო ფართო განზოგადებისთვის. ამდენად, მათი მნიშვნელობა დიდად საპაგიაოა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა შეგვევსო ის ხარვეზები, რაც საკითხის კვლევასთან იყო დაკავშირებული. ამიგომ მთლიანად შევისწავლეთ მწერლის ლიგერაგურულ-მსაგვრული მემკვიდრეობა. გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიგერაგურულ მუზეუმში დაცულ მწერლის არქივსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაცვებნეთ, აღვსუხეთ, შევკრიბეთ და გამოსაცემად მოვამზადეთ მწერლის ნაწერები, თარგმანები, წერილები.

ჩვენი მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ახალი მასალების მოძიებით შევისწავლეთ მწერლის ბიოგრაფია;
2. შევკრიბეთ და სისტემაში მოვიყვანეთ იოსებ ბაქრაძის ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოებები;
3. მწერლის არქივსა და XIX საუკუნის მიწურულის ქართულ პერიოდიკაში გამოვავლინეთ იოსებ ბაქრაძის თარგმანები;
4. მოვახდინეთ იოსებ ბაქრაძის გექსტის აგრიბუცია;
5. მოვამზადეთ მწერლის მსაგვრულ ნაწარმოებთა კრიტიკული გექსტი, რომელიც დასაყრდენად გამოდგება მწერლის თხზულებათა მეცნიერული გამოცემისათვის;
6. მონოგრაფიულად შევისწავლეთ მწერლის შემოქმედება;
7. განვსაზღვრეთ მწერლის ადგილი XIX საუკუნის ქართული ლიგერაგურის ისტორიაში;



8. შევადგინეთ ბაქრაძის ნაწარმოებთა და მათზე არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. როგორც მოგახსენეთ, წიგნში განვიხილეთ ნაბეჭდი თუ ხელნაწერი ახალი დოკუმენტები და შესაძლებლობის ფარგლებში შევეცადეთ წარმოგვეჩინა იოსებ ბაქრაძის დამსახურება ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების წინაშე.

## საქითხის შესწავლის ისტორიიდან

წინამდებარე თავში მიმოსილულია იოსებ ბაქრაძის ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების შესახებ არსებული ლიგერაგურა, ნაჩვენებია, თუ ვის რა წელილი აქვს შეგანილი მწერლის შემოქმედების შესწავლაში და ზოგადად შეჯამებულია დღემდე რა არის გაკეთებული პოეტის შემოქმედების შესახებ მასალების მოპოვების, გაანალიზებისა და პუბლიკაციის მხრივ, ე. ი. მოკლედ არის გადმოცემული ი. ბაქრაძის როგორც ცხოვრება-მოღვაწეობის, ისე მისი შემოქმედების შესწავლის ისტორია.

კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა ე. ბოსლეველმა (ესტატი მკყელიძემ) თავის რეცენზიაში განიხილა ჟურნ. „ივერიის“ 1881 წლის მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოებები. მან ყურადღება გაამახვილა ი. ბაქრაძის ლექსებზეც. ფაქტიურად ეს არის პირველი წერილი, რომელიც მიძღვნილია პოეტის შემოქმედებისადმი<sup>1</sup>.

საყმაწვილო ჟურნ. „ნობათის“ 1884 წლის მეორე და მესამე ნომრების განხილვისას მიხ. ნასიძე საგანგებოდ შეეხო ი. ბაქრაძის ლექსს „გაზაფხული“. კრიტიკოსი აღნიშნავდა:

„გაზაფხული“ ი. ბაქრაძისა ძალიან სუსტია. ავტორი ისეთი წამლებით და ფერებით გვიხატავს ამ მშვენიერს დროს წლისას, რომლებიც სრულიად არ შეადგენენ მის ქარაქტერისტიკას. რეასტრიქონიან ლექსში უნდა დასახელებულნი იყვნენ ისეთი თვისებანი, რომელნიც მართალია გაზაფხულს ეკუთვნიან მარტო და უკომენტაროდ უნდა გვეუბნებოდნენ, რა დროც იხატება ლექსში. ბ[ატონ] ბაქრაძის „გაზაფხულში“ კი რას ვხედავთ:

„ლაქვარდ ცაბედა მზე ბრწყინავს...  
ხმა ისმის სამხიარულო;  
ყვავილებით ველი ფშვინავს...  
— გამარჯვება ( ) გაზაფხულო!“

<sup>1</sup> „მრომა“, 1882, 27 იანუარი, № 4.

რათაო? ჩვენ ვიგყვით: გამარჯვება, ზაფხულო! და ამით  
ლექსს არა დააკლდება-რა. იგივე მოვლენანი ზაფხულშიაც  
არიან. სულ სხვა არის, როდესაც ამბობენ:

ტყეს ესხმება ფოთოლი,  
აგერ მერცხალიც ჭყვივის,  
ბაღში ეაზი ობოლი  
მეგის ლხენითა სტირის!“

აქ საჭირო არ არის „გამარჯვება“. ისეც ცხადია: ყოვე-  
ლი სტრიქონი, ყოველი სიტყვა ამტკიცებს, რომ გაზაფხულზეა  
ლაპარაკი და არა ზაფხულზე ანუ შემოდგომაზე“.

ჰაინეს ლექსის „ძილში ვსტიროდი, მე დამესიგმრას“  
ბაქრაძისეულ თარგმანს შეეხო რ. ალისუბნელი (რაქდენ ჩიკ-  
ვაიძე) ზოგადი ხასიათის კრიტიკულ მიმოხილვაში „ჩვენ ლი-  
ტერატურაზე“. იგი წერს: „არ ვიცი, მკითხველო, შენ რასა  
გრძნობ, ამ ლექსის ჩაკითხვის დროს და მე კი ქრუანგელი-  
ვით გამირბენს ხოლმე სიტყბოება ძარღვებში. რა პოეტური  
გრძნობა იმალება მასში. წმინდა გრძნობა, გრძნობა ადამიან-  
ნისა. რა მშვენიერი თარგმანია! თითქოს მთარგმნელი სულში  
ჩაძერომოდეს ჰაინეს“.

ივ. როსტომაშვილის რედაქციით გამოცემულ „რუსულ-  
ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ მწერლის ცნობებზე  
დაყრდნობით მოცემულია ი.ბაქრაძის პირველი ბიოგრაფია.  
მასში ვკითხულობთ: „ბაქრაძე იოსებ ზოსიმეს ძე – ჩვენი  
დროის ცნობილი მთარგმნელი ბაირონისა ქართულად...  
„დროებიდამ“ დაწყებული თითქმის არც ერთი ქურნალი და  
გაზეთი არ ყოფილა, რომ იოსებს მცირე რამ მონაწილეობა  
არ მიეღოს ლექსებისა და სტატიების, თუ კორესპონდენციე-  
ბის წერითა“.

<sup>1</sup> შიხ. ნასიძე, პედაგოგიური მოსაზრებანი, „ივერია“, 1884, გვ. 68–90;  
გადაბეჭდილია წგ-ში: „რეეოლუციამდელი საყმაწვილო ლიტერატურის  
კრიტიკა“, წ. II, კრებ. შეადგინა შ. ბოცუაძემ, თბ., 1983, გვ. 196.

<sup>2</sup> „თეატრი“, 1885, № № 2–16.

<sup>3</sup> „სალარო ცოდნისა“. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, ივ.  
როსტომაშვილის რედ., წ. II, თფ., 1898, გვ. 217–218.

თხვევაში გამოსჭერეგს სიყვარული სამშობლოსადმი და სიბრალული ღარიბთადმი“ (იქვე). პოეგის საუკეთესო ლექსებს შორის დასახელებულია „ბრძოლა, ძმანო, ბრძოლა მამა-პაპური, თორემ მტრისგან ილუკება მამული“, „არც სახლი მაქვს, არც კარი“ და სხვ. აქვე მთლიანად არის დაბეჭდილი პოეგის პატრიოტული ლექსი „მე ქართველი ვარ!“

ამავე ლექსიკონში ბაირონისადმი მიძღვნილ სტაგიაში კი წერია: „ქართულს ენაზე გადმოთარგმნილია ბევრი თხზულება ბაირონისა, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ გადმოგვცემენ სავსებით ბაირონისებურს კილოს წერისას, მის შემოქმედებითს პოეზიას. ჩვენში მის უკეთეს მთარგმნელად ითვლება იოსებ ბაქრაძე“. იქვე სანიმუშოდ მოყვანილია ბაირონის „ჩაილდ ჰარილდის“ მესამე გალობის ი. ბაქრაძისეული თარგმანი.

ენციკლოპედიურ ლექსიკონში შეგანილ სტაგიას ავტორი არ აწერია, მაგრამ ტექსტის დაკვირვებული შესწავლის შედეგად ცნობილი ხდება მისი ვინაობა. როდესაც ანონიმი ბიოგრაფი გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას პოეგის ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებების პუბლიკაციების შესახებ, დასძენს: „პირველი მისი ორიგინალური ლექსი დაბეჭდილია 1869 წლის „დროებაში“, მაგრამ რა ლექსი ყოფილა ეს, თვითონაც არ ახსოვს“...<sup>1</sup> როგორც საზგასმული სტრიქონიდან ჩანს, საუბარია პირველ პირში, ე. ი. ანონიმი ბიოგრაფი გვაწვდის უშუალოდ მწერლის მიერ მიწოდებულ ცნობებს, ამდენად ეს ცნობები სანდოა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილი ხელმოუწერელი სტაგიები ეკუთვნის თვითონ ი. როსტომაშვილს (სხვა ავტორების სტაგიებს ყოველთვის მოწერილი აქვთ სახელ-გვარი), დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოსებ ბაქრაძეზე დაწერილი სტაგიის ავტორია ლექსიკონის რედაქტორ-გამომცემელი ივანე როსტომაშვილი.

მწერლის გარდაცვალების გამო ვაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში გრ. ყიფშიძე მიუთითებს ი. ბაქრაძის ბი-

<sup>1</sup> „სალარო ცოდნისა“. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, ივ. როსტომაშვილის რედ., წ. II, თფ., 1898, გვ. 211.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 217.

ოგრაფიულ ცნობებს და აღნიშნავს მის ამაგს ქართული მწერლობის წინაშე<sup>1</sup>.

როგორც „ივერიაში“ დაბეჭდილი ნეკროლოგიდან ვგებულობთ, ი.ბაქრაძე „...სიკვდილამდე ქართული კულტურის მოჭირნახულე იყო... გარდა თარგმანების ბეჭდვისა განსვენებული სხვადასხვა რედაქციების „შავ მუშაობაშიც“ იღებდა მონაწილეობას, თუ ხელნაწერების წაკითხვა-გასწორებით, მასალის მომზადებით. საზოგადოდ დიდი მოყვარული იყო ჩვენის მწიგნობრობისა და აგრეთვე მოღვაწე ჩვენი ერის, საზოგადოებისათვის თვითცნობიერების განვითარების ასპარეზზე“<sup>2</sup>.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში კი ნათქვამია: „ახლადგარდაცვალებული იოსები ჩვენში ცნობილი იყო, როგორც მთარგმნელი უცხოელთა ხელოვნური ნაწარმოებებისა. მის თარგმანებიდან უფრო ცნობილია ბაირონისა და პეინეს ლექსები, ვალტერ სკოტის „აივენგო“ და სხვ. ბევრი ლექსი მშვენიერის ენითა და პოეტურად ჰქონია თარგმნილი და მოგიც ისეთი პოპულარული შეიქმნა, რომ ბევრს მისი საკუთარი ეგონა, როგორც, მაგალითად, აღმაფრთოვანებელი ლექსი „ბრძოლა, ძმებო, ბრძოლა მამაპაპური“<sup>3</sup>.

აღ. ხახანაშვილმა „ქართული სიკვდიერების ისტორიის ნარკვევებში“ ნახევარი გვერდი დაუთმო ი. ბაქრაძის ცხოვრება-მოღვაწეობას. იგი წერდა: იოსებ ბაქრაძემ სახელი მოიპოვა ევროპელი ავტორების საუცხოო თარგმანებით. განსაკუთრებით სახელი გაუთქვა მას პოემა „ჩაილდ ჰაროლდის“, რომან „აივენგოს“, გუცკოვის დრამის „ურიელ აკოსტას“ თარგმანებმა. ავტორის მონაწილეობით მის მიერვე არის თარგმნილი სომხურიდან ქართულ ენაზე გ. სუნდუკიანის პიესები: „პეკო“, „ხათაბალა“ და სხვ. ამათ გარდა მან გადათარგმნა რიგი ლექსებისა ჰაინეიდან და ბაირონიდან, დაწერა რამდენიმე ორიგინალური ლექსი, მონაწილეობდა თითქმის

<sup>1</sup> გრ. ყიფშიძე, იოსებ ბაქრაძე [ნეკროლოგი], „ივერია“, 1904, 14 მაისი, № 113.

<sup>2</sup> „ივერია“, 1904, № 115.

<sup>3</sup> „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2496.

ყველა ქართულ გამოცემაში: „მნათობში“, „მოამბეში“, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“. სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ მიეკედლა იმდროინდელ თანამოძმეებს და სიკვდილამდე მონაწილეობდა პრესაში. მაგრამ, ცნობილია, რომ ქართული ლიტერატურა ცუდად უზრუნველყოფს მწერალს. ამით აიხსნება, რომ იგი ლუკმა პურისტების დიდხანს მუშაობდა სასამართლოს უწყებაში, ხოლო ბოლო დროს – თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკში. მისი სახით ქართულ ლიტერატურას ჰყავდა ფაქიზი სტილისტი (тонкий стилист), საუცხოო მთარგმნელი და პაგიოსანი მოამბე<sup>1</sup>.

ხალხოსანმა მწერალმა ს. მგალობლიშვილმა, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო ი. ბაქრაძესთან, მასზე დაგვიტოვა საინტერესო და საყურადღებო მოგონებანი<sup>2</sup>.

1938 წ. სოლ. ყუბანეიშვილმა გამოსცა პოეტის ლექსთა კრებული, რომელსაც წარუძღვარა წინასიტყვაობა. მასში მოცემულია მოკლე ცნობები ი. ბაქრაძის ცხოვრება-მოდებაწობისა და მისი შემოქმედების შესახებ. მკვლევარმა თავი მოუყარა ქარულ პერიოდულ გამოცემებსა და მწერლის საოჯახო არქივში დაცულ მწერლის ნაწერებს და მასობრივი მკითხველისათვის განახორციელა პოეტის ლექსთა კრებულის გამოცემა. მანვე გაშიფრა ი. ბაქრაძის ფსევდონიმების დიდი ნაწილი. წარმოაჩინა ცენზურის მიერ დამახინჯებული ტექსტების ნაწილი. მართალია, გამოცემა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტექსტოლოგიის მოთხოვნებს, მაგრამ მან ქართველ მკითხველს გაახსენა მივიწყებული პოეტი-მთარგმნელი და მკვლევართა შორისაც გააღვივა ინტერესი მწერლის შემოქმედებისადმი<sup>3</sup>.

დასახელებულ გამოცემაზე იმავე წელს (1938) დაიბეჭდა ბ.გოგოტიშვილის დადებითი რეცენზია<sup>4</sup>.

<sup>1</sup> А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. 4-й, М., 1906, с. 536-537; ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე), მეორე გამოც., თფ., 1917, გვ. 313.

<sup>2</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1936.

<sup>3</sup> ი. ბაქრაძე, კრებული, სოლ. ყუბანეიშვილის რედ., თბ., 1938, გვ. 5-11.

<sup>4</sup> გამ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1938, 28 ოქტომბერი, № 248.

მწერლის შეილიშვილმა ქ. ბურჯანაძემ 1972 წ. ქურნ. „ცისკარში“ ბაბუაზე გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნარკვევი, რომელშიც ახალი ცნობებით გაამდიდრა და საოჯახო არქივის უცნობი მასალების საფუძველზე განიხილა იოსების ცხოვრება-მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება<sup>1</sup>.

1977 წ. გამოიცა პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი. წიგნში დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის საყურადღებო მინაწერ-ჩანაწერები მის ბიბლიოთეკაში დაცული ი. ბაქრაძის ლექსთა კრებულის 1938 წ. გამოცემაზე. გრიშაშვილის აღნიშნული შენიშვნები დიდად გამოადგება პოეტის ლექსების კრებულის ახალ გამოცემას.<sup>2</sup>

1986-1987 წლებში გამოქვეყნდა ალ. კალანდაძის „ქართული ქურნალისტიკის ისტორიის“ IV და V ტომები. მეოთხე ტომში ცალკეა გამოყოფილი თავი იოსებ ბაქრაძეზე. მკვლევარმა გულდასმით შეისწავლა პოეტის ნაწარმოებები და განიხილა მისი დამსახურება ქართული ქურნალისტიკის წინაშე. ალ. კალანდაძე ასკენის: „მხატვრულად ეს ნაწარმოებები მდარეა, მაგრამ შინაარსით, იდეურად მათ უთუოდ პქონდათ მნიშვნელობა და მკითხველიც კყავდათ.

ი. ბაქრაძის ლექსები შთაგონებულია მამულის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე ფიქრით...

ი. ბაქრაძე უნივერსალურ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაწარმოების აზრს და სათანადოდ არ ბრუნავდა ფორმაზე, რის გამოც კრიტიკა ულმობელი იყო მის მიმართ...

მიუხედავად ამისა „ივერიის“ მკითხველი, მით უფრო მკვლევარი, ი.ბაქრაძის ნაწერებს გულგრილად ვერ ჩაუვლის...

„ივერიაში“ დაბეჭდილი ი. ბაქრაძის „სიმღერა“, რომელიც ბერნსიდან მომდინარეობს, ხალხმა აიტაცა და სასიმღე-

<sup>1</sup> ქ. ბურჯანაძე, რამდენიმე სიგყვა XIX საუკუნის ერთ მივიწყებულ პოეტზე, „ცისკარი“, 1972, № 6, გვ. 142-149; მისივე, ბაქრაძე იოსებ ზოსიმეს ძე, წგ-ში: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 241.

<sup>2</sup> „პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. 1, ქართული წიგნები, თბ., 1977, გვ. 40-42.

რო ლექსად აქცია... „ივერიაში“ ამაზე უკეთესი „თარგმანი“ არ დაბეჭდილა“.

გერმანულ-ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ საკითხებზე გამოქვეყნებულ მეტად საინტერესო და საყურადღებო მონოგრაფიაში ე.კავთიაშვილი საგანგებოდ განიხილავს ი. ბაქრაძის თარგმნილ ჰაინეს ლექსებს. მისი თქმით, XIX საუკუნეში ჰაინეს ქმნილებათა ქართულ მთარგმნელებს შორის ყველაზე ნაყოფიერი იყო ი. ბაქრაძე. ჰაინეს ლირიკიდან მან თარგმნა 32 ლექსი. მკვლევარი დაწვრილებით აანალიზებს ბაქრაძის გადმოსარგმნილ რამდენიმე ლექსს და აძლევს სათანადო შეფასებებს. აღნიშნავს, რომ ბაქრაძისეული თარგმანები შესრულებულია მ. მიხაილოვის რუსული თარგმანებიდან. მისი მართებული დასკვნით, „იოსებ ბაქრაძესაც უთარგმნია ადრე ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ჰაინეს ლექსები: „ბედნიერება, – ვით ქარაფშუგა“ და „მომაყრდნე ლოყა, ჩამეკარ ტკიბილად“. სამწუხაროდ, ამ თარგმანებს დაკარგული აქვთ ჰაინეს ლირიკულ ლექსთა სიტბო და მელოდიურობა. დანარჩენი თარგმანები მეტ-ნაკლებად სრულყოფილია (ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.). მიუხედავად ამისა, იოსებ ბაქრაძის თარგმანებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს იმ დიდ საქმეში, რასაც მეცხრამეტე საუკუნეში ქართული საზოგადოებისათვის თარგმანი ასრულებდა“.

ასეთია მოკლედ იოსებ ბაქრაძის ბიოგრაფიის და მისი მხატვრული შემოქმედების შესწავლის ისტორია.

---

<sup>1</sup> ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 1986, გვ. 397-398, 406 და სხვ.; ტ. 5, თბ., 1987, იხ. საძიებლები.

<sup>2</sup> ე. კავთიაშვილი, ეტიუდები გერმანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1991, გვ. 114-121 და სხვ.



საკითხის სისრულისათვის აქვე თავი მოუყარეთ მაშინდელ ქართულ პრესაში მიმოფანტულ წერილ-წერილ ცნობებს, თუ ვინ რა თქვა ი. ბაქრაძეზე. მართალია, ისინი ყოველთვის უშუალოდ მწერლის შემოქმედებას არ ესება, მაგრამ მათში მეგ-ნაკლებად ასახულია პუბლიცისტური თუ პოლემიკური გამოძახილი და რაიმე მხრივ გვეხმარება მწერლისა და მისი თანამოკალმეების ურთიერთობების გარკვევაში. ესენია:

1. გობრონ ლიხელი [გ. ჭრელაშვილი]. მიკრიკი („იმედი“, 1881, № 7-8, გვ. 61-74).

საგირა ი. ჭაეჭავაძის, ა. წერეთლის, ი. ბაქრაძის ლექსებზე.

2. ჰ [ილია ჭყონია]. პასუხად ი. ბ-ძეს („ივერია“, 1882, № 2, გვ. 91).

პასუხი „ივერიის“ 1881 წლის მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილ ი.ბაქრაძის ლექსზე. საკუთარ ეგზემპლარზე ი. გრიშაშვილს ინიციალებ „ი.ბ-ძეს“-თან მიუწერია: „ი. ბაქრაძე?“ („ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა – მუზეუმის კატალოგი“, ტ. I, ნაკვ. 3, თბ., 1980, გვ. 309, № 5091).

3. დავით სოსლანი [დავით კებელი]. გეორგოს („თეატრი“, 1886, № 2, გვ. 13-14).

პაროდები ი. გოგებაშვილზე, ი. ბაქრაძესა და ი. მეუნარგიაზე.

4. იოსებ დავითაშვილს 1886 წელს დაუწერია იუმორისტული საახალწლო მილოცვები, რომლებიც მიძღვნილია ქართული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი. ლექსები თითოსგროფიანებია. იმ დროს ასეთ ლექსებს „წკიპურტებს“ უწოდებდნენ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა მილოცვა-„წკიპურტმა“. პირველ „წკიპურტში“, რომელიც ეძღვნება ვინმე „ა.ც-ს“, ვკითხულობთ:

„გულჯაეარ“ ლექსი კარგია,  
ზოგსა გონია ლოლოო;  
დამწერმა ჰკითხოს რედაქტორს,  
ვინ მოაგლიჯა ბოლოო?”

აქ ი. დავითაშვილი კრიპტონიმში „ა. ც-ს“ გულისხმობს ცნობილ მწერალსა და დრამატურგს აექსენტი (ასიკო) ცაგარელს (1857-1902), რომელმაც 1885 წელს „ივერიაში“ გამოაქვეყნა პოემა „გულჯაეარ (ეპიზოდი ირაკლი მეორის დროიდან)“. ჟურნალში დაიბეჭდა თხზულების მხოლოდ პირველი ოთხი თავი<sup>1</sup>, ხოლო გაგრძელება, მეხუთე-მეცხრე თავები, აღარ დაბეჭდილა. ჟურნალის მომდევნო ნომრის (№ 4-5) ბოლოში დართული განცხადებიდან („რედაქციისაგან“) ვგებულობთ, რომ პოემის გაგრძელება „სხვადასხვა მიზეზებისა გამო სრულად ვერ დაიბეჭდა“<sup>2</sup>. მართალია, რედაქცია განცხადებაში პოემის გაგრძელების დაუბეჭდაობის მიზეზს პირდაპირ ვერ ასახელებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისი გამოქვეყნება ცენზურამ აკრძალა. „წიკიპურგის“ ბოლო ორ ტაეპში პირდაპირი მნიშვნებაა სწორედ ცენზორის მოქმედებაზე, რომელსაც, ეტყობა, თხზულებისთვის მოუცილებია მისი თვალსაზრისით „მიუღებელი“ ნაწილი, პოემის გამოუქვეყნებელი ნაწილი, მეხუთე-მეცხრე თავები, დაცულია „ივერიის“ რედაქტორის ილია ჭავჭავაძის არქივში<sup>3</sup>. როგორც ახლა გამოეარკვიეთ, აღნიშნული გამოუქვეყნებელი ნაწილი მოგვიანებით დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში“<sup>4</sup>.

მეორე წიკიპურგში, რომელიც ეძღვნება უცნობ პირს ეინმე „ც-ს“, სწერია:

<sup>1</sup> ი. დავითაშვილი, თხზულებანი, თბ., 1890, გვ. 161.

<sup>2</sup> „ივერია“, 1885, № 3, გვ. 72-82.

<sup>3</sup> იქვე, № 4-5.

<sup>4</sup> შ. გომალაშვილი, ილია ჭავჭავაძე, „ივერია“ და მეფის ცენზურა, „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, № 3, გვ. 78-79.

<sup>5</sup> „ცნობის ფურცელი“, 1902, 21 მაისი, № 1815, გვ. 1-2; 23 მაისი, № 1817, გვ. 2-3; 29 მაისი, № 1822, გვ. 1-2.

ნუ დასდევ ცუდსა პეპელას,  
გაგიფრინდება, წაგივია;  
არც ხორცი ხორცად ივარგებს,  
არც გყავი უსადალ გაგივია.

მილოცვებში ყველა მოღვაწეს თითო სგროფი ეძღვნება, ამიგომ ამ სგროფში სხვა პიროვნება უნდა ვიგულისხმოთ და არა იგივე ასიკო ცაგარელი. ვინ უნდა იყოს იგი? ამაში გვშველის ლექსის პირველ ტაეპში მოცემული მეტად საგულისხმო ინფორმაცია („ნუ დასდევ ცუდსა პეპელას“).

საქმე ისაა, რომ 1883 წლის გაზ. „დროებაში“ იოსებ ბაქრაძემ გამოაქვეყნა კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი „გაბაფხული და ჩენი მწერლობა“, რომელშიც ჩართულია მისი ლექსები. გაბაფხულის დადგომასთან დაკავშირებით პოეტი წერს:

„ღმერთო ჩემო! მეც გული სიყვარულით აღმევსო,  
ჩქროლა დამიწყო, ლოყები დამიკვერდენ; ეშხით დამთერალი  
მწვანე ბალახზედ დაუეცი, თვალებში ცრემლი მომერია და  
ნამეგნავისაგან გულისა ბაგეთა აღმოსთქვეს:

\* \* \*-სას

გრფობისათვის შექმნილო,  
აწ დადგა გაბაფხული;  
მთლად ჰყვავის მთა და მდელი,  
გულს სწყურია სიყვარული... და სხვ.

ეს სიმღერა რომ გავათავე, იქვე, ჩემს ახლოს, ერთმა ვილაცამ ისეთი გაღიხარხარა, რომ ჩემს აღგაცებულს ოცნებას ფრთები შეეკვეცა. მან დაცინვით შემომხედა და, თითქოს ჩემი ოცნების საპასუხოდ, დაიმღერა:

სიყვარული პეპელაა,  
ერთის ვარდით ვერა ძღება;  
ერთის გემოს რომ გაიგებს,  
მერე სხვა ვარდს ესტუმრება“.

<sup>1</sup> „დროება“, 1883, 24 აპრილი, № 81.

აი, სწორედ ეს ლექსი აქვს მხედველობაში ი. დავითაშვილს, როდესაც „ც-ს“ მიმართავს:

„ნუ დასდევ ცუდსა პეპელას,  
გაგიფრინდება, წაგივა“...

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ „ც-ს“-ში ი. დავითაშვილი გულისხმობს „ციმაკურიძეს“. „გ. ციმაკურიძე“ კი იოსებ ბაქრაძის ფსევდონიმი იყო.

5. [ნიკო დადიანი]. არჩილური შვიდ-თავი (საამდროვო ამოცანები) („ივერია“, 1891, 14 ივლისი, № 148).

აკროსტიქში იკითხება ბაქრაძის სახელი: იოსებ ლექსის ავტორია ნიკო დადიანი (ლექსი შეგანილია მის წიგნში).

6. დასასრულ, საყურადღებოა აგრეთვე უცნობი ავტორის ქვემოთ მოყვანილი „ექსპრომტი“, რომელიც მიწერილია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ-ერთ წიგნში ჩადებულ ფურცელზე:

„სიმღერები და ლექსები  
იოსებ ბაქრაძისაო,  
თარგმანიც კარგი სცოდნია  
ლექსის და რომანისაო“.

---

<sup>1</sup> პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, ტ. 1, ნაწ. 3, თბ., 1980, გვ. 38, № 10081.

იოსებ ბაქრაძის ცხოვრება—მოღვაწეობა

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ხალხოსანი პოეტისა და მთარგმნელის ი. ბაქრაძის ცხოვრება-მოღვაწეობა ღრმად სათანადოდ არ არის შესწავლილი. არსებული მეტად მწირი საარქივო მასალების, იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული ცნობებისა და მისი თანამედროვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებების საფუძველზე ნაშრომში შეძლებისდაგვარად აღღვნილი და გადმოცემულია მისი ღუბჭირი ცხოვრების მეტად რთული გზა.

იოსებ ბაქრაძე დაიბადა 1850 წლის 1 თებერვალს<sup>1</sup> სოფ. არბოში (ახლანდ. გორის რაიონი). ეს სოფელი მისი დედულეთი იყო. აქ იოსების მამა — ზოსიმე მღვდლად იყო გამწესებული. საერთოდ კი იოსების წინაპრები რაჭიდან იყვნენ ქართლში გადმოსული. ზოსიმე ადრე გარდაიცვალა, მაშინ პოეტი ხუთი თვის ყოფილა. დედა — ეკატერინე სეიმონის ასული გვიმრაძე, ცნობილი მწერლის ნიკო ლომოურის დედის და იყო. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. უსახსრობის გამო იგი იძულებული გახდა, ნათესაეებს შეჰკედლებოდა და ისე ერჩინა თავი. დაობლებულ იოსებზე, რომელიც დედმამისშვილებში ყველაზე პატარა იყო განსაკუთრებულ მზრუნველობას დეიდა (ნ. ლომოურის დედა) იჩენდა, მის ოჯახში გაატარა იოსებმა ბავშვობის წლები.

ცხრა წლის იოსები გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ნახევრად მშვიერ-გიგველი დადიოდა იგი გორიდან თავის სოფელ არბოში. მიუხედავად მძიმე და ღუბჭირი პირობებისა 1867 წელს მან დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი. იმავე წელს, როგორც მღვდლის შვილი და თანაც ობო-

<sup>1</sup> Формулярный о службе, составлен августа 5, 1898 года (საქ. სახელმწ. ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწ. № 20818); ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 241. სხვა ცნობით, იოსები დაბადებულია 1852 წელს (ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკევეი, გვ. 143; რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, წ. II, ივ. როსტომაშვილის რედ., თბ., 1899, გვ. 217).

ლი, სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში იოსები ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. მასზე გარკვეული გავლენა მოუსდენიათ უფროსი კლასის მოსწავლეებს, შემდგომში ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებთანაც ახლო ურთიერთობას შემდგომშიც განაგრძობდა. ესენი იყვნენ: ვას. პეტრიამვილი, ალ. ცაგარელი, დიმ. ჯანაშვილი და სხვ.

სემინარიაში ამ დროს მოღვაწეობდა ქართული კლასიკური პედაგოგიკის ფუძემდებელი ი. გოგებაშვილი, რომელსაც სხვა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებთან ერთად, ახლო ურთიერთობა ჰქონდა სემინარიის აღსაზრდელებთან. იგი მთავრობის მიერ აკრძალული მხაგვრული და პოლიტიკური ლიგერატურით ამარაგებდა სემინარიელებს. ს. მგალობლიშვილი იგონებს: „როგორც იაკობს, ისე სხვა ქართველ მასწავლებლებს შემოქმონდათ კლასებში ასალ-ახალი წერილები ჩვენი მამინდელი მწერლებისა, განსაკუთრებით ილიასი; გვიკითხავდნენ კლასებში ჩუმად, რომ სემინარიის მთავრობას არ გაეგო. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია მამინდელ მოწაფეებზე, რომელთაც სემინარიაში გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“. აღნიშნული ჟურნალი გამოდიოდა 1871 წლის მარტამდე. მასში თანამშრომლობდნენ გ. ჟურული (რედაქტორი), ს. მგალობლიშვილი, ნ.ლომოური, მ. სანებლიძე, ი. მეუნარგია, შ. შიუკაშვილი და სხვ. ჟურნალში თავის პირველ ნაწერებს ათავსებდა სემინარიის მეოთხეკლასელი ი.ბაქრაძეც.

ი. ბაქრაძე სემინარიაში სწავლების დროიდანვე ლექსებს ბეჭდავდა ჟურნ. „მნათობში“. ამ ჟურნალში გამოქვეყნდა მისი თარგმნილი ბაირონისა და ჰაინეს ლექსები, ნაწყვეტები „დონ-ჟუანიდან“ და სხვ. იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე დასახელებული ჟურნალის დაბეჭდვა-გამოცემასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. ს. მგალობლიშვილი აღნიშნავს: „1869 წლის მარტიდან გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“. რედაქცია ნიკო ავალიშვილს მითავსებული ჰქონდა თავისი ძმის სახლში, ავჭალის ქუჩაზე. იქვე, ქვედა სართულში, იყო

<sup>1</sup> ს. მგალობლიშვილი, დასახ. წიგნი, თბ., 1936, გვ. 47-48.

პატარა სტამბაც. ერთი ხელის მამინა იყო, აწყობასა და დაბეჭდვაში ვეშელებოდით სემინარიელები: ვ. სამადაშვილი, ი. ბაქრაძე, მე და კიდევ სხვები“.

სემინარიაში სწავლების პერიოდშივე, 1870-1871 წლებში, ი. ბაქრაძე უახლოვდება ნიკ. ავალიშვილისა და ანგ. ფურცელაძის შედგენილ სცენის მოყვარულთა წრეს და უშუალოდ მონაწილეობს წარმოდგენების დადგმებში. ს. მგალობლიშვილი ამის თაობაზე წერს: „ამ წრესთან უფრო დაახლოებული იყო პოეტი იოსებ ბაქრაძე, რომლის ლექსები უკვე იბეჭდებოდა „მნათობში“. იოსებ ბაქრაძის წყალობით წარმოდგენებში ეილებდით მონაწილეობას მე, შიო შიუკაშვილი, იასონ ნათაძე და სხვ.“<sup>1</sup> პირველი პიესა, რომელშიც ი. ბაქრაძე მონაწილეობდა და ასრულებდა ბოქაულის როლს, იყო „ქმარი ხუთი ცოლისა“. მანვე კუკულას როლი შეასრულა გ. სუნდუკიანის „პეპოში“, რომელიც ქართულ სცენაზე პირველად დაიდგა 1875 წლის 27 ნოემბერს<sup>2</sup>.

სემინარიაში სწავლებისას ი. ბაქრაძე ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში. შემდეგ იგი იყო თბილისის ხალხოსანთა საიდუმლო წრის წევრი<sup>3</sup>. ს. მგალობლიშვილისავე გადმოცემით, 1876 წელს ხალხოსანთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ – ი. ბაქრაძე, ს. მგალობლიშვილი, გ. უთურგაული, ნ. ლომოური და ვ. სამადაშვილი, მიმო (მიხეილ) ყიფიანის თაოსნობით მიზნად დაისახა იაფუასიანი ბროშურების გამოცემა და ხალხში გავრცელება. მათ სოფ. გყვიავეში (ახლანდ. გორის რაიონი), ვასო სამადაშვილის ბინაში, დააარსეს სტამბა.

სემინარიის კურსი იოსებმა დაამთავრა 1874 წელს და დაიწყო სამსახური გრიგოლ მელიქიშვილის სტამბის კანტორაში. 1875 წ. ექ. ხელაძესთან ერთად მან პირველად გამოსცა ცალკე წიგნად დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ეს სოციალური უსამართლობის ამსახველი თხზულება, რაც იმ დროისთვის

<sup>1</sup> ს. მგალობლიშვილი, დასახ. წიგნი, თბ., 1936, ს. მგალობლიშვილი, დასახ. წიგნი, თბ., 1936, გვ. 58.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>3</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 142 და 145.

<sup>4</sup> პ. რატიანი, საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 129.

გაბელული ნაბიჯი და დიდი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა იყო.

იოსებ ბაქრაძე ანგონ ფურცელაძის ნათესავი იყო. მის ოჯახში ხვდებოდა იგი ქართველ მწერლებს. შემდეგ კი, როდესაც თვითონ აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში, მის ბინაზე იკრიბებოდნენ იმ დროის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები და მწერლები.

მწერლის ცოლისდა ელ. მამულაშვილი იგონებს: „მასთან მოდიოდნენ ხოლმე ზოგი ჩვენი ქართველი პოეტები და მწერლები. მოდიოდა ხოლმე მასთან ჩვენი ბუმბერაზი პოეტი ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ვანო მაჩაბელი და სხვ. კითხულობდნენ თავიანთ ნაწერებს, მსჯელობდნენ, აკრიტიკებდნენ. სასიამოვნო იყო მათი ყურის ვლება, გეგონებოდათ, ლიტერატურულ საღამომე ვარო“.

საინტერესო ფაქტია, რომ პირველად ი. ბაქრაძემ გააყენო ს.მგალობლიძეილი ი. ჭავჭავაძეს, როგორც „ივერიის“ კორესპონდენტი. ს.მგალობლიძეილი იგონებს: „პირველად ილია გავიყენე 1877 წლის შემოდგომაზე, როცა „ივერიას“ თანამშრომლად გაუუხდი... პოეტ ი. ბაქრაძისათვის ეთქვა, დაიბარე შენი მეგობარი კაცი და გამაცანიო... წამიყვანა იოსებმა, გზაზე საშინელი დელვა ამიყარდა. იოსებმა ლაპარაკზე შემაგყო. გაუეცყდი, რომ ილიას დანახვაზე ენა ჩამიყარდება და რას იფიქრებს, ეს უენო კაცია ჩემი თანამშრომელიო“.

მწერლის ქალიშვილის ეკატერინე ბურჯანაძის ცნობით (რომელიც დამოწმებული აქვს ქ. ბურჯანაძეს თავის სტაგიაში), „ი. ბაქრაძე იყო აგრეთვე ჟურნალ „ივერიის“ უახლოესი თანამშრომელი. სისტემატურად დადიოდა იმ კრებებზე, რომელსაც ი. ჭავჭავაძე აწყობდა ჟურნალის რედაქციაში და მონაწილეობას იღებდა საჟურნალო მასალის კითხვა-განხილვაში. აქვე ეცნობოდნენ „ივერიის“ თანამშრომლები ილიას ახალ თხზულებებსაც“.

<sup>1</sup> საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწ. № 20815.

<sup>2</sup> ს. მგალობლიძეილი, დასახ. წიგნი, გვ. 130.

<sup>3</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 144-145.



1875 წლიდან ი. ბაქრაძე კანცელარიის მოხელედ იწყებს მუშაობას თბილისის საქალაქო სასამართლოში<sup>1</sup>. 1877 წლიდან კი იგი დანიშნეს სასამართლოს ბოქაულად. იოსები 26 წელიწადი მსახურობდა საქალაქო სასამართლოში. გლეხები-სა და მშრომელი ხალხის კეთილმსურველი ერთთავად გამოდიოდა მათი ინტერესების დამცველად. ივ. როსტომაშვილი წერდა: „ამდენი ხანია იოსები არის ბოქაულად და იშვიათად ყოფილა, რომ მას ვისმესთვის სახლის ავეჯეულობა გაეყიდოს, ყოველთვის საქმეს ის უფრო მორიგებით ამთავრებს“<sup>2</sup>.

იოსების პაგიოსნებაზე ელ. მამულაშვილი იგონებდა: „იოსებ ბაქრაძე ნამეგანი პაგიოსნებით აღჭურვილი ადამიანი იყო. მის ცხოვრებაში იმის პაგიოსნებას ჩირქი არ მოსცხებია (ის იყო სასამართლოს მოხელე-ბოქაული). იყო ამისთანა შემთხვევა: ერთ დღით იმის ბინაზედ მოვიდა ვილაცა კაცი, რომელსაც ბლომად შეკრული რაღაცეები ეჭირა. მან იკითხა: პრისტავი სახლში არისო? სახლში იყო და გამოვიდა. სალაში მისცეს ერთმანეთს და მერე მან გამოუწოდა თავისი მონაგანი რაღაცეები. ეგ რა არისო, რომ ჰკითხა, მან უთხრა. თქვენ მე ისეთი საქმე გამიკეთეთ, რომ ეს რა უნდა იყოსო. იგი ძალიან აღელდა ამის გაგონებაზედ, მაგრამ თავი შეიკავა და დინჯად უთხრა: ეგ ყველაფერი უკან წაიღე, მენ მოიხმარე. მე თუ საქმე გაგიკეთე, ის ჩემი მოვალეობა იყო და გაგიკეთეო. ის კაცი თავისი მონაგანი ძღვენით ალგა და ცივად წავიდა“<sup>3</sup>.

1889 წ. დაარსდა ქართული წიგნების გამოცემის ამხანაგობა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო ი. ბაქრაძე. ამის შესახებ ე. თაყაიშვილს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „1889 წელს დაეაარსეთ ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა, ალ. ჯაბაძარი კი არ ყოფილა ინიციატორი, არამედ ჩარკვიანი (იგულისხმება ცნობილი მწიგნობარი და გამომცე-

<sup>1</sup> საქ. სახელმწიფო ლიბრარტურული მუზეუმი, ხელნაწ. № 20818.

<sup>2</sup> რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, წ. II, თბ., 1899, გვ. 217-218.

<sup>3</sup> საქ. სახელმწ. ლიბრარტურული მუზეუმი, ხელნაწ. № 20815, გვ. 4-5.

მელი ვრიგოლ ჩარკვიანი. — თ. მ.), მე და იოსებ ბაქრაძე ვი-  
ლებდით დიდ მონაწილეობას ამ საზოგადოების დაარსებაში“.

როგორც ირკვევა, ი. ბაქრაძე ახლო ურთიერთობაში  
ყოფილა ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან, მწერალთან და  
თეატრალთან ვალ. გუნიასთან. ვ. გუნია წლების მანძილზე აქ-  
ვეყნებდა იმ ღროისათვის მეტად საჭირო საცნობო-პოპულა-  
რულ გამოცემას „საქართველოს კალენდარს“, რომელშიც ი.  
ბაქრაძეც თანამშრომლობდა. გაბ. „ივერიაში“ 1893 წ. დაბეჭ-  
დილია განცხადება, საიდანაც ვგებულობთ მისი დანიშვნის  
შესახებ „საქართველოს კალენდარში“ განცხადებების მილე-  
ბა-გამოქვეყნების შემსრულებლად<sup>1</sup>.

1900-იან წლებში ი. ბაქრაძე სამუშაოდ გადადის სასოფ-  
ლო-სამეურნეო ბანკში. მალე იგი ავად ხდება ღვიძლის მწვა-  
ვე დაავადებით და სამსახურს თავს ანებებს. იოსები გარდა-  
იცვალა 1904 წლის 14 მაისს (ძვ. სტილით). დაკრძალულია  
თბილისში პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. საზოგადოებამ დიდად  
დააფასა მისი დამსახურება ქართული მწერლობისა და  
მთარგმნელობითი კულტურის განვითარების საქმეში. პოეტის  
ცხედარი გამოასვენეს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა და  
საზოგადო მოღვაწეებმა, რომელთა შორის იყვნენ ილ. ჭავჭავა-  
ძე, ნ. ლომოური და სხვ.<sup>2</sup> ჟურნალ-გაზეთებმა გამოაქვეყნეს  
სამგლოვიარო განცხადებები, შოკლე ცნობები პოეტის დაკ-  
რძალვის შესახებ და გულთბილი ნეკროლოგები<sup>3</sup>.

იოსებ ბაქრაძეს ცოლად ჰყავდა ელისაბედ ანტონის ასული  
მამულაშვილი. მათ შეეძინათ ოთხი შვილი: თამარი, ნინო (დაბ.  
1883 წ. 11 ივლისს), ეკატერინე (დაბ. 1885 წ. 21 ოქტომბერს) და  
ბურაბი (დაბ. 1889 წ. 22 ნოემბერს)<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 347. ი.  
მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1989,  
გვ. 55.

<sup>2</sup> ვ. გუნია, გაფრთხილება. განცხადებები, „ივერია“, 1893, 1 სექტემბერი.

<sup>3</sup> „ივერია“, 1904, 17 მაისი.

<sup>4</sup> გ. ყიფშიძე, იოსებ ბაქრაძე, „ივერია“, 1904, 14 მაისი; ხელმოუწერელი  
ნეკროლოგები: „ცნობის ფურცელი“, 1904, 15 და 19 მაისი; „მოამბე“, 1904, №  
5, განყ. II, გვ. 149-150; „მწყემსი“, 1904, № 10, გვ. 13.

<sup>5</sup> საქ. სახელმწ. ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწ. № 20818.

თამარის იოსების უფროსი შვილი იყო, რომელიც 9 წლის გარდაიცვალა. ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა პოეგზე და დეპრესიამდე მიიყვანა. ერთხანს ნათესაეებს დიდი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ იგი, თვითმკვლევლობით რომ არ დაემთავრებინა სიცოცხლე. ამ თამარისადმი მიძღვნილი იოსების პოემა „საწყალი გიგა“, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1882 წელს. პოემის პირველი თავი მთავრდება შემდეგნაირად:

„და ეს ამბავი, გულმოსაკლავი,  
მინდა გიამბო, შვილო თამარო“.

იოსების ქალიშვილები, დები ნინო და ეკატერინე, მთელი ცხოვრების მანძილზე უმწიკვლოდ ეწეოდნენ პედაგოგიურ და მთარგმნელობით მოღვაწეობას. ნინო ქართულ ენას ასწავლიდა საშუალო სკოლაში და თავის დასთან ეკატერინესთან ერთად ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი დაქორწინდა ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეზე ლუარსაბ ბოცვაძეზე. ნინოსა და ლუარსაბს ორი შვილი ჰყავდათ – იოსები და ვახტანგი. იოსებ ბოცვაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის პროფესორი იყო, ხოლო ვახტანგი – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ქალაქის მთავარი სტომატოლოგი.

იოსების მესამე შვილი ეკატერინე რუსულ ენას ასწავლიდა ქართულ სკოლებში, იყო საბავშვო ჟურნალების – „ნაკადულის“, „ოქტომბრელისა“ და „დილას“ სარედაქციო კოლეგიების წევრი. თავის დასთან, ნინო ბოცვაძესთან ერთად იყო სახელმძღვანელოების ავტორი. მათი შედგენილი „დედაენა“ და „ქართული ენა“ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა პატარებს. ეკატერინეს ეკუთვნის აგრეთვე არა ერთი ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოები.

ეკატერინე დაქორწინდა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეზე და პედაგოგზე ვარლამ ბურჯანაძეზე, რომელიც პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ვებურჯანაძეს ეკუთვნის თეორიული და მეთოდური შინაარსის საყურადღებო წერილები სწავლა-აღზრდისა და სკოლების მუშაობის

შესახებ. იგი იყო სახელმძღვანელოების ავტორი, საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი.

ბურჯანაძეების ოჯახს შეეძინათ ორი ქალიშვილი – ქეთევანი და თამარი. ქეთევანიც გაჰყვა თავისი წინაპრების კვალს, პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას მიჰყო ხელი. იგი იყო ქართული ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა ბათუმისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, შემდეგ კი მოღვაწეობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან ქართულად თარგმნა მარია მარიჩის ისტორიული რომანი „ჩრდილოეთის ციალი“, იუგოსლაველი მწერლის ნინე ოპაჩიციის რომანი „მზვერავის გმირობა“, ნიკო ნიკოლაძის რუსულად დაწერილი პუბლიცისტური წერილები, რომელიც გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გომეულებში. ქეთევანი არის სამეცნიერო შრომებისა და ცალკე წიგნად დაბეჭდილი ნარკვევების ავტორი<sup>1</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტათვის განკუთვნილი მისი დამხმარე სახელმძღვანელო „მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“, რომელიც 1992 წელს გამოქვეყნდა<sup>2</sup>.

თამარ ბურჯანაძე ასევე გაჰყვა დედის კვალს და ოთხ ათეულ წელზე მეტი მასწავლებლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. 53-ე საშუალო სკოლაში, სადაც ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. თამარი პედაგოგიურ ასპარეზზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იგი იყო რუსპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი და მინიჭებული პქონდა სახალხო მასწავლებლის წოდება.

ი. ბაქრაძის ქალიშვილები – ნინო ბოცვაძე და ეკატერინე ბურჯანაძე დაკრძალული არიან დიდუბის პანთეონში. რაც

---

<sup>1</sup> თ. გომართელი, გრადიცია გრძელდება, „წიგნის სამყარო“, 1989, 22 ნომბერი.

<sup>2</sup> თ. ბაქანიძე, რ. ჯანგურიშვილი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მკვლევარი. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 28 მაისი – 4 ივნისი, № 22, გვ. 14.

შეეხება იოსების ვაჟიშვილს – ზურაბ ბოცვაძეს, იგი იყო ცნობილი პტიზიარტი, პროფესორი. მას უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული ჰქონდა შვეიცარიაში. სამწუხაროდ, მისი ერთადერთი ვაჟი ოთარ ბაქრაძე მეორე მსოფლიო ომის დროს ლენინგრადის ბლოკადაში მოჰყვა და შიმშილით დაიღუპა თავის პაგარა შეილთან ერთად.

ასეთია მოკლედ ცხოვრება-მოღვაწეობა უსამართლოდ მივიწყებული პოეტი-მთარგმნელის იოსებ ბაქრაძისა და მისი შთამომავლობისა, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ლიტერატურისა და მეცნიერების წინსვლის საქმეში.

იოსებ ბაქრაძე და მეუღის ცენზურა

იოსებ ბაქრაძე, ისე როგორც XIX საუკუნის მოწინავე იდეებისა და სოციალური უსამართლობისათვის მებრძოლი სხვა ქართველი მწერლები, გამუდმებით დევნას განიცდიდა მეუღის ცენზურისგან. გადმოცემით, იგი დააპატიმრეს კიდეც ლექსისთვის „მომილოცნია ახალი წელი“.

პოეტს დიდი სიძნელეებით უხდებოდა თავისი ნაწერების გამომშეურება. ცენზურა საკმაოდ მკაცრად განიხილავდა პოეტის არა მარტო ორიგინალურ თხზულებებს, არამედ უცხო მწერალთა მისეულ თარგმანებსაც. თხზულებიდან აგდებდა „საეჭვო“ ადგილებს ან საერთოდ კრძალავდა ნაწარმოებს, თუ მასში შეიმჩნეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი, პატრიოტული, სოციალური უსამართლობის რამე ნიშნები. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა მწერალი შიგადაშიგ მაინც ახერხებდა შექარვით დაებეჭდა და ხალხში გაევერცელებინა ეროვნულ-პატრიოტული, თუ სოციალური იდეების შემცველი ლექსები. სწორედ ცარისტული რეჟიმისა და ცენზურის დევნის გამო მწერალი ხშირად იძულებული იყო ამოფარებოდა ლიტერატურულ ნიღაბს და ფსევდონიმებით გამოექვეყნებინა თავისი ნაწერები. ერთგვარად ამანაც დაამჩნია თავისი დადი, რომ ი. ბაქრაძის ორიგინალურ და ნათარგმნ თხზულებათა საკმაო ნაწილი ბოლო დრომდე სპეციალისტებისთვისაც კი ნაკლებად ცნობილი იყო. ამიტომ მწერლის მხატვრული შემოქმედების სრულად გათვალისწინება, რა თქმა უნდა, დიდხანს შეუძლებელი იყო. ამან კი თავის მხრივ განაპირობა, რომ სათანადოდ, მთლიანობაში შესწავლილიყო მწერლის ქმნილებანი და განსაზღვრულიყო მისი მნიშვნელობა გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ჩუმი და უპრეტენზიო პოეტი, რომელიც აღმოჩნდა „მივიწყებულ“ და „გამორჩენილ“ მწერალთა შორის, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან,

<sup>1</sup> ქ. ბურჯანაძე, რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მივიწყებულ პოეტზე. „სისკარი“, 1972, №6, ვვ. 147.

რომ თავისი ლექსების დაბეჭდილ კრებულსაც კი ვერ მოესწრო.

პატრიოტულ ლექსში „მე ქართველი ვარ!“, რომელიც ი. ელაქაძის ხელმოწერით დაიბეჭდა 1875 წელს „დროების“ კალენდარში, მეხუთე სტროფის მერე დასმულია წერტილები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ცენზურის მიერ ლექსიდან ამოღებულია სტროფი (ან სტროფები), რომელიც, სამწუხაროდ, დაკარგულად ითვლება და ავტოგრაფის უქონლობის გამო გექსტის აღდგენა აღარ ხერხდება.

ცენზორს ასევე ამოუგდია დასახელებული ლექსის ბოლო სტროფის მეორე ტაეპი (ქვემოთ დაყოფით აღნიშნული) და მის მაგივრად დასმულია მრავალწერტილი:

აქ აღარ ისმის ხმა ცხოვრებისა,  
მის შიშით მგერნი აღარა თრთიან

.....  
და თვითონ ჩენი ღვიძლი მოძმენი  
სიცოცხლეშივე საფლავს გვითხრიან!

ქურნ. „ივერიის“ 1882 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა პოეტის ლექსი „მომილოცნია ახალი წელი“. იგი შედგება შვიდი 8-ტაეპიანი სტროფისგან. ცენზორს უმოწყალოდ გამოუმიგნავს დასახელებული ლექსი, მთლიანად ამოუღია მისი თვალსაზრისით „შეუფერებელი“ III, IV, V და VI სტროფები. ქურნალში გამოქვეყნებულია მხოლოდ I, II და VII სტროფები. მსგავსი მანიპულაციებით ცენზორმა მთლიანად შეცვალა ლექსის იდეური შინაარსი, მებრძოლური სულისკვეთება, უვნებელყო შემართებითი პათოსი და ამით განმუხტა ნაწარმოები.

საბედნიეროდ პოეტის საოჯახო არქივში დაცულია დასახელებული ქურნალის ის ცალი, რომელიც რედაქციას ამოუბეჭდავს ნებართვის მისაღებად და წარუდგენია საცენზურო კომიტეტში. სწორედ ამ გადარჩენილი ცალის მიხედვით ცენზორის მიერ ამოღებული ადგილები აღადგინა და გამოაქვეყნა მკვლევარმა ქ. ბურჯანაძემ.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ჩეხავდა და რა სახის იდეურ- შინარსობრივ მხარეს კრძალავდა ცენზურა, აქვე მთლიანად მოვიყვანთ ამოღებულ (აღდგენილ) სტროფებს:

### III

საქართველოსას ესეამ სადღეგრძელოს,  
აბა, მელოლეე, ტუში დაჰკარი!  
ეს სადღეგრძელო ვინც არ დასცალოს,  
იგი ჩეენს შორის წყეულიმც არის!  
ის იყოს ჩეენი ტრფობის საგანი,  
მას მგლად დაედოს ყველა ქართველი,  
აბა, აღიესეთ, ძმანო, სგაქანი,  
მომილოცნია ახალი წელი!

### IV

ქვეყნისა ბურჯო, შრომისა შვილო,  
შენთვისაც შეესვამ საესე ფიალას,  
ყველასგან ჩაგრულ და გაღეწილო,  
შენში ხედავენ ქვეყნისა ძალას.  
და ძალაცა ხარ, თუმცა ჯერედ კი  
ცხრად მოგიკაკეავს უბედურს წელი,  
უქმთ მაწანწალათ მაცხოვრებელო,  
მომილოცნია ახალი წელი!

### V

შენ, ფუფუნების, განცხრომის შვილო,  
სხვისი ოფლითა გამდიდრებულხარ;  
კეთილ საქმისთვის ძუნწო, მოთხრილო,  
გარყენილებისთვის ხელგაშლილი ხარ.  
შენც იქნებ ამ წელს მოგედოს ბოლო  
და აღმოიფხვრას შენი სახელი,  
ჭია-ლუათა საკეებად ქმნილო,  
მომილოცნია ახალი წელი!



ვისაც მწერლობის დროშა გიპყრიათ,  
 აწ თქვენთანაცა ვარ ალავერდი,  
 თქვენ მძიმე ტვირთი კისრად გიღიათ,  
 გსურთ დაუბრუნოთ სამშობლოს ბედი.  
 მაგრამ ამ თქვენსა წმინდა სურვილსა  
 ჰყავს უთვალავი ხელის მომცრელი,  
 ვინც მტკიცედა სღვეთ გზას დანიმნულსა,  
 მომილოცნია ახალი წელი!

1885 წლის გაზ. „დროების“ პირველ ნომერში გ. ციმაკურიძის ფსევდონიმით დაბეჭდილია ი. ბაქრაძის ლექსი სათაურით „1885 წ.“ („მოგილოცავეთ ახალ წელსა!“). ლექსი ნ-სტროფიანია. ცენზორს მთლიანად ამოუგდია ლექსის მესამე სტროფი:

გაპქრეს, გაპქრეს საუკუნოდ,  
 აღიგაოს მისი კვალი,  
 რომ წელს მაინც შეგვირიგდეს  
 ბედი დიდხნით შემომწყრალი.

მოყვანილი სტროფი სოლ. ყუბანეიშვილმა ალაღგინა ავტოგრაფის მიხედვით და ლექსი სრული სახით დაბეჭდა.

ცენზურა ერეოდა თხზულების არა მარგო ამა თუ იმ საექვო ადგილის, სიგყვისა და წინადადების „შესწორება-გამართვაში“, თუ შინაარსი არ მოსწონდა, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანად კრძალადა ნაწარმოებს. ასე მაგალითად, გ. ციმაკურიძის ხელმოწერით 1884 წ. უნდა დაბეჭდილიყო პოეტის უსათაურო ლექსი „\*\*\*“ („წარვლენ წელნი და სამშობლო მხარე“), რომლის გამოქვეყნება ცენზორს მთლიანად აუკრძალავს. ამ აკრძალული ტექსტის სტამბური ანაბეჭდი დასულია საცენზურო კომიტეტის მასალებში. ლექსის მეორე ცალი აღმოჩნდა მწერლის არქივში. მწერლის არქივში დასულ ტექსტშიც შეიმჩნევა ცენზორის უღმობელი ჩარევა. მას ამოუშლია ლექსის ბოლო ტაეპი, რომელიც პოეტს ნაწილობრივ აღუდგენია, ანაბეჭდში ფანქრით ჩაუწერია, სხვა ნაწილი კი აღარ აღუდგენია. ამიგომ ი. ბაქრაძის ლექსების გამომცე-

მელი იძულებული იყო ლექსი დაეხატა ლეჟენდური სახით. გამოცემაში ეს ტაეპი ასე გამოიყურება:

და მხოლოდ მაშინ მეც მოვისვენებ,  
შენს ..... რომ გავიგონებ.

ლექსის შინაარსის მიხედვით შესაძლებელია ცენზურის მიერ წაშლილი სიტყვის სათუო აღდგენა და მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ ამოშალა მან ჩვენთვის საინტერესო სიტყვა. მეორე სტროფში ვკითხულობთ:

მაშინ შენ ლხინად გადაგეცვლება  
ესდენ ხნის განჯვა გულის დამწველი.

ესე იგი, საფიქრებელია, რომ ცენზორის „შეკრეჭილ“ ტაეპში იკითხებოდა:

შენს დალხინებას როს გავიგონებ.

მოყვანილ ტაეპში გადაგანითი მნიშვნელობით არის ნათქვამი. შენს დალხინებას, ანუ შენს გახარებას, შენს გამარჯვებას როცა გავიგებ.

## იოსებ ბაქრაძის ნაწარმოებთა აბრიჯისი

სხვადასხვა გარემოების გამო ზოგჯერ ავტორი თავის ნაწარმოებებს ბეჭდავდა ხელმოუწერლად (ანონიმურად) ან ფსევდონიმებითა და კრიპტონიმებით. პირველ ყოვლისა ეს გამოწვეული იყო მკაცრი საცენზურო პირობებით, რომლის გამო ავტორები, რომელთა თხზულებებში გამოსჭვიოდა ანტისახელმწიფოებრივი ან ანტირელიგიური მოსაზრებები, იძულებული იყვნენ დაემაღათ თავიანთი ვინაობა.

XIX საუკუნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მეგად გავრცელებული იყო არანამდვილი, მოგონილი სახელების ხელმოწერა. ხშირად ასევე მალავდა თავის ვინაობას იოსებ ბაქრაძეც. მისი ნაწერების გარკვეული ნაწილი, რომლებშიც გადმოცემული იყო პოლიტიკური და საბრძოლო განწყობილებები, დაბეჭდილი იყო სხვადასხვა ხელმოწერით. მათი მიგნება და გაშიფრვა (აბრიჯისა) დღეს მეცნიერ-გექსტოლოგთათვის გადაუღებელი ამოცანა არის, რადგან უამისოდ მთლიანი წარმოდგენა ვერ გვექნება მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე და ვერ მოხერხდება ი. ბაქრაძის ნაწარმოებთა სრული კრებულის მომზადება და მეცნიერული გამოცემა.

ი. ბაქრაძის თხზულებათა კრებულის ახალი გამოცემის მომზადების დროს საფუძვლად დავუდეთ აბრიჯისის მეთოდოლოგიური პრინციპების დამუშავების გექსტოლოგთა უახლესი გამოცდილება. აბრიჯისული მოსაზრებების ძებნას ვაწარმოებდით სამი ძირითადი მიმართულებით: დოკუმენტურ-ფაქტობრივი დამამტკიცებელი საბუთების გამოვლენით, გექსტის შინაარსის იდეურ-მხატვრულობის გახსნით და ენისა და სტილის ანალიზით. ამ მეთოდების კომპლექსურმა გამოყენებამ ყველაზე უფრო ნაყოფიერი შედეგი მოგვცა როგორც ავტორობის დასადგენად, ისე უარსაყოფად.

ი. ბაქრაძის ფსევდონიმები პირველად შეისწავლა სოლ. ყუბანეიშვილმა. პოეტის ლექსების კრებულის გამოცემისას იგი წერდა: იოსებს, „... როგორც ირკვევა, მრავალი ფსევდო-

ნიმი ჰქონია. ყველა მათის გამორკვევა ჯერჯერობით ძნელი ხდება. ამჟამად კი ჩვენ მხოლოდ შემდეგი ფსევდონიმების დადგენა შეეძლებოდა: ი. ელაქაძე, ი. ოქრიაშვილი, გ. თენაძე, გ. ციმაკურიძე და თ. გ. ც.-სი. ამ ფსევდონიმებით ნაწერი ლექსების ავტოგრაფების ნაწილი აღმოჩნდა იოსების არქივში, რომელიც ჩვენ სასარგებლოდ (სარგებლობისათვის. – თ. მ.) გადმოგვცა მისმა შვილმა კაცო ბურჯანაძემ, ამას გარდა იოსების ოჯახის წევრები და მახლობლებიც ადასტურებენ აღნიშნული ფსევდონიმების იოსების კუთვნილებად. ამიგომ ჩვენ ამ ფსევდონიმებით ცნობილი ყველა თხზულება, რომლებსაც კი მივაგენით პერიოდულ გამოცემებში ანდა იოსების არქივში, შევიგანეთ ამ გამოცემაში...

უდავოა, რომ გარდა ამ ფსევდონიმებისა, ი. ბაქრაძეს სხვა ფსევდონიმებიც ექნებოდა, შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს ფსევდონიმი ი. რომანიძე, მაგრამ რაკი საბოლოოდ დარწმუნებული არა ვართ, ამიგომ ამ ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსი „ანგარიშიანი სიყვარული“ (დაბეჭდილია 1878 წ. გამ. „დროება“-ს 115 №-ში) აქ აღარ შევიგანეთ“.

შემდეგ პოეტის ფსევდონიმები განიხილა ქ. ბურჯანაძემ. მისი სიტყვით, „ი. ბაქრაძე სხვადასხვა ფსევდონიმით წერდა და ეს ერთგვარ სირთულესაც კი ქმნის, რათა თავი მოვეუყაროთ ქართულ პრესაში გაბნეულ ყველა მის ნაწარმოებს. დღესდღეობით ი. ბაქრაძის ფსევდონიმებიდან ცნობილია: ი. ელაქაძე, ი. ოქრიაშვილი, გ. თენაძე, გ. ციმაკურიძე, თ. გ. ც.“. მკვლევარი სქოლიოში განაგრძობს: „ეფიქრობთ, ი. ბაქრაძესვე უნდა ეკუთვნოდეს ფსევდონიმი ი. რომანიძე. ამ ფსევდონიმით დაიბეჭდა საყმაწვილო ჟურნალ „წყაროში“ ლექსი „ყმაწვილის ლოცვა“ (1881 წ., № 3-4), გამ. „დროებაში“ „ანგარებიანი სიყვარული“ (1878 წ., № 115), რომლის ორი სტროფი ი. ბაქრაძის არქივშიც აღმოჩნდა, პოეტის მიერ ჩასწორებული“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ი. ბაქრაძე, კრებული. თბ., 1938, წინასიტყვაობა.

<sup>2</sup> ქ. ბურჯანაძე, რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მივიწყებულ პოეტზე, „ციხკარი“, 1972, № 6, გვ. 143; მისივე წერილი წგ-ში: ქსე, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 241.

<sup>3</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

ი. ბაქრაძის ფსევდონიმებით დაინგერესდა აგრეთვე ი. გრიშაშვილი. მართალია, აღნიშნულ საკითხზე მას გამოკვლევა არ დაუწერია, მაგრამ პოეტის 1938 წ. გამოცემულ ლექსთა კრებულის საკუთარ ეგზემპლარზე მას მიუწერია მეტად ყურადსაღები შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებაც უთუოდ საჭიროა. ყველა ამ შენიშვნას, სხვა ცნობებთან ერთად, ვითვალისწინებთ ი. ბაქრაძის ცალკეულ ფსევდონიმზე მსჯელობისას, ამიგომ სიგყვას აღარ გაეაგრძელებთ.

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ ი. ბაქრაძის ფსევდონიმები და კრიპტონიმები. მათ შესახებ დაწერილებით არის საუბარი, ახალი ცნობებისა და მასალების მოხმობით დადასტურებულია ან უარყოფილია მწერლის ავტორობა<sup>1</sup>.

## 1. ი. ელაქიძე

იოსებ ბაქრაძის ამ ფსევდონიმზე საყურადღებო ცნობას ვხვდებით „რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ მოთავსებულ მისდამი მიძღვნილ წერილში, სადაც ვკითხულობთ: „პირველი მისი (ი. ბაქრაძის. – თ.მ.) ორიგინალური ლექსი დაიბეჭდა 1869 წელს „დროებაში“, მაგრამ რა ლექსი ყოფილა, ეს თვითონაც აღარ ახსოვს, მეორე ლექსი იყო ნათარგმნი ჰეინედაძე, აღბეჭდილი ი. ელაქიძის ფსევდონიმით“<sup>2</sup>. ამასთან, ი. ელაქიძის ხელმოწერით გამოქვეყნებული პაგრიოტული ლექსი „მე ქართველი ვარ!“<sup>3</sup> მთლიანად შეგანილია და განხილული დასახელებულ წერილში.

„ლექსიკონში“ დაბეჭდილი წერილი ხელმოუწერელია და ეკუთვნის მის შემდგენელ-გამომცემელს, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ივ. როსტომაშვილს. „ლექსიკონი“ შედგენილია ი. ბაქრაძის სიცოცხლეში და ცნობებიც მისი მიწოდებულია, რაზეც მეტყველებს ბემოთ მოყვანილი

<sup>1</sup> თ. მიქაძე, ბაქრაძის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიისა და აგრიბუციის საკითხები, „პროფესორ-მასწავლებელთა 56-ე საინსტიტუტთაშორისო სამეცნ. სესია (მასალები)“, თბ., 1990, გვ. 95-96 (თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი).

<sup>2</sup> რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, წ. II, ივ. როსტომაშვილის რედ., თბ., 1898, გვ. 217.

<sup>3</sup> „დროების“ კალენდარი, 1875, ლიგ. ნაწ., გვ. 31-32.

ფრაზა („რა ლექსი ყოფილა, ეს თვითონაც არ ახსოვს“). მაშასადამე, როსტომაშვილის მოწოდებული ცნობები ეჭვს არ იწვევს. გვაქვს სხვა სარწმუნო ცნობაც. ხალხოსანი მწერალი, იოსებთან დაახლოებული პირი სოფ. მგალობლიშვილი თავის „მოგონებებში“ მიუთითებს ამ ფსევდონიმზე<sup>1</sup>. მაგრამ ი. ბაქრაძის ხელმოწერით ან დღემდე ცნობილი მისი ფსევდონიმებით არც ერთი ორიგინალური ლექსი არ არის დაბეჭდილი 1869 წლის გაზ. „დროებაში“, ე. ი. პოეტის ლექსი ხელმოუწერლად, ანუ ანონიმურად უნდა დაბეჭდილიყო.

მითითებულ წელს გაზ. „დროებაში“ ხელმოუწერლად დაბეჭდილია 5 ლექსი. როგორც ქ. ბურჯანაძე მართებულად აღნიშნავს, „ი. ბაქრაძეს უნდა ეკუთვნოდეს 1869 წ. გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი ხელმოუწერელ ლექსთაგან ერთ-ერთი მაინც“<sup>2</sup>.

იოსებ ბაქრაძე „ი. ელაქიძეს“ აწერდა როგორც ორიგინალურ და თარგმნილ მხატვრულ ნაწარმოებებს, ისე კორესპონდენციებსა და საკვირაო ფელეტონებს<sup>3</sup>.

## 2. სოსიკო ოქრიაშვილი

პოეტის ახლო მეგობარი და თანამეკალმე ს. მგალობლიშვილი თავის „მოგონებებში“ წერს: ვასო დეკანოზიშვილმა 1878 წ. დაჰაგიმრებულ ხალხოსანთა შორის „გაავრცელა ლექსი („სიმღერა“. – თ. მ.) სოსიკო ბაქრაძისა, რომელიც დაბეჭდილი იყო კვირეულ „ივერიაში“ ოქრიაშვილის ფსევდონიმით – „არც სახლი მაქვს, არც კარი“. გარდა ამისა, სოლ. ყუბანეიშვილის თქმით, ამ ფსევდონიმით მოწერილი ლექსის ავტოგრაფი აღმოჩნდა პოეტის არქივში.

ლექს „სიმღერაში“ ერთმანეთთან დაპირისპირებულია მდიდარი და ღარიბი კაცის ცხოვრება. პოეტს მოსწონს მშრო-

<sup>1</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 207.

<sup>2</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 142. „სქოლიოში“ მითითებულია: „დროება“, 1869, № № 8, 16, 24, 32, 52.

<sup>3</sup> „დროება“, 1885, 1 იანვარი, № 1; 27 იანვარი, № 21.

<sup>4</sup> ს. მგალობლიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 107-108.

<sup>5</sup> სოსიკო ოქრიაშვილი, სიმღერა, „ივერია“, 1878, № 14, გვ. 10.

მელი კაცის ცხოვრება და ამაგებს მდიდრის მიერ იოლად ნაშონ ქონებას, ფუფუნებას. საფიქრებელია, ფსევდონიმიც ამისდა მიხედვით აქვს შერჩეული: ოქტო-დან – სოსიკო ოქრიაშვილი.

### 3. ბ. თენაძე

ი. ბაქრაძის ლექსების კრებულში შეგანილია ლექსი „ს. მესხის გარდაცვალებაზე“. ლექსი მანამდე არსად დაბეჭდილა. სერგეი მესხი გარდაიცვალა 1883 წელს, მამასადაძე, ის დაწერილია ამ თარიღის შემდეგ.

დასახელებული ლექსის ავტოგრაფს სოლ. ყუბანეიშვილმა მიაკვლია პოეტის საოჯახო არქივში<sup>1</sup>. ლექსს მოწერილი აქვს ფსევდონიმი „გ. თენაძე“. ამასთან, მწერლის შეილიშვილი ქ. ბურჯანაძეც აღნიშნულ ხელმოწერას ბაქრაძის ფსევდონიმად თვლის<sup>2</sup>.

### 4. ბ. ტიმაკურიძე

1884-1885 წლების გაზ. „დროებაში“ ამ ხელმოწერით დაბეჭდა 6 ლექსი.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ ი. ბაქრაძის ლექსთა კრებულში ლექსის „სინდისი სიმართლის გაძარია“... ბოლოს მიწერილია: „გ.ტიმაკურიძე (იხ. ნ. გოცირიძის ძმის რეველი), ი. ბაქრაძის ფსევდონიმია? ი.ვრ.“, ხოლო იმავე წიგნში მოთავსებულ სოლ. ყუბანეიშვილის წერილზე, სადაც ჩამოთვლილია მწერლის ფსევდონიმები, არშიაზე მიწერილია: „დანარჩენებში დარწმუნებული ხარ? მაგ, „გ. ტიმაკურიძე“...“ როგორც ვხედავთ, პოეტ-აკადემიკოსს ავტორობა სათუოდ მიაჩნია. ამიგომ არის იქ დასმული კითხვითი ნიშანი. გრიშაშვილის „ფსევდონიმების ლექსიკონში“ დასახე-

<sup>1</sup> ი. ბაქრაძე, კრებული, თბ., 1938, გვ. 51.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>3</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 143; ქსე, ტ. II, გვ. 241.

<sup>4</sup> „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. I, თბ., 1977, გვ. 41.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 40.

ლებული ფსევდონიმი ორჯერ არის შეგანილი და ორჯერვე კითხვითი ნიშნის გარეშე<sup>1</sup>, რაც გამართლებული არ არის.

1884 წ. გ. ციმაკურიძის ხელმოწერით უნდა დაბეჭდილიყო ბაქრაძის ლექსი „წარვლენ წელნი და სამშობლო მხარევ“<sup>2</sup>, მაგრამ ცენზურამ აკრძალა. პოეტის საოჯახო არქივში აღმოჩნდა ეს ლექსი, რომელშიც მას ფანქრით აღუდგენია (ხელახლა ჩაუწერია) ცენზორის მიერ ამოშლილი ტაეპი. ამის საფუძველზე სოლ. ყუბანიევილმა საესებით მართებულად „ციმაკურიძე“ ჩათვალა ბაქრაძის ფსევდონიმად<sup>3</sup>. პოეტის ფსევდონიმად ასახელებს აგრეთვე ქ. ბურჯანაძე<sup>4</sup>.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი უცყუარი ფაქტიც. ხალხოსან პოეტს ი. დავითაშვილს 1886 წ. დაუწერია ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი მიძღვნილი იუმორისტული საახალწლო მილოცვები, რომლებსაც იმ დროს „წიქიურტებს“ უწოდებდნენ. ერთ-ერთი „წიქიურტი“ ეძღვნება ვინმე „ც-ს“. როგორც გამოვარკვიეთ<sup>5</sup>, „ც-ს“-ში ი. დავითაშვილი გულისხმობს „ციმაკურიძეს“. გ. ციმაკურიძე კი ი.ბაქრაძის ფსევდონიმია. მამასადამე, ამის შემდეგ საბოლოოდ უნდა დადგინდეს, რომ „გ. ციმაკურიძე“ ნამდვილად იოსებ ბაქრაძეა.

## 5. სოსიკო ბაქრაძე

სოფ. მგალობლიშვილის გადმოცემით, იოსებ ბაქრაძე ქურნ. „მნათობში“ თხზულებებს აქვეყნებდა „სოსიკო ბაქრაძის“ ფსევდონიმით<sup>6</sup>.

ი. გრიშაშვილის „ფსევდონიმების ლექსიკონის“ გამოცემელი კი დასახელებულ ფსევდონიმს პარალელურად ნიკო ავალიშვილსაც აკუთვნებს, რაც აშკარა შეცდომაა: „ამ ფსევ-

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილი, ფსევდონიმების ლექსიკონი. გამოკრება, ვაწყო, შესავალი წერილი დაურთო და რედაქცია გაუკეთა ი. ლორთქიფანიძემ, თბ., 1987, გვ. 26 და 71.

<sup>2</sup> ი. ბაქრაძე, კრებული, 1938, შესავ. წერილი, გვ. 7, სქოლ. 1.

<sup>3</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკევეი, გვ. 143; ქსე, ტ. II, გვ. 241.

<sup>4</sup> აქვე, დისერტაცია, გვ. 20-21.

<sup>5</sup> ს. მგალობლიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 207.



დონიშით იბეჭდებოდა ნ. ავალიშვილი „მნათობში“. ი. გ.“ ვერსად მიეკვლიეთ, თუ გრიშაშვილს სად მოეპოვება ასეთი ინფორმაცია.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ ი. ბაქრაძის ლექსების წიგნში ჩადებულია სხვადასხვა ზომის ქაღალდის ნაჭრები გრიშაშვილის მინაწერებით. ერთ-ერთ მათგანზე ვკითხულობთ: „№ 19. „მნათობში“ (ლაპარაკია ნიკო ავალიშვილის ძველ მნათობზე. — ი. გ.) იბეჭდებოდა სოსიკო ბაქრაძის ფსევდონიშით“ და იქვე წყაროდ მითითებულია სოფ. მგალობლიშვილის „მოგონებები“. როგორც ჩანს, „ლექსიკონის“ გამომცემლის გაუგებრობა აქედან უნდა მომდინარეობდეს.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ საქ. სახელმწ. ლიგერატურულ მუზეუმში დაცულია მთარგმნელი ქალის ელენე მამულაშვილი-ვასაძისადმი 1885 წ. მიწერილი წერილი, რომელზეც მწერალს ასე აქვს ხელი მოწერილი: „შენი პატივისმცემელი სოსიკო ბაქრაძე“.

ამიერიდან „სოსიკო ბაქრაძე“ ლექსიკონიდან ამოღებული უნდა იქნეს როგორც ნ. ავალიშვილის ფსევდონიში.

## 6. ი. რომანიძე

XIX საუკუნის 80-იანი წლების პერიოდულ გამოცემებში გვხვდება სამი ლექსი, რომლებსაც ხელს აწერს „ი. რომანიძე“ და „რომანიძე“. აღნიშნული ლექსები შეგანილი არ არის მეტ-ნაკლებად ცნობილ ავტორთა კრებულებში. ეს ლექსებია: „ანგარიშიანი სიყვარული“<sup>1</sup>, „ვის გულშიაც გაბაფხული არ იმყოფება... (პლესტერიდამ)“<sup>2</sup> და „ყმაწვილის ლოცვა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილი, ფსევდონიმების ლექსიკონი, გვ. 62.

<sup>2</sup> „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. I, გვ. 42.

<sup>3</sup> ი. რომანიძე, ანგარიშიანი სიყვარული, „დროება“, 1878, 14 ივნისი, № 115.

<sup>4</sup> ი. რომანიძე, „ვის გულშიაც გაბაფხული არ იმყოფება...“ (პლესტერიდამ), „დროება“, 1878, 13 იელისი, № 139.

<sup>5</sup> რომანიძე, ყმაწვილის ლოცვა, „წყარო“, 1881, № 3-4, გვ. 3-8. მეორედ დაიბეჭდა: კრებ. „გაბაფხული“. ყრმათათვის საკითხავი წიგნი“. ანთიმოზ ჯულელის რედაქციით გამოცემული, გფ., 1881.

როგორც ირკვევა, დასახელებული ხელმოწერები ფსევდონიმებია და სამეცნიერო ლიტერატურაში ან გაუშიფრავია, ანდა საბოლოოდ დადგენილი არ არის და მათ შესახებ სხვადასხვა, ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებებია გამოთქმული...

პირად ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებზე ი. გრიშაშვილმა გახსნა მრავალი ფსევდონიმი და იქვე მიუწერა თავისი საკუთარი ვარაუდი. უცნობი ავტორის დასადგენად იგი ყოველთვის იჩენდა საშურ სიფრთხილეს, რადგან ფსევდონიმის ყალბი ამოცნობით ერთმანეთში არ არეოდა სხვადასხვა მწერლის ნაწერები.

კერძოდ, საინტერესოა ი. გრიშაშვილის მოსაზრება ფსევდონიმ „ირომანიძეზე“. 1878 წ. გამოცემულ გ. ჭიჭინაძის წიგნზე „საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს“ (კანზე სათაურია „ლექსთა კრება“) მე-40 გვერდზე ხაზგასმულია „ი. რომანიძე“ და მიწერილია: „ი. ბაქრაძე ხომ არ არის? ი. გრ.“; მწერლის ბიბლიოთეკაში დაცულ 1878 წლის გაზ. „დროებაზე“ (№ 139) მიწერილია: „ლექსი პლექტერის – ი. რომანიძის თარგმ. – ი. ბაქრაძეა? ი. გრ.“; 1938 წ. გამოცემულ ი. ბაქრაძის ლექსების კრებულზე წამძღვარებულ ს. ყუბანეიშვილის შესავალ წერილზე, სადაც საუბარია მწერლის ფსევდონიმებზე, არშიაზე მიწერილია: „დანარჩენებში დარწმუნებული ხარ? მაგ., „გ. ციმაკ.“, „ი. რომანიძე“...“

აღსანიშნავია, რომ ი. გრიშაშვილი ფსევდონიმ „ი. რომანიძეს“ სამჯერ ეხება და სამივე შემთხვევაში კითხვის ქვეშ აყენებს (სათუოს ხდის) ი. ბაქრაძის ავტორობას. ი. გრიშაშვილის „ფსევდონიმების ლექსიკონში“ კი გამომცემლის მიერ აღნიშნული ფსევდონიმის ავტორად ყოვლგვარი შენიშვნის

<sup>1</sup> კ. რამიშვილი, ფ. კვაჭანტირაძე, ქართული საბავშვო ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1881-1927) ნაწ. I, თბ., 1987, გვ. 101, № 1687.

<sup>2</sup> „იოეგ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. I, გვ. 370. – ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია. – თ.მ.

<sup>3</sup> „იოეგ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. II, ნაწ. I, თბ., 1982, გვ. 129.

<sup>4</sup> იქვე, ტ. I, გვ. 40.

(კითხვით ნიშნის) გარეშე გამოცხადებულა ი. ბაქრაძე<sup>1</sup>, რაც სწორი არ არის.

დასახელებული ფსევდონიმით დაინგერესდა ქ. ბურჯანაძე, რომელიც წერს: „ფიქრობთ, ი. ბაქრაძესვე უნდა ეკუთვნოდეს ფსევდონიმი ი.რომანიძე. ამ ფსევდონიმით დაიბეჭდა საყმაწვილო ჟურნალ „წყაროში“ ლექსი „ყმაწვილის ლოცვა“, გაზ. „ღროუბაში“ „ანგარებიანი (ანგარიშიანი – თ. მ.) სიყვარული“, რომლის ორი სტროფი ი. ბაქრაძის არქივშიც აღმოჩნდა, პოეტის მიერ ჩასწორებული“<sup>2</sup>.

მეორე სტაგიაში ქ. ბურჯანაძე იოსების ფსევდონიმებში „ი. რომანიძეს“ უკვე აღარ დასახელებს<sup>3</sup>. რატომ? შეიყვალა მოსაზრება, თუ გამოჩა? ერთი სიგყვით, ასეთი ვითარების გამო საბოლოოდ დასადგენია, ეინ არის ი.რომანიძე.

ფსევდონიმების გაშიფრვისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ, ი. რომანიძის „ანგარიშიანი სიყვარულის“ წინ გაბეთში დაბეჭდილია სხვა ავგორის ლექსი, რომლის სათაურია „უანგარო სიყვარული“<sup>4</sup>. ორივე ლექსის შინაარსის დაწვრილებითმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ საქმე გვაქვს ერთი და იმავე ავგორის ნაწარმოებებთან.

მხატვრულობის მხრივ დასახელებული ლექსები არაფრით გამოირჩევა და იმ ღროისთვის ნიშანდობლივია, მაგრამ მიუხედავად ამისა ლიგერატურის ისტორიის თვალსაზრისით მათი შესწავლა საჭიროა.

ლექში „უანგარო სიყვარული“ შეყვარებული ქალი მშობელს აგყობინებს, რომ მისი გული ისწრაფვის საგროფოსადმი, მის გარეშე სიყოცხლე უშინაარსოა, უხალისოა. ქალი ვერ გაერეკა, თუ როგორ მოხდა, როგორ დაეუფლა, დაიმორჩილა მისი გული ვაჟმა, სძინავს თუ ღვიძავს, სულ მასზე ფიქრობს.

ვაჟის სიყვარულის გამო ქალი მეგისმეგად გამწარებულია, გულდათუთქულია; ყველა ჰყავს დაეიწყებული, მარგო

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილი, ფსევდონიმების ლექსიკონი, გვ.39.

<sup>2</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 143, სქოლ. 21. – ხამგასმა ჩვენია, – თ. მ.

<sup>3</sup> ქსე, ტ. 2, გვ. 241.

<sup>4</sup> სოსიკო ბაქრაძე, უანგარო სიყვარული, „ღროუბა“, 1878, 14 იენისი, № 115.

ის აგონდება. შეყვარებული ქალი მშობელს განუმარტავს: მართალია, ჩემი საგრფო ღარიბია, მაგრამ სხვა მხრივ ყოველნაირად სრულყოფილიაო. „მე მინდა, ქმრად კაცი მყავდეს და არ ბრიყვი მდიდრის შვილი“. ქალი შებრალებას სთხოვს მშობელს, რადგან მისი ბედია, რომ ის ვაჟი უნდა უყვარდეს.

როგორც ვხედავთ, ქალს სიყვარულში ანგარება არ ამოქმედებს, მისი სიყვარული უმწიკელოა, უბიწოა; მისი გრფილება მხოლოდ წმინდა გრძნობაზეა დამყარებული.

მეორე ლექსში „ანგარიშიანი სიყვარული“ აღწერილია დაბინდების სურათი, მთვარის ამოსვლა და „მყუდროებითა დამტკბარი არე“. ასეთ გარემოცვაში ქალ-ვაჟი მიაქროლებენ ცხენებს და ქალი ტკბილი ხმით შეჰლიდინებს ბადრ მთვარეს. ვაჟი საგრფოს ღიდხანს აღევნებდა თვალს, რათა მასში გრძნობა აღედრა, მაგრამ საგრფო იყო გრფიალი არა ვაჟისა, არამედ ბადრი მთვარისა. ბოლოს ვაჟმა ველარ გაუძლო სიყვარულის ძლიერ ძალას, დაედევნა შეყვარებულს, ცხენი მოსწია თავისკენ და საგრფოს ჰკითხა: „რას ითხოვ ჩემგან, რომ მთელი გულით შემიყვარო?“ ქალმა ვაჟს თვალი გადააველო და უპასუხა: „ჩემი სიყვარული გსურს? თუ გაქვს ურიცხვი შემოსავალი, ეს ჩემი გულიც შენი იქნება!“

ლექსის მიხედვით, ქალი ყველაფერს წინასწარ ანგარიშობს, იოვალისწინებს. მას სურს, ქმარს ღიდი შემოსავალი ჰქონდეს, ანუ მდიდარი იყოს. მარგო ასეთ შემთხვევაში შეიყვარებს ქალი ვაჟს. „ანგარიშიან სიყვარულში“ ქალს მხოლოდ გამორჩენის მიზანი, მაგერიალური სიკეთისაკენ სწრაფვა ამოქმედებს.

როგორც ვხედავთ, ლექსებში დაპირისპირებულია, ერთი მხრივ, ჭეშმარიტი, წმინდა გრძნობაზე დამყარებული სიყვარული, რომლის დროსაც ქალი გადალახავს სიღარიბის შეგრძნებას, ეკონომიურ სიღუბჭირეს და დაემორჩილება თავის ბედს, ხოლო მეორე მხრივ – მაშინდელი ცხოვრების პირობებით გამოწვეული ფუქსავატი, ფუფუნებასა და დროსგარებას მიჩვეული ქალის სურვილი – მდიდრული ცხოვრება, მდიდარი, დიდშემოსავლიანი კაცის სიყვარული.

ვინ უნდა იყოს ამ ლექსების ავტორი?

ჩვენი მოსაზრებით, ორივე ლექსის ავტორია იოსებ ბაქრაძე, რაზეც მეტყველებს ქვემოთ ჩამოთვლილი ცნობები:

1. ორივე ლექსი ერთი და იმავე ავტორისაა, რაზეც მეტყველებს მათი ავებულება (ორივე 5-სტროფიანია), ენა, სტილი და სხვ. მონაცემები.

2. „სოსიკო ბაქრაძე“ იოსებ ბაქრაძის ცნობილი ფსევდონიმია.

3. ლექსებში სიყვარულის შესახებ გადმოცემულია საპირისპირო მოსაზრებები. რაიმე საგნის ან მოვლენის უფრო ნათლად წარმოსაჩენად ი. ბაქრაძე ხშირად იყენებდა კონგრასტებს, როგორც მხაგერულ ხერხს. მაგალითად, ლექსი „ბაღში“ შედგება ორი 8-8-გაეპიანი სტროფისაგან. პირველ სტროფში გადმოცემულია საზოგადოების შეძლებული წრიდან გამოსული ბავშვების ბედნიერი ცხოვრება და სიხალისე, ხოლო მეორე სტროფში – მშრომელი გლეხის ბავშვების სიღუბკირე და დაბეჩავებული მდგომარეობა.

პოეგმა ასეთი ურთიერთდაპირისპირების მხაგერული ხერხით (კონგრასტი) უფრო ნათელი გახალა ორი სამყაროს სოციალური სურათი და ა. შ.

4. ორივე ლექსი დაბეჭდილია გაზეთის ერთ ნომერში, რაც შეიძლება გაკეთებულიყო რედაქციასთან დაახლოებული პირის მიერ, ასეთად კი იმ დროს იოსებ ბაქრაძეა საგულეებელი, როგორც მისი ცხოვრება-მოღვაწეობიდან შეიძლება დაეასკენათ.

5. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ლექსები გარკვეული თანამიმდევრობით ერთმანეთს მისდევს – გაზეთში დაბეჭდილია ჯერ „უანგარო სიყვარული“, მერე – „ანგარიშიანი სიყვარული“. ამით პოეგი ყურადღებას ამახვილებს ცხოვრებაში ახლად მოვლენილი კლასის წარმომადგენლების უმნეობასა და მომხვეჭელობაზე.

6. ფსევდონიმი „რომანიძე“ წარმომდგარი უნდა იყოს სიგყვა რომანიდან, რადგან საქმე გვაქვს სიყვარულთან, ლექსებში გადმოცემულია სამიჯნურო ურთიერთობა ქალსა და ვაქს შორის. ფსევდონიმის მსგავს შედგენას, ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, ი. ბაქრაძე სხვა დროსაც მიმართავდა. მაგალითად, ხელმოწერა „ი. ოქრიაშვილი“ (წარმოდგება

სიყვავა „ოქროდან“) გამოყენებული აქვს ისეთ ლექსებში, რომლებშიც საუბარია მშრომელი კაცის სიღატაკებზე, საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაჭირვებაზე, მომხვეჭელობაზე, გადაჯვარებაზე და ა. შ.

7. დასასრულ, როგორც ქ. ბურჯანაძე აღნიშნავს, „ანგარიშიანი სიყვარული“ ი. ბაქრაძის მიერ ჩასწორებული ორი სტროფი პოეტის არქივში აღმოჩნდა.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების ერთ მთლიანობაში (კომპლექსურად) გააზრების შედეგად საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ხელმოწერა „ი. რომანიძე“ და, მამასადაბე, ამ ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსები იოსებ ბაქრაძეს ეკუთვნის.

## 7. ი. ბ-ძე

1890 წლის გაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა მანტეგაცას თხზულება „სამშობლოს ძლიერი სიყვარული ანუ ექსტაზი“, რომელიც თარგმნა და შენიშვნები დაურთო ი. ბ-ძემ<sup>1</sup>.

როგორც ირკვევა, აღნიშნული ხელმოწერა ეკუთვნის ი. ბაქრაძეს. საქმე ის არის, რომ ერთი თვის შემდეგ იმავე გაზეთში გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „დედის ძლიერი სიყვარული ანუ ექსტაზი“<sup>2</sup>. სტატიას ავტორი არ აწერია, სამაგიეროდ აღნიშნულია მთარგმნელის ვინაობა – ი. ბაქრაძე. წყაროებით დადგენილია, რომ ორივე წერილის ავტორია ცნობილი იტალიელი მწერალი და ანთროპოლოგი პაოლო მანტეგაცა (დაიბადა 1831 წ.); ხოლო თარგმანების შეჯერებით საშუალება გვებეჭვება გავიგოთ პირველი წერილის („სამშობლოს ძლიერი სიყვარული“...) მთარგმნელის – ი.ბაქრაძის ვინაობა.

## 8. ს. ბა-ძე

1882 წელს გამოცემულ წიგნში „სალამური ანუ ლექსთა კრება“ შეტანილია ლექსი „ჩვენს პოეტს აკაკის“, რომელსაც

<sup>1</sup> „ივერია“, 1890, 25 მაისი, № 107, 26 მაისი, № 108.

<sup>2</sup> „ივერია“, 1890, 20 ივლისი, № 155; 21 ივლისი, № 156.

ხელს აწერს ს. ბაძე. წიგნის საკუთარ ეგზემპლარზე ლექსის ბოლოს ავგორის კრიპტონიმთან ი. გრიშაშვილს მიუწერია: „ი. ბაქრაძე? სოსიკო. ი. გრ.“<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, მკვლევარს ავგორობა სათუოდ მიაჩნდა, რადგან ავგორის გვარს კითხვითი ნიშნით მიუთითებდა. იგი რაიმე წყაროს არ ასახელებს. ალბათ, ხელმოწერას შიფრავს პოეტის მეორე ფსევდონიმთან („სოსიკო ბაქრაძე“) შეპირისპირების გზით. აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ეს ლექსი შეგანილი არ არის 1938 წ. გამოცემულ ი. ბაქრაძის ლექსთა კრებულში.

1987 წ. გამოქვეყნდა ი. გრიშაშვილის „ფსევდონიმების ლექსიკონი“, რომელშიც ყოველგვარი კომენტარის გარეშე ბაქრაძის გვარს მოცილებული აქვს კითხვითი ნიშანი, ე. ი. ავგორმა ავგორის ნების გარეშე კრიპტონიმის და, მამასადა-მე, ლექსის უეჭველ ავგორად ი. ბაქრაძე ჩათვალა<sup>2</sup>.

ასეთ ვითარებაში საბოლოოდ გაურკვეველი რჩება ვინ არის ინიციალებს ამოფარებული პიროვნება. ლექსის სიგყვიერი მასალის და პოეტის მხატვრული შემოქმედების ზოგადმა გათვალისწინებამ დაგვარწმუნა, რომ ლექსის ავგორი შეიძლება იყოს იოსებ ბაქრაძე.

## 9. შენი ამხანაგი და ერდგული თელო გუნებაშვილი

1881 წლის ჟურნ. „წყაროში“ დაბეჭდილია საბავშვო მოთხრობა – „წიგნი შკოლის შეგირდის თედოსაგან თავის ამხანაგ ვასოსთან მიწერილი“. მოთხრობა ხელმოწერილია ფსევდონიმით. „შენი ამხანაგი და ერდგული თელო გუნებაშვილი“.

„თელო გუნებაშვილი“ საბავშვო ჟურნალების ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელში ნამდვილ სახელ-გვარად არის მიჩნე-

<sup>1</sup> „სალამური ანუ ლექსთა კრება“, ტფ., 1882, გვ. 27.

<sup>2</sup> „პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. I, გვ. 333, № 5465.

<sup>3</sup> ი. გრიშაშვილი, ფსევდონიმების ლექსიკონი, გვ. 60.

<sup>4</sup> „წყარო“, 1881, № 1, გვ. 3-12.

ული, ხოლო ქართული ჟურნალებისა და კრებულების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის სახელთა საძიებელში გაგანილიც კი არ არის<sup>1</sup>.

ჟურნ. „წყაროში“ დაბეჭდილ მოთხრობაში ჩართულია ი. ბაქრაძის ლექსი „კულქიცინა ჩემსა ცუგოს“. თუ ეს ლექსი მანამდე არსად დაბეჭდილა, მაშინ, შესაძლებელია, უსეველონიმი „თელო გუნებაშეილი“ იოსებს ეკუთვნოდეს და მოთხრობაც მისი იყოს.

## 10. თ. გ. ც.

ი. ბაქრაძის ლექსების კრებულის გამომცემელი სოლ. ყუბანეიშვილი ჩამოთვლის იმ უსეველონიმებს, რომელთა დადგენა სხვადასხვა გზით შეძლო, მათ შორის დასახელებულია ინიციალები „თ. გ. ც.“, რაც, ალბათ, ასე უნდა გაიშიფროს: „თავადი გ. ციმაკურიძე“. მკვლევარი დასძენს, რომ ჩამოთვლილი უსეველონიმებით გამოქვეყნებული ნაწერების ნაწილი აღმოჩნდა მწერლის არქივშიო. გარდა ამისა იოსების ოჯახის წევრები და მახლობლები ადასტურებენ აღნიშნული უსეველონიმების მწერლისადმი მიკუთვნებასო. კერძოდ, „თ. გ. ც.“-ს შესახებ კი არაფერია თქმული. ამ ინიციალებით ხელმოწერილი ლექსი „ერთ საღამოს, ჩემთვის მარად დილაამან“... პირველად გამოაქვეყნა სოლ. ყუბანეიშვილმა<sup>2</sup>.

ი. ბაქრაძის უსეველონიმებში ქ. ბურჯანაძეც მიუთითებს „თ. გ. ც.“ ინიციალებს<sup>3</sup>, ხოლო „ქართულ ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილ მის სტაგიაში კი აღნიშნული ხელმოწერა რაგომდაც აღარ იხსენიება<sup>4</sup>.

რა თქმა უნდა, მარტო არსებული მონაცემებით „თ. გ. ც.“ ინიციალების ბაქრაძისადმი მიკუთვნება სავსებით დამარ-

<sup>1</sup> კ. რამიშვილი, უ. კვაჭანტირაძე, ქართული საბავშვო ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1881-1927), ნაწ. I, თბ., 1987, გვ. 145.

<sup>2</sup> „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ნაკვ. II (1877-1892), თბ., 1941, გვ. 264, № 3776.

<sup>3</sup> ი. ბაქრაძე, დასახ. წიგნი, გვ. 64.

<sup>4</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 143.

<sup>5</sup> ქსე, ტ. 2, გვ. 241.



წმუნებლად ვერ ჩაითვლება, საჭიროა სხვა დამატებითი მასალების მოძიება.

## 11. სოსიკო

ი. ბაქრაძის ლექსების წიგნის საკუთარი ეგზემპლარის არშიაზე გრიშაშვილს შემდეგი საყურადღებო მინაწერი გაუკეთებია: „მე მგონი, კორესპ. ქართლიდან სოსიკოს ფსევდ. ბაქრაძეს ეკუთვნის. ი. გრ.“<sup>1</sup>. მოყვანილ მინაწერში სადავო თითქოს არაფერია, მაგრამ გექსგის არასწორი გააზრების გამო გაუგებრობა მაინც მოხდა.

ი. გრიშაშვილის „ფსევდონიმების ლექსიკონის“ შემდგენელს მინაწერზე დაყრდნობით ბაქრაძის ფსევდონიმად ამოუწერია. „კორესპონდენტი ქართლიდან სოსიკო“<sup>2</sup>. სინამდვილეში გრიშაშვილის მინაწერი ასე უნდა გაეიფოთ: „მე მგონი, კორესპ[ონდენციები] ქართლიდან სოსიკოს ფსევდ[ონიმით] ბაქრაძეს ეკუთვნის“, ე. ი. გრიშაშვილი ბაქრაძის ფსევდონიმად ასახელებს „სოსიკო“-ს და არა „კორესპონდენტი ქართლიდან სოსიკო“-ს. ამასთან, „სოსიკოს“ ფსევდონიმით ქართლიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებს მკვლევარი საუარაულოდ მიაწერს („მე მგონი“...) ი. ბაქრაძეს კი არა კატეგორიულად, ამიტომ ლექსიკონში ფსევდონიმთან ფრჩხილებში ჩასმული კითხვითი ნიშანი უნდა დასმულიყო, როგორც ეს მიღებულია სათანადო ლიტერატურაში.

გრიშაშვილის ვარაუდი არ მართლდება, რადგან „სოსიკოს“ ხელმოწერით ბაქრაძის არც ერთი კორესპონდენცია ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. მართალია, აღნიშნული ფსევდონიმით მაშინდელ გაზეთებში გვხვდება წერილები და კორესპონდენციები, მაგრამ მათი ავტორი, როგორც ასლა ირკვევა, სხვა არის.

„სოსიკო“-ს ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილია რამდენიმე კორესპონდენცია. 1877 წლის გაზეთში გამოქვეყნებული წერილის სათაურია „თფილისილამ გორის უეზლი-

<sup>1</sup> „პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. 1, გვ. 40, ხაზგასმა ჩვენია. – თ.მ.

<sup>2</sup> ი. გრიშაშვილი, ფსევდონიმების ლექსიკონი, გვ. 42.

საკენ“. მასში საუბარია კინტოების მიერ გლეხის მოტყუების შესახებ, გორში დადგმულ „ხათაბალას“ წარმოდგენაზე, ნ. გაბუნიას კარგი თამაშის შესახებ<sup>1</sup>.

1885 წლის გაზეთში „სოსიკო“-ს ხელმოწერით გამოქვეყნებულია სამი კორესპონდენცია, რომლებშიც აღწერილია კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა იარაღის აყრა, მევახშე იოსებ ქავთარაძის საქმე, მწერლების უღირსი კამათი ბაღებში; გორის საზოგადოებრივი ცხოვრება; გლეხთა საქმიანობა; ქურობის მოსპობა, მოსაყალიბ<sup>2</sup>.

1888 წლის „დროებაში“ სოფ. მუხრანიდან დაბეჭდილ კორესპონდენციაში საუბარია ჩარჩ-ვაჭრებზე, ი. მუხრან-ბაგონის მარანისა და სასახლის შესახებ<sup>3</sup>. იმავე წლის გაზეთ „ივერიაში“ „სოსიკოს“ ხელმოწერით გამოქვეყნებულის წერილი სათაურით „გლეხური ქორწილი ქვემო ქართლში“<sup>4</sup>.

გემოთ ჩამოთვლილი კორესპონდენციები ენის, სტილის, თემატიკის, წერის მანერის და ა. შ. მიხედვით ამკარად ჩანს, რომ ერთ პიროვნებას ეკუთვნის. გარდა ამისა, ვინც იცნობს ი. ბაქრაძის ცხოვრება-მოღვაწეობას, მისთვის ამკარაა, რომ ამ კორესპონდენციებში გადმოცემული ამბები არასოდეს შედიოდა მისი ინტერესების სფეროში. ამდენად „სოსიკოს“ ხელმოწერილ წერილებზე უნდა გამოვრიცხოთ ბაქრაძის ავტორობა.

როგორც გამოვარკვეით, ქართლიდან (კერძოდ, გორის მაზრიდან) კორესპონდენციების გამომგზავნი „სოსიკო“ არის ბაქრაძის თანამედროვე ცნობილი გლეხი პოეტი იოსებ დაეითაშვილი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ქურნალ-გამეტებში სხვადასხვა ინიციალებითა და ფსევდონიმებით.

## 12. იო და ი. ო.

1889 წლის ქურნ. „თეატრში“ დაბეჭდილია ორიგინალური და ნათარგმნი ლექსები, რომლებსაც ხელს აწერს „იო“

<sup>1</sup> „დროება“, 1877, 11 ნომბერი, № 118.

<sup>2</sup> იქვე, 1885, 7 ივლისი, № 144; 8 ივლისი, № 161; 27 აგვისტო, № 184.

<sup>3</sup> იქვე, 1888, 1 სექტემბერი, № 187.

<sup>4</sup> „ივერია“, 1888, 23 სექტემბერი, № 199.

და „ი.ო.“. ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ბოლო დრომდე კამათი მიმდინარეობდა, თუ ვის ეკუთვნოდა აღნიშნული ხელმოწერები.

ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელში ფსევდონიმი „იო“ მიკუთვნებული აქვს იოსებ ბაქრაძეს<sup>1</sup>. ამ ნაშრომზე დაყრდნობით, ბაქრაძის ლექსების წიგნის საკუთარ ეგზემპლარზე ი. გრიშაშვილს მიუწერია: „1889 წ. „ივერიაში“ („თეატრში“. – თ.მ.) ბევრი ლექსია იოსებ ფსევდ. იო (იოსებ ბაქრაძეა)“...<sup>2</sup> გ. გაჩეჩილაძემაც „იო“ ი. ბაქრაძის ფსევდონიმად ჩათვალა<sup>3</sup>. ასევე ფიქრობენ შ. რევიშვილი<sup>4</sup> და ვ. კავთიაშვილიც<sup>5</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობდა განსხვავებული მოსაზრება. ს.ყუბანეიშვილი, რომელიც უშუალოდ მუშაობდა პოეტის არქივზე და პირველწყაროებში იკვლევდა ი. ბაქრაძის ფსევდონიმებს, პოეტის ლექსთა კრებულის წინასიტყვაობაში წერდა: „... მხოლოდ შემდეგი ფსევდონიმებით ნაწერი ლექსების დადგენა შეეძელით: ი. ელაქაძე (ი. ელაქიძე. – თ.მ.), ი.ოქრიაშვილი, გ. თენაძე, გ. ციმაკურიძე და გ. ც. სი. ამ ფსევდონიმებით ნაწერი ლექსების ავტოგრაფების ნაწილი აღმოჩნდა იოსების არქივში“<sup>6</sup>. მკვლევარმა, სავსებით მართებულად, „იო“-ს ხელმოწერით ჟურნ. „თეატრში“ გამოქვეყნებული ლექსები პოეტის წიგნში არ შეიტანა. უფრო მოგვიანებით, როცა ქ. ბურჯანაძემ საფუძვლიანად შეისწავლა ი.

<sup>1</sup> „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ნაკვ. II, გვ. 392.

<sup>2</sup> „პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. I, გვ. 42.

<sup>3</sup> გ. გაჩეჩილაძე, ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები, „ლიტერატურული გაზეთი“, 1956, 20 იანვარი, № 3; მისივე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1966.

<sup>4</sup> შ. რევიშვილი, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1969, გვ. 210.

<sup>5</sup> ვ. კავთიაშვილი, ეტიუდები გერმანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1991, გვ. 115.

<sup>6</sup> ი. ბაქრაძე, დასახ. წიგნი, წინასიტყვე.

ბაქრაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა, პოეტის უსეედონიმთა შორის არც მან დაასახელა უსეედონიმი „იო“.

ნ. მარის მოწაფე ეუკ. ბერიძე მასწავლებლისადმი მიძღვნილ სტაგიაში ამბობს, რომ 1889 წლის გაზ. „თეატრში“ „იო“-ს უსეედონიმით იგი ბეჭდავდა ლექსებს (უმთავრესად ბაირონისა და ჰაინეს ლექსების თარგმანებს)<sup>1</sup>. მწერალი ნ. აგიაშვილიც სხვა მეკლევართა შრომებზე დაყრდნობით განსახილველ უსეედონიმს ნ. მარის უსეედონიმად თვლის<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, შემდეგში ი. გრიშაშვილი განსაკუთრებით დაინტერესებულა „იო“-ს ვინაობით და ცნობების შეგროვება დაუწყია მასზე. ნ. მარის შესახებ შეკრებილ მასალებში ი. გრიშაშვილს ჩაუნიშნაეს: „შალვა დადიანმა მითხრა, რომ ნიკო მარი უსეედონიმით „იო“ ლექსებს წერდა ეურნალ „თეატრში“ 1889 წელს. მართალია. ი. გრიშაშვილი“<sup>3</sup>.

უსეედონიმებზე დაწერილ სპეციალურ გამოკვლევაში გრიშაშვილი წერს: „ნიკო მარმა პირველად ლექსით დაიწყო მოღვაწეობა. მისი უსეედონიმი იყო იო“<sup>4</sup>. იმავე გამოკვლევაში მეორე ადგილას აღნიშნაეს. „ასევე შეცდომით „იო“ იოსებ ბაქრაძის უსეედონიმად არის გამოცხადებული“<sup>5</sup>. როგორც ვხედავთ, ი. გრიშაშვილმა საბოლოოდ გაარკვია, რომ „იო“ ნიკო მარის უსეედონიმი იყო.

მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსულ „უსეედონიმების ლექსიკონში“ კი გამომცემელი ავტორად ასახელებს ორივეს – როგორც ი. ბაქრაძეს, ისე ნ. მარს, რაც აშკარად შეცდომაა<sup>6</sup>.

ბოლო წლებში ნ. გრიგორაშვილმა გამოაქვეყნა მ. ჭიჭინაძისადმი მიწერილი ნ. მარის წერილები, რამაც საბოლოო-

<sup>1</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. წერილი, გვ. 143; ქსე, ტ. 2, გვ. 241.

<sup>2</sup> „მნათობი“, 1964, № 1.

<sup>3</sup> ნ. აგიაშვილი, პირად-პირადი, თბ., 1986, გვ. 7-8.

<sup>4</sup> ი. გრიშაშვილი, თბზ., ტ. IV, თბ., 1985, გვ. 365; ნ. გრიგორაშვილი, ნიკო მარის წერილები ზაქარია ჭიჭინაძეს, „მაცნე“, ელს, 1988, № 2, გვ. 132.

<sup>5</sup> ი. გრიშაშვილი, უსეედონიმებისა და კრიპტოგრაფების (კრიპტონიმების. – თ.მ.) ამოხსნისათვის, „მნათობი“, 1969, № 5, გვ. 122.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 124. – ხაზგასმა ჩვენია. – თ.მ.

<sup>7</sup> ი. გრიშაშვილი, უსეედონიმების ლექსიკონი, გვ. 38.

ოდ ნათელი მოკჳინა დიდი ხნის სადაეო საკითხს'. ყოველივე ზემოთქმულის გამო „იო“-სთან მიწერილ იოსებ ბაქრაძის გვარი დასახელებული ლექსიკონიდან ამოღებული უნდა იქნეს.

### 13. ი-ო

აღნიშნული ინიციალებით გაზ. „იერიამი“ გამოქვეყნდა მოთხრობა „ქლისტე აღზღა, დედა! (საადღგომო სურათი)“<sup>1</sup>. ამ ინიციალებს გაზეთის ბიბლიოგრაფიული აღმწერლები აკუთვნებენ ი. ბაქრაძეს<sup>2</sup>. ალბათ, გულისხმობენ, ინიციალები არის მწერლის ცნობილი ფსევდონიმის „ი. იქრიაშვილი“ დასაწყისი ასოები: ი(იოსებ) – ო (ოქრიაშვილი). სხვა რაიმე მინიშნება ამის შესახებ არ არსებობს. მარტო ამაზე დაყრდნობა კი საეჭვოა, რადგან არა გვაქვს ცნობა, რომ მწერალს თავისი კალამი ყმაწვილთათვის განკუთვნილ პროზაშიც გამოეცადოს.

სამაგიეროდ, მოცემულ პერიოდში ი.ო.-ს ხელმოწერით გამოქვეყნებული აქვს რელიგიური ხასიათის საბავშვო მოთხრობა „მუარველი ანგელოზი“ ცნობილ პედაგოგს იოსებ ოცხელს<sup>3</sup>. ამიგომ გამორიცხული არ არის საუარაუდო ავტორად ისიც ვიგულისხმოთ.

საბოლოოდ „ი-ო“-ს ვინაობას დამატებითი ცნობების მოპოება დაადგენს.

### 14. ელბაქიძე

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია ლ. არღამიანის „მოთხრობების“ წიგნი<sup>4</sup>, რომელსაც დართული აქვს პ. კეშელავას მიერ შედგენილი მწერლის ნაწერების „ბიბლიოგრაფია“. წიგნის 236-ე გვერდზე გრიშაშვილს ხაზი გაუსვამს გვა-

<sup>1</sup> ნ. გრიგორაშვილი, დასახ. წერილი.

<sup>2</sup> „იერია“, 1898, 12 აპრილი, № 77.

<sup>3</sup> „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. V, ნაკვ. I, თბ., 1967, გვ. 474, № 5974.

<sup>4</sup> წგ-ში: „მუარველი ანგელოზი“. ყრმათათვის საკითხავი. ქუთაისი, 1895.

<sup>5</sup> ი. გიორგაძე, ქართული საბავშვო წიგნი (1823-1920), თბ., 1979, გვ. 25, № 109.

<sup>6</sup> ლ. არღამიანი, მოთხრობები, თბ., 1936.

რისათვის „ელბაქიძე“ და მიუწერია: „იხ. ს.მგალობლიშვილის (?) მოგონება. მგონი ი. ბაქრაძის ფსევდ.“<sup>1</sup> ხაზგასმული სიგყვა იმაზე მიუთითებს, რომ გრიშაშვილი, როცა გაეცნო „ბიბლიოგრაფიას“, გაახსენდა ბაქრაძის ანალოგიური ხელმოწერა („ი.ელაქიძე“) და გადასამოწმებლად ჩაუნიშნავს, რაც გაურკვეველი მიზეზის გამო აღარ შეუსრულებია, თორემ სხვა მხრივ „ელაქიძის“ ვინაობას არაფერი აქვს საერთო ფსევდონიმ „ი. ელბაქიძესთან“. პ. კეშელავას „ბიბლიოგრაფიაში“ გარკვევით წერია: „ალექსი ელბაქიძე – „თრიოლე სიგყვა შესახებ თერგდალეულის სტაგისა“. იხ. 1863 წ. „ცისკარი“, იენისის ნომერი. არღამიანის პომიციებს იცავს. წერილის სტილი ძალიან გავს არღამიანის ნაწერების სტილს“<sup>2</sup>.

რა თქმა უნდა, გრიშაშვილს რომ გადაემოწმებინა მის მიერ ბეპირად მითითებული წყარო (ს. მგალობლიშვილის „მოგონებები“), თვითონვე უარყოფდა სათუო ავტორობას. გრიშაშვილის სამუშაო (შესამოწმებელი) ჩანაწერი კი მის „ფსევდონიმების ლექსიკონში“ გამომცემლის მიერ შეგანილია როგორც სათუო ფსევდონიმი: „მგონი ი. ბაქრაძის ფსევდონიმია“, რაც სწორი არ არის. ამიგომ როგორც გაუგებრობის შედეგი, ხელმოწერა „ელბაქიძე“ ამოღებული უნდა იქნეს „ლექსიკონიდან“.

იოსებ ბაქრაძის ნაწერების შესწავლის შედეგად საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ მწერლის ფსევდონიმური ხელმოწერები იყოფა სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის პოეგის უცყუარი ხელმოწერები: ი.ელაქიძე, სოსიკო ოქრიაშვილი, გ. თენაძე, გ. ციმაკურიძე, სოსიკო ბაქრაძე, რომანიძე, ი. რომანიძე, ი. ბ-ძე; მეორე ჯგუფში შედის სათუო ხელმოწერები, ანუ ისეთი ხელმოწერები, რომლებშიც საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი ავტორობის საკითხი და დამატებით შესწავლას თხოულობენ: მენი ამხანაგი და ერდგული თედო გუნებაშვილი, თ. გ.ც., ს.ბა-ძე; მესამე ჯგუფში შედის ის ხელმოწერები, რომლებიც საბოლოოდ დადგენილია, რომ ისინი არ ეკუთვნის მწერალს: სოსიკო, იო, ი-ო, ელბაქიძე.

<sup>1</sup> „პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. I, გვ. 23. – ხაზგასმა ჩვენია. – თ.მ.

<sup>2</sup> ლ. არღამიანი, მოთხრობები, გვ. 236.

<sup>3</sup> ი. გრიშაშვილი, ფსევდონიმების ლექსიკონი, გვ. 29.

## იოსებ ბაქრაძის მხატვრული შემოქმედება

XIX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგიდან მშრომელი გლეხობის ინტერესების დამცველად საქართველოში გამოდის ქართველი დემოკრატიული ახალგაზრდობის ახალი ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს არსებული წყობილების დამხობას და გლეხობისათვის მიწისა და თავისუფლების მოპოვებას. ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი „ხალხში გავიდნენ“, რათა გაეჩაღებინათ რევოლუციური აგიტაცია, და განეწყოთ გლეხობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი ხალხოსნების სახელით არიან ცნობილი.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მათ ჩამოაყალიბეს მრავალრიცხოვანი საიდუმლო ორგანიზაციები და ენერგიული არალეგალური მუშაობა გააჩაღეს. აღსანიშნავია, რომ ქართველ ხალხოსნებს შეძლებისდა გვარად პრაქტიკულად ეხმარებოდნენ და იდეურ ხელმძღვანელობას უწევდნენ რუსი ხალხოსნები, თუმცა ქართველი ხალხოსნების სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები ბოგოერთ საკითხში განსხვავდებოდა რუსი ხალხოსნების პროგრამისაგან, რაც განპირობებული იყო საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების თავისებურებებით, კერძოდ, მისი კოლონიური მდგომარეობით. ამიტომ ქართველ ხალხოსნებს არ შეეძლოთ გვერდი აეელოთ ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილებისათვის და მათ კიდევაც გაითვალისწინეს თავიანთ პროგრამაში ეროვნული საკითხი. მაგრამ ისინი პირველ რიგში სოციალურ პრობლემებს აყენებდნენ, ეროვნულ საკითხს კი მერე განიხილავდნენ.

ქართველი ხალხოსნების რევოლუციურ აგიტაციას, მათს „ხალხში გასვლას“ თითქმის არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, გლეხობამ არ მოუსმინა მათ აგიტაციას. ეს აიხსნება იმით, რომ ხალხოსნები კარგად არ იცნობდნენ გლეხობის ცხოვრებას და არ იცოდნენ ის გზა, რომელსაც შეეძლო მშრომელი ხალხისთვის თავისუფლებისა და ბედნიერების მოგანა.

რევოლუციონერი ხალხოსნების მოძრაობის გამოქვეყნების შემდეგ მეფის მთავრობამ შეძლო მოკლე დროში გაენადგურებინა ხალხოსანთა მთავარი კერები. მოძრაობის აქტიურ მონაწილეთა უმეტესობა დააპატიმრეს, ზოგიერთი მათგანი გააციმბირეს, ზოგიერთი კი იძულებით გაიხიზნა სამშობლოდან. ამრიგად, რევოლუციურად განწყობილი ხალხოსნები დამარცხდნენ, მაგრამ მათ შემართებით ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის გამოუხიზლებლისა და ახალგაზრდობის რევოლუციური განწყობილებებით აღზრდის საქმეში.

მეფის მთავრობის ქანდარმერიის მიერ ხალხოსნების ფარული ორგანიზაციების განადგურების შემდეგ, როცა ხალხოსნები დარწმუნდნენ, რომ „ხალხში გასვლას“ არაერთიანი შედეგი არ მოჰყვა, მათ ახალი გზების ძიება დაიწყეს – ხალხოსნების ერთი ნაწილი ისევ განაგრძობდა არალეგალურ საქმიანობას, ხოლო მეორე ნაწილმა კი ხელი აიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა რევოლუციური ბრძოლის იდეაზე და ქართველი გლეხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით ფიქრობდა. ამის შესახებ ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი წერს: „რაკი ხალხში ვერა გაეაწყეთ რა, ჩვენი მოქმედების ფრონტი და ტაქტიკა შეეცვალეთ, გადაეწყვიტეთ, მასწავლებლებს გვემოქმედნა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ხელოსნებზე, გვემართნა იაფუფასიანი სახალხო წარმოდგენებით“. ასეთი საშუალებებით აპირებდნენ ისინი ხალხისათვის კეთილდღეობისა და ბედნიერების მოპოვებას. ამ ხალხოსანთა ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო იოსებ ბაქრაძე.

ხალხოსნური იდეების მცდარობა 80-90-იანი წლებიდან თანდათან ნათელი ხდებოდა. კაპიტალიზმის განვითარება და კლასთა ბრძოლის გამწვავება საქართველოში ძირს უთხრიდა ხალხოსნურ შეხედულებებს. 90-იან წლებში კი ხალხოსნობამ, როგორც იდეურმა მიმდინარეობამ, საბოლოო მარცხი განიცადა. ამის შემდგომ ქართველ ხალხოსანთა უმრავლესობა გამ. „ივერიის“ გარშემო შემოიკრიბა და აქტიურად მონა-



წილებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა.

ხალხოსნური მოძრაობის ისტორიულ-სამზოგადობრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის გლეხური დემოკრატიის იდეოლოგიას წარმოადგენდა. ხალხოსნებმა ვერ გაიგეს მუშათა კლასის ისტორიული მნიშვნელობა, რითაც თავისდა უნებურად აფერხებდნენ მუშათა და გლეხთა ნამდვილ რევოლუციურ მოძრაობას.

70-80-იან წლებში ქართულ ლიბერალურებაში შესამჩნევი ადგილი ეკავათ ხალხოსან მწერლებს. ისინი თავიანთ ნაწარმოებებში რეალისტურ ფერებში ხაზავდნენ ქართული გლეხობის ღუხჭირ ცხოვრებას და გადმოსცემდნენ იმდროინდელი წყობილების კრიტიკას ხალხოსნური იდეების შეხედულებებისა და მიხედვით. ერთი სიტყვით, ეს იყო ხალხის ინტერესების ამსახველი ჰუმანური და დემოკრატიული ლიბერალურება. XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველ ხალხოსნებს „ტეგიათა მოგრაფიალებს“ უწოდებდნენ<sup>1</sup>.

როგორც თავისი ხალხის ერთგულმა შვილმა და პატრიოტმა მწერალმა-მოქალაქემ, „ქართველ ხალხოსან მწერალთა შორის ი. ბაქრაძემ პოეტური სიტყვით გამოთქვა ის იდეალები და სურვილები, რასაც ემსახურებოდა მისი თანამედროვე მოწინავე სამზოგადობა. გამოთქვა მეგად მკაფიოდ, საბრძოლო პათოსით, ხალხისა და ერის უდიდესი სიყვარულით, ნატიფი, ღრმა გრძნობითა და ხალხისთვის გასაგები, სადა ენით“<sup>2</sup>.

\* \* \*

გემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხალხოსნები თავისი მოღვაწეობის დროს უპირველესად სოციალურ პრობლემებს აყენებდნენ. მათგან არ გამოირჩეოდა არც ი. ბაქრაძე. ის თავის

<sup>1</sup> ხალხოსნობაზე საქართველოში დაწერ. იხ.: პ. რატიანი, საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 129; ქსე, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 425 და სხვ.

<sup>2</sup> ქ. ბურჯანაძე, რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მივიწყებულ პოეტზე, „სისკარი“, 1972, 6, გვ. 149.

პრაქტიკულ მოღვაწეობასა და მხატვრულ ნაწარმოებებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა სოციალურ საკითხებს და, ამიგომ, შემთხვევითი არ არის, რომ მისი მხატვრული შემოქმედების ძირითადი მოტივი სწორედ სოციალური მოტივი იყო.

ი. ბაქრაძე იყო მშრომელი ხალხის, გლეხთა ცხოვრების კარგი მცოდნე, მათი შესაიდუმლე, ამიგომ იგი ყოველთვის ცდილობდა გლეხთა აუტანელი მდგომარეობა რაც შეიძლება მთელი სიმწვავეითა და სიეხადით დაენახებინა. გლეხკაცის უნუგემო მდგომარეობა იოსებმა გამოხატა ლექსში „სიმღერა“ (1878), რომელიც მოგლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსიდან მომდინარეობს<sup>1</sup>:

არც სახლი მაქვს, არც კარი,  
ეარ შრომის ანაბარად,  
ბეცა და მთა და ბარი  
მიმაჩნია სახლ-კარად.

ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად უშრომლად ნაშონ სიმღიდრეს გულში არ გავიგარებ და რასაც შრომით მოვიპოვებ, იმითი გავიხარებო, – დასძენს ეს უსახლკარო ბეჩაეი. იგი მცირედითაც კმაყოფილდება, მაშინ როდესაც „ბრიყვი მდიდარი კაცი მუდამ ფულეებზე ზრუნავს“, პატიოსან მშრომელ გლეხს ლუკმა პურიც ყოფნის და სიამაყის გრძნობით აცხადებს:

დავდივარ და ვიმღერი,  
ქარი ბანს მეუბნება...  
ჩამოდექით, მდიდრებო,  
ღარიბი მობრძანდება!

საკურადლებოა ლექსის ისგორია. მოყვანილ ლექსს თავის დროზე ისეთი ღიდი გამოხმბაურება ჰქონდა, რომ ე. წ. „მდიდრებს“ შორის მას აღელეება გამოუწვევია. გადმოცემით, ერთ-ერთ ნაცნობს პოეტისათვის აღშფოთებული განუც

<sup>1</sup> აღ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისგორია, გ. IV, თბ., 1986, გვ. 397-398.

ხადებია: „კი გაგეხარდებათ, რომ ჩვენ მდიდრებმა გზა მოგცეთ, მაგრამ ამას ვერ მოესწრებით... ეგლა გვაკლია, რომ ჩვენ მდიდრები გადაედგეთ და ბურთი და მოედანი ღარიბებს დარჩეთ“<sup>1</sup>. სოფ. მგალობლიშვილის მოგონებით კი, ლექსის გამოქვეყნებისთანავე პოლიტიკურ პატიმარს ვასო დეკანოზიშვილს ის გაუერცელებია ტუსალებს შორის, რომლებსაც სასიმღეროდ გადაუკეთებიათ<sup>2</sup>.

აქვე უნდა დავიხსნათ, რომ პოეგმა ლექსი დაწერა 1878 წელს და გამოაქვეყნა „ივერიაში“ სოსიკო ოქრიაშვილის ხელმოწერით<sup>3</sup>. რამდენიმე თვის შემდეგ ის გადაბეჭდა გაზ. „დროებაში“, რომელსაც დაერთვის გაზეთის რედაქციის შემდეგი შენიშვნა: „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში ვნახეთ ქვემომოყვანილი ლექსი, რომელიც ისე მოგვეწონა, რომ ვერ მოვითმინეთ, ჩვენი მკითხველებისთვისაც არ წაგვეკითხვინებინაო“<sup>4</sup>. როგორც ვხედავთ, ლექსს რედაქცია მაღალ შეფასებას აძლევს. ლექსი მესამეჯერ დაიბეჭდა 1880 წელს გაზ. „დროებაში“ და ა. შ. ამიგომ შესწორებას საჭიროებს ცნობა, თითქოს „ეს ლექსი... ხელნაწერის სახით ერცელდებოდა, რადგან პირველად იგი დაიბეჭდა 1880 წ. გაზეთ „დროების“ 106-ე ნომერში“<sup>5</sup>.

1884 წელს გაზ. „დროებაში“ გ. ციმაკურიძის ხელმოწერით გამოქვეყნდა ი. ბაქრაძის ლექსი „ბაღში“ (29 მარტი, 70). ის შედგება ორი 8-გაეპიანი სტროფისგან. ყურადსაღებია ლექსის შინაარსი. ბაღში ყოფნისას პოეგმა შეამჩნია ბავშვების ორი მოთამაშე ჯგუფი. პირველ სტროფში დასურათებულია მაღალი საზოგადოებიდან გამოსული ბავშვების გალაღებული ცხოვრება, რომელიც თურმე, კისკისობდნენ, ცელქობდნენ, ნავარლობდნენ, ხან ვარდს კრეფდნენ, ხან პეპლებს დასდევდნენ და ჩიგების ჟრიაშულით ხარობდნენ. პოეგი ღმერთს ეხვეწება, როცა ისინი წამოიზრდებიან, „რომ იმათ-

<sup>1</sup> ი. ბაქრაძე, კრებული, გვ. 8.

<sup>2</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 107-108.

<sup>3</sup> „ივერია“, 1878, 4, გვ. 10.

<sup>4</sup> „დროება“, 1879, 8 აპრილი, 72, - დაყოფა ჩვენია, თ. შ.

<sup>5</sup> „დროება“, 1880, 21 მაისი, 106.

<sup>6</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 141-142.

გან ელოდებოდნენ შეეღას – ქერივ-ობოლი, დევნული, და-  
განჯული“.

მეორე სტროფში კი საპირისპირო ფერებში აღწერილია  
გლეხის შვილები. პოეტი წერს:

იქვე ვხედავ საწყლად მობუმულებსა,  
შრომისა და სიღარიბის შვილებსა,  
დაძონძილი სამოსელი აცვიათ,  
ულვთო შრომის დალი ყველას ატყვიათ.  
ღმერთო, ღმერთო! შენ იყაეი მათია,  
შენ მომადლე ყველას ძალა შრომისა...

კონკრეტულ შემთხვევაში პოეტმა ურთიერთდაპირისპი-  
რების (კონტრასტების) საშუალებით უფრო თვალსაჩინო გა-  
ხადა ორი სამყაროს სოციალური გარემო. პოეტს კარგად ეს-  
მის, რომ ღარიბისა და დაბეჩავებულის გამკითხავი, შემბრა-  
ლებელი მხოლოდ მისივე მსგავსი ღარიბია.

ი. ბაქრაძის შემოქმედების გაცნობით მკითხველი  
რწმუნდება, რომ პოეტი ნათლად ხედავს და მთელი სიმძაფ-  
რით განიცდის ახალ პირობებში შექმნილ უსამართლო სოცი-  
ალურ ურთიერთობას და მკითხველშიც აღძრავს დაბეჩავე-  
ბულთადმი სიბრალულის გრძნობას, გარკვეულ სიმშატიას.  
სწორედ ამამია ი. ბაქრაძის ლექსების მნიშვნელობა და მისი  
საზოგადოებრივი ღირებულება.

\* \* \*

როგორც ხალხოსან მწერალს, ი. ბაქრაძეს მიზნად  
ქჷონდა დასახული ხალხის ეკონომიური ცხოვრების გაუმჯო-  
ბესება. ეკონომიური უმრუნველყოფა ხალხის გადარჩენისა  
და ადამიანური ცხოვრების ელემენტარული პირობების მო-  
პოვების ძირითადი საწინდარი იყო.

ი. ბაქრაძემ კარგად იცის, კაპიტალიზაციის პროცესის  
შედეგად დარღვეული სოფლის ავ-კარგი, იგი ხედავს, რომ  
შრომისგან წელში გაწყვეტილი, ილაჯგამოლეული გლეხი  
ყველას მიერ ექსპლოატაციის საგნად არის გადაქცეული. მას

დაწერილი აქვს საყმაწვილო პოემა „საწყალი გიგა“, რომელშიც პოეტი გლეხებს ასე ათქმევინებს:

დღე და ღამე ოფლში ვცურავთ,  
საქმეს ვსჩადით ღვთის საამოს;  
სჩანს, ბედმა წილად გვარგუნა,  
ჩვენ ვიშრომით და სხვამ სჭამოს.

ი. ბაქრაძის დამსახურება ის არის, რომ მან თავის ლექსებში გამოააშკარავა მაშინდელი ცხოვრების უარყოფითი მხარეები, გლეხობის უფლებააყრილი მდგომარეობა, იმდროინდელი ცხოვრების უსამართლობა. პოეტი მტკივნეულად განიცდის გლეხის აუტანელ ეკონომიურ და უფლებრივ შევიწროებას. ამასთან, პოეტი გვიჩვენებს, რომ ეს პატიოსანი მშრომელები სულიერად თავიანთ მჩაგვრელებზე ბევრად მაღლა დგანან, რომ ეს დამონებული გლეხი და მუშა ცხოვრების მთავარი ძალაა და უკეთესი მომავლის საფუძველია. იგი ჩაგრულ ხალხში ხედავდა ადამიანის საუკეთესო თვისებებს და სულიერ სილამაზეს.

ი. ბაქრაძემ არა ერთი ლექსი მიუძღვნა მშრომელ გლეხობას, მის ალალ შრომას, გამრჯე მარჯვენას, ადამიანური ღირსების დაცვას. პოეტი შემდეგნაირად მიმართავს გლეხს:

შენი შრომა, სიმამაცე  
იყო ყველას შესამური;  
შენც იმ შრომას არ ზოგავდი,  
რომ გეშოვნა ლუკმა პური.  
მაშ მიმშლით სასიკედლოთ  
მითხარ, ძმაო, ვინ გაგწირა,  
ნუთუ ღმერთმა შენი შრომა  
კეთილად არ შეიწირა?...

(„შენი შრომა, სიმამაცე“, 1881)

მართალია, ი. ბაქრაძის ლირიკაში მძაფრად არის დახატული მშრომელი ხალხის მძიმე და აუტანელი ცხოვრება, მაგრამ არ ჩანს მინიშნება იმ მიზეზებზე, რაც განაპირობებდა

მშრომელთა ასეთ აუტანელ მდგომარეობას. პოეტს სწამდა, რომ არსებული უბედურების მიზეზია არა სოციალური განსხვავება, კლასობრივი საზოგადოების არსებობა, არამედ გულქვა, უგრძობელი ადამიანების არსებობა; რომ სიკეთით, პატიოსნებით, სინდისითა და სიმართლით შეიძლება ბედნიერების მიღწევა. სწორედ ამასი უნდა დავინახოთ ხალხოსან მწერალთა და, კერძოდ, იოსების მხატვრული შემოქმედების სუსტი მხარე.

ი. ბაქრაძის ლექსებში ხალხის უმთავრეს მგრად გამოცხადებულია უსწავლელობა, ცრუმორწმუნეობა, ჩარჩ-ვაჭრები, სახელმწიფო მოხელეები და არა ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა. ძირითადად სწორედ ამით განსხვავდება მისი შემოქმედება ქართველ კლასიკოსთა ნაწერებისაგან. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ არა მარაგო საფუძვლიანად და მრავალმხრივ გაამუქეს ხალხის გაუბედურებული ცხოვრება, არამედ ნათლად აღნიშნეს, რომ უბედურების მთავარი მიზეზი უსამართლობაზე აგებული სოციალური წყობილება იყო.

ხალხოსანმა მწერლებმა და მათ შორის ი. ბაქრაძემაც მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით ენერგიულად დაუწყეს ბრძოლა ხალხის ცხოვრების მაენე მხარეებს. მათ სურდათ, ხალხისთვის თვალი აეხილათ, საზოგადოების პატიოსანი ნაწილი სათანადოდ აღეზარდათ, რათა ისინი მთელი შეგნებით ჩაბმულიყვნენ თავისი ცხოვრების უკეთ მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად. 1881 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ლექსში პოეტი წერდა:

ძმავ, მკითხავ მიზეზს შენის განჯვისას,  
გსურს გაიგო – რად ხარ მშვიერ-მწყურვალნი,  
რად არ ხელავ ნაყოფს შენი შრომისას  
და რადა ხარ ბედისა მოტირალი?

აწ სინდისს, ძმავ, ყურს ვილა უგდებს,  
ის ყველასთვის მეტი გვირთი გამხდარა;  
ვინც გამვლელ და გამომვლელს არ აგყუებს,  
მისი საქმე იცოდე რომ წამხდარა!

მუშაობით თუნდ წელშიაც სწყდებოდე,  
თუ მიჰყვები სინდისსა და სიმართლეს,  
ჩემო კარგო, დრო არის, რომ იცოდე,  
ასე ქცევა გამოგილევს სინათლეს.

(„ჩემს მეგობარს“, 1881).

ხალხოსანი მწერლები ლიგერატურულ შემოქმედებას ისე უყურებდნენ, როგორც პუბლიცისტიკას, როგორც ხალხის გამოფხიზლებას, მისი მდგომარეობის გარკვევას, მისი უკეთესი მომავლის მოპოვების საშუალებას. ი. ბაქრაძე, ხალხოსნების მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ეყრდნობოდა რა გლეხობას, ვერ ითვალისწინებდა მუშათა კლასის ისტორიულ როლს და კაპიტალიზმის განვითარების მნიშვნელობას. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ასეთმა გაგებამ და ამ ნიადაგზე გამოიშვა მუშაობის შეხედულებამ პოეტი სამოქმედოდ ჩააბა ხალხში კულტურული ღონის ასამაღლებლად და მათში მებრძოლური სულისკვეთების გასაღვიძებლად. მართალია, მან ვერ დაგვიხატა მუშაობის გლეხთა გიჟები, მაგრამ შესაფერისად მიანიშნა გაბაგონებულ სოციალურ უსამართლობაზე და ამის საწინააღმდეგოდ დაჩაგრულთ მოუწოდა:

ძმანო! გამხნედი... ჩვენ სიყმაწვილით  
სინაზეს არ ვართ მიჩვეულები...  
თუ აწ ვიჩაგვრით მგარვალთა ხელით,  
შემდეგ ვიქნებით თავისუფლები...  
მხოლოდ ერთმანეთს ხელი-ხელს მივსცეთ,  
ისე აღუდგეთ ჩვენსა მძარცველებს,  
უსამართლობას თავგარი დაესცეთ,  
მაშინ მზე ჩვენცა გამოგვინათებს.

(„გლეხების სიმღერა“, 1878)

\* \* \*

სოციალური უკუღმართობა, მშრომელთა მძიმე, დუხჭირი მდგომარეობა პოეტში იწვევდა მწარე ფიქრებსა და განცდებს, მაგრამ იგი გულში სევდას არ იკარებდა და ყოველთვის უკეთესი მომავლის იმედი ჰქონდა. მშრომელი გლეხო-

ბისადმი შემწეობისა და დახმარების მიზნით, იოსები ხშირად გლეხობაში გრიალებდა, უხსნიდა მათ განათლების მნიშვნელობასა და სარგებლობას, არწმუნებდა, რომ სწავლა დაეხმარებოდა მათ ცხოვრების უკეთ მოსაწყობად. ამ თეალსაზრისით საინგერესოა მწერლის ცოლისდის ელ. მამულაშვილისასადის „მოგონებიდან“ ერთი ადგილი: იოსებს „ძალიან ებრალებოდა გლეხკაცობა და, როცა კი სოფელში ამოვიდოდა ხოლმე, გლეხკაცობა შემოეხვეოდა მას და დაუწყებდა ხოლმე ბაასს, გამოკითხვას, თავიანთ გაჭირვებას უხსნიდნენ ისინი და ისიც ნუგემს აძლევდა, რომ კიდევ მოითმინეთ და მალე შეიძლება დაგიდგეთ ისეთი დრო, რომ თქვენ თითონ დანატროდეთ თქვენ თავსო“...<sup>1</sup>

ი. ბაქრაძის შემოქმედების მთავარი თემა ქართველი გლეხობის ყოფა-ცხოვრება იყო. პოეტი არაერთხელ გამოეყომაგა ჩავრულ გლეხობას. მას დაწერილი აქვს მრავალი შესანიშნავი ლექსი („სიმღერა“, „გლეხის საღამო“, „შენი შრომა, სიმამაცე“, „სიმღერა მთესველისა“ და ა. შ.), რომლებშიც განჯული გლეხობის ფიქრები და გრძნობებია გამოხატული. ასე, მაგალითად, ვრცელ ლექსში „გლეხის საღამო“ (1878) პოეტი აგვიწერს ბატონყმობის შემდეგდროინდელი საზოგადოების კლასობრივ ურთიერთობას და უსამართლობას, როდესაც ერთნი აუტანლად მძიმედ შრომობენ, მაგრამ მაინც დიდ სიღუბჭირეს განიცდიან, ხოლო მეორენი სხვისი შრომით დაგროვილი დოვლათით გალაღებულ ცხოვრებას მისდევენ და ყოველმხრივ ბედნიერად ცხოვრობენ:

შრომისა შეილო! წლის მოსავალი  
ნუ გეგონება, რომ ისე მოსცდეს,  
რომ ჭირნახულის ახალ მოსულამდინ  
იგი შენთვისა არა კმაროდეს.  
მაგრამ შენს შრომას, შენს ჭირნახულსა  
მრავალნი უქმნი შემოსუქერიან.  
შენ შრომისაგან წელში იხრები  
და იგინი კი მხოლოდ მღერიან...

<sup>1</sup> საქ. ლიგ. მუზ. ხელნაწერი, · 20815.



დასახელებულ ლექსში პოეტი აგვიწერს სოფლის სურათს – ზაფხულის დღეს შრომის შეილი – გლეხი ნამგლით მკის თავის უხემოსაელიან პურის ყანას. „აგერა მზემაც გადაიწვერა, მღვდელმა ლოცვისა ბარი დარეკა“, მწყემსმაც წამოიწყო სიმღერა და საქონელი წინ გაირეკა, სოფლის პაგარა ბიჭები ნახირს წინ მიეგებნენ და შინისაკენ ერეკებოდნენ. სოფლის განაპირას დგას გლეხის სახლი, სადაც ცოლ-შვილი მოუთმენლად ელოდება დამამშვრალ მამას. დედა უმცროს შეილს პერანგს უკერავს, უფროსი შვილი კი საქმროს ელოდება. აგერ, სასიძოც გამოჩნდა, გლეხის ოჯახში დროებითმა მხიარულებამ დაისადგურა. ამ საერთო მხიარულების ფონზე პოეტი მიმართავს ლირიკულ წიაღსულას და სიყვარულის ძლიერ გრძნობას უგალობს, რითაც სურს მძიმე ცხოვრება რგორმე შეამსუბუქოს.

პოეტმა აგვიწერა ერთ-ერთი გლეხის ოჯახის სადამოს სურათი. გლეხოების ეს დიდი გულშემატკივარი სასოწარკვეთილი კითხულობს, რა ელის ხვალინდელი დღისთვის გლეხს? რას მოუგანს მას ხვალინდელი დღე? და თვითონვე უპასუხებს: ისევ მძიმე, არააღამიანურ შრომას, აუგანელ პირობებს. ამიგომ ოჯახის წევრები „ხვალინდელი დღისა შრომასა ერთმანეთშია ინაწილებდნენ“. შემდეგ კი „დასაძინებლად ყველანი დაწვნენ, რომ ადრიანად ხვალ მინდორშია კვალად ყანისა მკას შესდგომოდნენ“.

„ხვალინდელი დღის“ პრობლემას ეხება პოეტი მეორე ლექსში, რომელსაც „ჭმუნვა“ (1882) ეწოდება. მთელი დღე სულმოუთქმელად მუშაობს ოჯახის მარჩენალი, „შუბლით ჩამოსდის ოფლი წურწურით“. დადამდა, „აღარ სჩანს ქვეყნის ბოროტებანი“. შრომით დამშვრალს ისღა დარჩენია, რომ ღამე მაინც იყოს უდარლო, მოსვენებული. აი, როგორ ალაპარაკებს პოეტი გამწარებულ გლეხს:

მაგრამა ხვალა? ხვალაც ამგვარად  
შრომისა ოფლი უნდა დავეღვარო,  
რომა ჯალაბი ღვთისა ამარად  
ულუკმაპუროდ არა დავეყარო...

ი. ბაქრაძის ლექსებში ასახულია რეფორმის შემდეგ-დროინდელი გლეხთა ყოფა. 70-80-იან წლებში სოციალური დიფერენციაციის პროცესი საგრძნობლად გართულდა, გლეხკაცის ყოფამ რღვევა დაიწყო, თვით გლეხთა შიგნით ხდება დაყოფა, დაშლა. ყველა ვერ უძლებს ქვეყნის კაპიტალიზაციით შექმნილ პირობებს და უკიდურეს გადატაკების გზაზე დგება. მშრომელი გლეხობის ექსპლოატაცია უფრო გამწვავდა. უმიწაწყლო გლეხს მძიმე გვირგვინად დააწვა ბიუროკრატიული აპარატის, ჩინოვნიკური მოხელეების, ვაჭრების და ა. შ. წარმომადგენლები. პოეტი გვიხატავს გლეხის მდგომარეობას ახალ ისტორიულ ვითარებაში. ბატონყმობის გადავარდნამ გლეხკაცობა ვერ იხსნა ვაჭირებისა და უუფლებობისაგან. რეფორმა იყო გლეხთა მხოლოდ ფორმალური განთავისუფლება, ეკონომიურად გლეხი ისევ დამოკიდებული იყო მემამულისგან.

კაპიტალიზმის განვითარებამ სწრაფი ტემპით დააჩქარა ფეოდალური მეურნეობის დაშლა. დაირღვა სოფელი და პირველ რიგში გლეხის მეურნეობა. კიდევ უფრო გაუჭირდა გლეხს ცხოვრება.

ხალხოსნური მსოფლმხედველობა კაპიტალიზმის განვითარებას ვერ ეგუებოდა, მას უარყოფითად უყურებდა და ვერ ხედავდა კაპიტალიზმის განვითარების დადებით მხარეებს, ვერ ერკვეოდა ვაჭრობის განვითარების მნიშვნელობაში. ასევე იყო ი. ბაქრაძეც. მისი შეხედულებით, კაპიტალიზმის განვითარებას მშრომელთათვის, გლეხობისათვის მხოლოდ უბედურება მოაქვს. მშრომელი ხალხი კიდევ უფრო საშინელი ექსპლოატაციის საგნად ხდება. პოეტი განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა ჩარჩ-ვაჭრების მიმართ.

1880 წლის 10 იანვრის გამ. „დროებაში“ გამოქვეყნდა ი. ბაქრაძის ლექსი „გაუმარჯოს კოტრობას!“ ლექსი მრავალმხრივ არის საინტერესო. პოეტი ალაპარაკებს ლუკმა-პურს მონაგრებულ მშრომელ კაცს, რომელსაც საზოგადოება არაფრად აგლებდა და ქვეყნის მასხარად თვლიდა. მაგრამ მას ბედმა გაუღიმა და სხვადასხვა მაქინაციით გახდა „ყოვლის-

ფრითა სრული“. „უცებ გავხდი მდიდარი, თბილისის მოქალაქე“, „ეხლა კაცად მიცნობენ, ჩემს ბელსაც ნაგრულობენ“,

კოგრობით ვარ მდიდარი,  
ცეცხლიც ბევრს შემეწია;  
ჩემებრ ბევრი ვაჭარი  
დიდ ღოელათსა ეწია...

.....  
ვინც მასხრათა მიგლებდნენ,  
ეხლა მეფერებიან,

და რომ რამეს გამომრჩნენ,  
ფეხქვეშ მიგორდებიან...

.....  
სინამდის ვარ ვაჭარი,  
ჩემის ბედით დამკებარი  
და ეს პატივ-დიდება  
მექნება დაუმჯკნარი...

\* \* \*

ი. ბაქრაძემ 1878 წლის ეურნ. „ივერიის“ მეცხრე ნომერში სოსიკო ოქრიაშვილის ხელმოწერით გამოაქვეყნა 5-სტროფიანი ლექსი „ჩვენებური ექიმი (მიბაძეა)“.

საინტერესოა, რომ დასახელებული ლექსისთვის ყურადღება მიუქცევია ი. ვრიშაშვილს და მეტად საინტერესო ცნობები მიუწერია მის ბიბლიოთეკაში დაცულ პოეგის ლექსთა „კრებულზე“ („მიბაძეა“) რ. ერისთავისა. საზოგადოდ ეს თემა რუსული ლექსის მიბაძეაა. იხ. „Чтеи-леклам“.

მართლაც, ი. ბაქრაძის ლექსი, როგორც სათაურშიცაა მითითებული, წარმოადგენს მიბაძვას, მაგრამ არა რაფ. ერისთავის, არამედ უცნობი ავგორის რუსული ლექსისას, რაფიელისა და იოსების ლექსები საერთო წყაროდან მომდინარეობენ.

<sup>1</sup> „პოეტ-აკადემიკოს ი. ვრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, ტ. I, ქართული წიგნები, თბ., 1977, გვ. 40.

მკვლევარს შეუმჩნეველი დარჩა სწორედ მსგავსი ფორმისა და შინაარსის მესამე ლექსი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ხალხოსან მწერალსა და პუბლიცისტს მიხეილ ასათიანს (1849-1879). მიხ. ასათიანი აქტიურად მონაწილეობდა ქართველ ხალხოსანთა კურს. „იმედის“ დაარსებაში. მის მხატვრულ ნაწარმოებებში ძირითადად ასახულია ხალხოსანი ახალგაზრდობის მისწრაფებანი და იდეალები, დაბალი სოციალური ფენების უუფლებობა.

1881 წელს „იმედში“ გამოქვეყნდა მის მიერ რუსულიდან ნათარგმნი ლექსი, რომლის სახელწოდებაა „ახალ მოდის ექიმი“. ამრიგად, სამი ქართველი მთარგმნელის მიერ თითქმის ერთდროულად რუსულიდან ითარგმნა იმ დროს გავრცელებული უცნობი ავტორის ლექსი. იოსებ ბაქრაძისა და მიხ. ასათიანის თარგმანების მსგავსების ნათელსაყოფად პარალელურად მოვიყვანთ ორივე ლექსიდან შესატყვის ადგილებს.

ი. ბაქრაძის „ჩვენებური ექიმი“:

უწამლო ყოველგვარ სნეულობას,  
როგორც ერთხელვე მაქვს მიღებული,  
და პატივი ვცე ძველს მკურნალობას –  
ვარ მხიარული, ვარ მხიარული!

.....  
მაგრამ ვიკითხო კვალად წიგნები,  
ვადევნო თვალი მეცნიერებას,  
მე მაგისათვის აღარ მოვცდები...  
ღმერთმა დამიხსნას, ღმერთმა დამიხსნას!

მიხ. ასათიანის „ახალ მოდის ექიმი“:

ავადმყოფს ვარჩენ როგორც მომხვდება...  
ძველი წამლობა მაქვს მიღებული...  
და რა დამიშლის, რომ გულით ვიყო  
გახარებული, გახარებული!..

.....  
და რომ წიგნებით სგოლი ავაესო,  
ყური ვადევნო ახალ სწავლასა...

რომ ჩაეულრმავდე მეცნიერებას...  
პირს შეეაფურთხო ბარმაცობასა...  
ნება თქვენია, ამას ვერ ვიზამ!..  
მე ახლა ეს არ შემიფერება...  
რომ ბავშვისავეთ წიგნს გვერდს მიუჯდე,  
რას ეგვანება, რას ეგვანება!'

დავუბრუნდეთ ი. ბაქრაძის თარგმანს. ლექსში დაპირისპირებულია ორი სხვადასხვა თაობის მსოფლმხედველობა. პირველი, ახალი თაობის წარმომადგენელი, პირადი კეთილდღეობის დაკმაყოფილებაში ხედავს ბედნიერებასა და სიხარულს, ცხოვრების შინაარსს; ამისდა მიხედვით აფასებს ადამიანის დანიშნულებასა და მის სამოგადოებრივ ღირებულებას. მეორე კი, უფროსი თაობის წარმომადგენელი, პირიქით, ბედნიერებასა და სიხარულს ხედავს სამოგადლო ცხოვრების აღმავლობასა და აყვავებაში, გაჭირებულთა და დაჩაგრულთა უანგარო დახმარებაში.

ეს ლექსი საინტერესოა აგრეთვე არა მარტო თაობების შეხედულებათა დაპირისპირებით, არამედ სხვა მხრივაც. ახალი თაობის წარმომადგენელი, როცა სამოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა გზით მოიპოვებს მისთვის სასურველ მდგომარეობას, მოერგება მის თანამედროვე ცხოვრებას და თავის პირად კეთილ ცხოვრებას უბრუნველყოფს, გახდება „სამოგადო მოღვაწე“, იგი თავს ანებებს ცოდნის საფუძვლიან შეძენას, თავს აღარ იწუხებს მეცნიერების ახალი მონაპოვრების დასაუფლებლად, რათა უფრო შედეგიანი და ნაყოფიერი გახადოს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობა.

მწერალმა შეგნებულად დაგვიხატა „ახალი თაობის“ წარმომადგენლის ასეთი პორტრეტი, რათა ეჩვენებინა მაშინდელი თავადაზნაურული ინტელიგენციის ნაწილის მოქალაქეობრივად გაურკვეველი და სამოგადოებრივად უმოქმედო პოზიცია.

<sup>1</sup> „იმედი“, 1881, · 3-4, განყ. I, გვ. 126-129.

იოსებ ბაქრაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ მოტივს. მიუხედავად ძნელბედობის პერიოდისა, რომლის დროსაც იოსებს უხდებოდა მოღვაწეობა, მას აღმოაჩნდა მტკიცე ნებისყოფა და სიძნელეების გადალახვის შესაძური უნარი, რამაც გამოიყვანა ქართული მწერლობის ასპარეზზე და დიდხანს მოღვაწეობდა ისეთ დიდ შემოქმედთა გვერდით, როგორებიც იყვნენ: ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ნ. ლომოური და სხვ., რომლებთანაც ერთად თავისი მცირედი წვლილი შეჰქონდა ეროვნული ლიტერატურის გასაზრუნებლად. მას სწამდა, რომ ლიტერატურა ერთ-ერთი მეგად მოხერხებული საშუალებაა, რომლითაც მწერალი უნდა ებრძოდეს ძველ, დრომოჭმულ ცხოვრებას, ახალი ცხოვრების ყველა შემაფერხებელ მოყვინას, მწერლობა უნდა დაეხმაროს მშრომელ ხალხს ახალი თანასწორუფლებიანი ნორმალური ცხოვრების ჩამოსაყალიბებლად.

XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებზე აღმზრდილი პოეტი საახალწლოდ დაწერილ ერთ-ერთ ლექსში შემდეგნაირად მიმართავდა თანამოკალმეებს:

ვისაც მწერლობის დროშა გიჰყრიათ,  
 აწ თქვენთანაცა ვარ ალავერდი,  
 თქვენ მძიმე გვირუფი კისრად გიღიათ —  
 გსურთ, დაუბრუნოთ სამშობლოს ბედი.  
 მაგრამ ამ თქვენსა წმინდა სურვილსა  
 ჰყავს უთვალავი ხელის მომცრელი,  
 ვინც მტკიცედა სდევთ გზას დანიშნულსა,  
 მომილოცნია ახალი წელი!

(„მომილოცნია ახალი წელი“, 1882).

ამ პერიოდის ეროვნულ მოტივზე შექმნილი ლექსები ცარიზმისადმი ხალხის სიძულვილს აღვივებდა და განმათავისუფლებელი ბრძოლისკენ მოუწოდებდა. პოეტის ლექსები დამუხტულია იმ დიდი ეროვნული სულისკვეთებით, რომელიც

ქართულ მწერლობაში სამოციანელებმა შემოიგანეს. მათი მთავარი მიზანდასახულება იყო ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის. ეროვნულ-პატრიოტული იდეალები გამოხატულია ისეთ ლექსებში, როგორცაა: „მე ქართველი ვარ!“, „ჩემი სამშობლო“, „მომილოცნია ახალი წელი“, „დარდი“ და სხვ.

პოეგის პატრიოტულ ლექსებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნეში ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოსაფხიზლებლად.

ი. ბაქრაძე იყო თავის ქვეყანაზე უსამღეროდ შეყვარებული პიროვნება. მშობლიური ქვეყნისთვის თავდადებული და თავისი ხალხის ერთგული შვილი. 1875 წ. მან ი. ელაქაძის ხელმოწერით გამოაქვეყნა ქართულ პატრიოტულ ლირიკაში აღიარებული ერთ-ერთი მშვენიერი ლექსი „მე ქართველი ვარ“<sup>1</sup>. აღნიშნული ლექსი მოგვიანებით შეუგანიათ რაფ. ერისთავის იუბილისადმი მიძღვნილ წიგნში<sup>2</sup>. ამ წიგნის საკუთარ ცალბე ი. გრიშაშვილს მიუწერია: „ვისია ეს ლექსი? დუგუ მეგრელისა თუ იოსებ ბაქრაძისა“<sup>3</sup>? როგორც ჩანს, წიგნის გადათვალთვალებისას პოეგ-აკადემიკოსს გაახსენდა დ. მეგრელის ცნობილი ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“... მაგრამ ამ ლექსებს საერთო არაფერი აქეთ, გარდა პატრიოტული სულისკვეთებისა. ქ. ბურჯანაძის თქმით, ამ ლექსში „მკვეთრად მოისმის ი. ჭაუჭავაძის „აჩრდილის“ მოტივები“<sup>4</sup>.

პოეგი-პატრიოტი უდიდესი სიამაყის გრძნობით აცხადებს, რომ „მე ქართველი ვარ!“ ე. ი. ყურადღებას ამახვილებს თავის წარმომავლობაზე, ეროვნულობაზე. ამ სიტყვებით იწყება 7-სტროფიანი ლექსის ოთხი სტროფი. პოეგი იყენებს ანაფორული გამეორების მხატვრულ ხერხს, რითაც უფრო შთამბეჭდავს ხდის და მეტ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე:

<sup>1</sup> „დროების“ კალენდარი, 1875, ლიტერატურული ნაწილი, გვ. 31-32.

<sup>2</sup> „საერთო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო (1895 წ. 22 დეკემბრისთვის)“, თბ., 1899.

<sup>3</sup> პოეგ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, ტ. I, ნაკვ. 2, გვ. 102.

<sup>4</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 145.

მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო  
ორ ზღვას შუაა გააღჭიმული;  
თუმცე პაგარაა, მაგრამ ბუნებით  
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული...

მე ქართველი ვარ! მთლად ქართველობა  
რალაც ღრმა ძილში არის ჩაფლული  
და მამულისთვის არა ღელდება  
გაქეავებული იმისი გული!

მე ქართველი ვარ! მრწამს, რომ როდისმე  
წავა, გაივლის ეს ღრო ძილისა  
და ღლესა თუ ხვალ, უეჭველათა,  
გამობრწყინდება მზე მომავლისა...

80-იანი წლებიდან ი. ბაქრაძე თითქმის მთლიანად ეროვნული პრობლემით არის გატაცებული. თუ ადრე მწერალი თავის შემოქმედებაში ძირითადად სოციალურ საკითხებს ეხებოდა, 80-90-იან წლებში, პირიქით, ხალხში ეროვნული თვითმეგნების გაღვივებისა და გაზრდის მიზნით მწერალი ყურადღებას ამახვილებს უფრო ეროვნულ საკითხებზე.

პოეტი საბოლოოდ რწმუნდება, რომ წყნარი, კულტურული მოღვაწეობით შეუძლებელია მიწისა და თავისუფლების მოპოვება, საჭიროა ძალას ძალა დაუპირისპირდეს. ცხოვრებაზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ იოსები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ გლახთა გასაბედნიერებლად ახალი გზა თვითონ გლახობამ უნდა მოძებნოს და ისე განთავისუფლდეს მშრომელი ხალხი მჩაგვრელებისგან, რისთვისაც საჭიროა სოციალურ ბრძოლასთან ერთად პოლიტიკური ბრძოლა – არსებული ბიუროკრატიული წყობილების დამხობა.

მკაცრ საცენზურო პირობებში ი. ბაქრაძე ახერხებს გციმაკურიძის ხელმოწერით გამოაქვეყნოს ლექსი სახელწოდებით „აღარც რწმენა და აღარც სასოება“ („ღროება“, 1884, 30 ლექსები, 281), რომელშიც საგრფოს სახით ალევგორიულად პყავს გამოყვანილი რუსეთის იმპერიის მიერ დამონებუ-



ლი ან, როგორც თვითონ ამბობს, „ზამთრით დასუსხული“  
სამშობლო:

მეგობრები ნუგეშს ამითი მცემენ:  
„მოიცადე, მოვა გაზაფხულიო  
და შენს თვალწინ კვალად გაიფურჩქნება,  
შენი საგრაფო ზამთრით დასუსრულიო“...  
გულო, მაინც დაუჯერე მეგობრებს,  
გამხნევედი და მოიეც სასოება;  
ეს აედარი ერთხელც არი გადილებს,  
ამდენ აღმართს თავდაღმართიც ექნება.

ცენზორის თვალის ასახვევად პოეტს შეუთხზავს ალე-  
გორიული შინაარსის მეორე ლექსი, რომელშიც იგი ეძებს  
თავისი ქვეყნის ბედის ვარსკვლავს:

სად ხარ, სადა, ჰე, ვარსკვლავო?  
გელოდებით გულის ძგერით;  
უშენობით ზამთრის სუსხით  
გაკეთოშლით და დავიძერით.  
აკი ძველად ბრწყინვალეობით  
თავს ადექი შენს ივერსა  
და ბრძოლის ველს უნათებდი  
სახელოვანს იმის ერსა.

აწ გეაჯით, გამობრწყინდი,  
სხივნი შენნი მოგეაყარე  
და ესდენ ხნის შავი ბინდი  
გაჰფანტე და გადაჰყარე.

(1881 წ.)

მოყვანილი ლექსები და ამ პერიოდში პოეტის მიერ  
შექმნილი სხვა ლექსები („წარვლენ წელნი და სამშობლო  
მხარევ“, „თუგინდ ასტყდეს ქარიშხალი“, „1885 წ.“, „გამოხმობა“  
და სხვ.) ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლე-  
ბას ემსახურება და მომავლისადმი რწმენას უნერგავენ.

მომავლის იმედი ასულდგმულებს იოსებს, როდესაც ლექსში „გამოხმობა“ (ექო) კითხვებს სვამს: „ნუთუ არ დაუბრუნდება ქართველ ხალხს ბედნიერება?“ ან „განახლება ჩემი ერი, თუ მონობის ქვეშ დარჩება?“ თავისივე შეკითხვებზე მთების იქიდან ექო (გამოხმობა) დამაჯერებლად გამოსძახებს: „იღვიძეთ და განახლება!“

სხვა ლექსში კი პოეტი იმდენად დარწმუნებულია და ოპტიმისტურად არის განწყობილი მომავლისადმი, რომ მთელი კატეგორიულობით აცხადებს:

თუგინდ ასცყდეს ქარიშხალი,  
თუნდ ცამაც მოიშავედლოს,  
ვერაფერი მე ვერ გამხდის  
სულმოკლეს და უიმედოს!

(„თუგინდ ასცყდეს ქარიშხალი“)

1881 წლის ქურნ. „ივერიაში“ დაბეჭდილია ლექსი „ნუ კეარგავ იმელს!“, რომელსაც სათაურის ქვეშ ფრჩხილებში მიწერილი აქვს ინიციალები: „(ეუძლენი გ. დ. ქ.)“. პოეტის ლექსთა კრებულში აღნიშნული მიძღვნა რაგომდაც დაბეჭდილი არ არის<sup>1</sup>, ხოლო სპეციალურ ლიტერატურაში ინიციალები გაუხსნელია<sup>2</sup>, მაშინ როცა ამ ინიციალების გაშიფრვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ი. გრიშაშვილმა მის წიგნთსაცავში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერში მიაკვლია მიძღვნის აღრესაგის ვინაობას: „გ. დ. ქართველიშვილი“.

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი (1827-1901) იყო ცნობილი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე. მისი ხარჯით 1885 წ. დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“ და „ეფუხისგყაოსნის“ 1888 წ. მდიდრული გა-

<sup>1</sup> „ივერია“, 1881, 3, გვ. 52-53.

<sup>2</sup> ი. ბაქრაძე, კრებული, თბ., 1938, გვ. 43.

<sup>3</sup> თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია, ილია ჭავჭავაძე. ბიობიბლიოგრაფია. 1857-1907. თბ., 1966, გვ. 50, 292 და 641 (საძიებელი).

<sup>4</sup> ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1977, გვ. 40.

მოცემა მიხ. ზიჩის ილუსტრაციებით. 1883-1885 წლებში გ.ქართველიშვილი იყო გაზეთ „დროების“ გამომცემელი. როგორც მოყვანილი მიძღვნიდან ირკვევა, პოეტი ახლო ურთიერთობაში ყოფილა მასთან:

ნუ ჰკარგავ იმედს,  
რომ ქართველისა ბედს,  
აწ გადაჰკერია შავი ღრუბელი;  
და იმის ეარსკვლავს,  
მომავლით მბრწყინავს,  
უმლის მოჰყინოს თვისი ნათელი.  
ამგვარნი დრონი,  
ძნელ მოსაგონნი,  
ჩვენ წინაპართაც ბევრჯერ სდგომიათ;  
მაგრამ იმედი,  
წინამორბედი  
მათ არასოდეს არ დაჰკარგვიათ...  
ახლაც მოვა დრო,  
ტკბილ სანეგარო,  
ბედის ეარსკვლავი კელავ აღმოხდება  
და ეს ღრუბელი,  
შავი და ბნელი,  
ანაზღვეულად გაიფანტება!..

\* \* \*

ი. ბაქრაძის მთელ რიგ ლექსებში გადმოცემულია წარსულის იდეალიზაცია, რაც დაკავშირებული იყო ეროვნულ მოტივთან. საქართველოს ძველი დიდება, სამშობლოს წარსული, ქართველი ხალხის მძიმე ეკონომიური სიდუხჭირე, საქართველოს ეროვნული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, – აი ძირითადი პრობლემები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდა პოეტს. მავალითად, ლექსში „ჩემი სამშობლო“ პოეტი იგონებს და მწარედ მისტირის წარსულს:

შენ არ იცი ჩემი სამშობლო მხარე?  
ორ ზღვას შუა იგი სიგურით ბრწყინავს,  
მრავალ ბრძოლათ მოწამე მისი არე,  
ბევრს აკვირვებს, ბევრის თვალსა იზიდავს.  
იგი იყო ძველად გმირთა აკლდამა,  
მაგრამ ბელმა ამ ბოლო დროს აწამა...

არ გინახავს მამ შენ ჩემი მამული?  
სიდიდითა ის არ არის განთქმული;  
პატარაა, მაგრამ მარგალიტია,  
გალიაში დამწყვედული ჩიგია.  
ელის დროს, რომ დაიბრუნოს ღიღება,  
რისათვისაც ბევრჯერ სისხლით იღება...

პოეტი დაწერილი აქვს ვრცელი ლექსი „დარდი“, რომლის შინაარსი სახეებით შეესაბამება იმდროინდელ პროგრესულ იდეებსა და მიზნებს, მაგრამ ის დაწერილია პუბლიცისტურ სტილში, მასში უხვად არის დამრიგებლობითი ხასიათის ელემენტები და შორს არის ნამდვილი ლირიკიდან. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ი. ბაქრაძესთან სჭარბობს პუბლიცისტური მსჯელობები, რის სანიმუშოდ აქვე მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს დასახელებული ლექსიდან:

წარვიდა, გაჰქრა ძველი გმირობა,  
აწმყო წარსულსა აღარ იგონებს,  
სამშობლო მხარის უბედურება  
ეხლანდელს ქართველს აღარ აღელვებს.  
მის ბაგეთაგან აწ აღარ ისმის  
ძველი გმირული ვაჟკაცთ სიმღერა  
და აღარც ესმის, თუ რასა ჰქვიან  
მამულისათვის გულისა ძგერა.  
სამშობლო მხარე, მის ერთგულება  
ეხლა იმისთვის არის სიმშარი  
და მისი ოხერა, განჯვა, ვაება,  
სრულიად მტკნარად გაუგებარი.  
უდარდელობა, მხიარულობა,

ცხოვრების საგნად აქვს დაღებული;  
მოძმის ღალატი, მტრის ერთგულება  
სისხლ-ხორცადა აქვს გადაქცეული...  
იმხიარულე ქართველისა შეილო!  
წუთისოფლიდამ სხვა რა გაგყვება;  
შენს რას დაეძებ, თუ საქართველო  
უმზუნველყოფით აწ იგანჯება...

ლექსი აღსანიშნავია იმ მხრივაც, რომ მასში მუქ ფერებში დახატული საქართველოს მაშინდელი ცხოვრება საოცრად ეხმაურება თანამედროვეობას.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, თითქმის არც ერთი ეროვნული მოძრაობა არ ჩაგარებულა, ი. ბაქრაძეს რომ აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. მაგ., როცა დიმიტრი ყიფიანს კრძალავდნენ, მეუის ხელისუფლებამ შეიმუშავა დასაფლავების სპეციალური გეგმა, თუ რომელი გზით უნდა წასულიყო დამკრძალავი პროცესია, რათა ეროვნულ მღელვარებასა და ანგისახელმწიფოებრივ მანიფესტაციებში არ გადაზრდილიყო. 1887 წ. 8 ნოემბერს პოლიციას შეუდგენია სია იმ პირებისა, რომლებიც დასაფლავების დროს აკრძალული გზით გაპყვენენ დიმ. ყიფიანის ცხედარს, მათ შორის დასახელებული არიან: ილ. ჭავეჭავაძე, აკ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, „აზნაური იოსებ ბაქრაძე“ და სხვ.<sup>1</sup>

\* \* \*

ი. ბაქრაძის შემოქმედებაში მცირე ადგილი არ უჭირავს სიყვარულის თემას. თავის დროზე პოეტს ერთგვარი პოპულარობა მოუპოვეს საგროფიალო-სამიჯნურო ლექსებმა, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ მის ორიგინალურ თუ ნათარგმნ საგროფიალო ლექსებს ხალხში მღეროდნენ. მაგ., პოეტის თარგმნილ ჰაინეს უსათაურო ლექსს „ტურფავ, ტურფავ,

<sup>1</sup> სამედიკინო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი. მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ამრის ისტორიისათვის. I, შეადგინა და გამოისაცემად მოამზადა თ. ჯოლოგუამ. თბ., 1997, გვ. 128.

რას უყურებ, მოაცურე ჩემსკენ ნავი“, ბოლო დრომდე ესტრადაზე და ხალხში მღერიან.

ი. ბაქრაძე სიყვარულის გრძნობის სულიერ მხარეს უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს. ამ გრძნობას იგი თვლის უმაღლეს ადამიანურ ღირსებად. პოეგისიქმით, სიყვარული ადამიანის ღიდი ბედნიერებაა. სიყვარული ადამიანს აძლევინებს ყოველგვარ დარდსა და ჭირ-ვარაშს, ჰმატებს გამბედაობასა და სივაჟაკეს:

ოხ, სიყვარულო! ნეტავი იმას,  
ვის გემო შენი აქვს გაგებული;  
გულის აღმგაცო, ცხოვრების წყაროვ,  
ვისგნით ხარ ქვეყნად მოვლინებული?  
თვით ღვთაებრივი მასწავლებელი  
უქადაგებდა ხალხს სიყვარულსა;  
მეც მას თაყვანს ვცემ, თუმც ღღევანდლამდის  
იგი უწყალოდ მიკოდავს გულსა...

(„გლეხის სადამო“)

პოეგი მთელი გულითა და განცდებით მოგადად უმღერის სიყვარულის მწველ გრძნობას. აქ არ იგულისხმება კონკრეტული პირი (ობიექტი). ამ შემთხვევაში მოხდენილად გამოყენებული მიმართვის ფორმა მოგადად სიყვარულისადმი („ოხ, სიყვარულო! ნეტავი იმას“...).

უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ბაქრაძის საგრფილო ღირიკაში, მართალია, ძირითადად მოცემულია მოგადად ქალისადმი გრფილება, არ არის დასახელებული სიყვარულის ობიექტი, მაგრამ მოგჯერ აშკარად შეინიშნება პოეგის ფაქიზი მიმართვები რეალური პიროვნებისადმი, კონკრეტული ქალისადმი. ასეთია, მაგალითად, ლექსი „აღბომში \*\*\*-სას“. თვითონ ლექსის სათაურიც სწორედ ამამე მიანიშნებს. ლექსი მიძღვნილია გარკვეული პიროვნებისადმი, რომლის ვინაობის გამოძღავენებაც მწერალმა არ ისურვა და კრიპტონიმებით აღნიშნა.

ი. ბაქრაძეს დაწერილი აქვს ლექსი სახელწოდებით „საგრფილოსადმი“, რომელშიც პოეგი როგორც მხატვრულ



უნდა აღინიშნოს, რომ ი. ბაქრაძის პოეზიაში გამონაკლისის სახით ფიზიკური, ხორციელი სიყვარულის ნიშნებიც გვხვდება. მაგალითად, 1883 წლის გაზ. „დროებაში“ ი. ბაქრაძემ გამოაქვეყნა კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი „გაზაფხული და ჩვენი მწერლობა“, რომელშიც ჩართულია მისი ლექსები. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ვკითხულობთ:

გრფობისადმი შექმნილო,  
აწ დადგა გაზაფხული;  
მთლად ჰყვავის მთა და მღელო,  
გულს სწყურის სიყვარული...

მაშინ, ტურფავ, უწყოდე,  
იმ ადგილს გელოდები,  
სადაც ერთხელაც კოცნით  
დაგიწითლე ლოყები.

და თუ ეხლაც იმ ალაგს,  
ტურფავ, მონარნარდები,

აღტაცებით აღსავსე  
შენს მკერდს დავეკონები.

(„\*\*\*“-სას“)

პოეტის შემოქმედებაში მოიპოვება ისეთი საგრფილო ლექსებიც, რომლებსაც პოეტი აქებს ქალის გარეგნულ მხარეს, სილამაზეს, მომხიბლველობასა და სინარნარეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც იგი არ სცილდება ზომიერებას და საგრფოსადმი მიმართვის დროს კეთილშობილური განწყობილებით იფარგლება.

პოეტის გადმოცემით, ერთ სადამოს საგრფო მოეჩვენა, მაგრამ მას ვერ ეამბორა, რადგან საშუალება არ მისცა შემინულმა სარკმელმა (ფანჯარამ). პოეტს სანანებელი გახლომა, რომ გულის სწორისთვის არ უამბორებია. „აწ ვინანი, ბაგე რად არ შევახე, აწ, მან, მიწამ, რად დამიგო მე მახე!“ გულმოკლული პოეტი ამოიკვნესებს: „მისკენ რბოდნენ სული, გუ-



ლი დაგელი, ოპ, ძნელია მოგრუე იმედდახშული!“ (ლექსი „ერთ საღამოს!“).

ქვემოთ მოყვანილ ლექსში პოეტს გადმოცემული აქვს ლირიკული გმირის სულიერი განწყობილება საყვარელ არსებთან განშორებისა და კელავ დაბრუნების დროს. საღამო ეამს პოეტი ოცნებებშია დარჩენილი, მისი გული და გონება მთლიანად მიჰყრობილია შეყვარებულისადმი. საგრუოს სახე თვალწინ წარმოუდგება მანამდე, ვიდრე მთიები სამყაროს არ გაანათებენ, მერე კი კვალად შორდება და საბრალოს მარტო გოვებს.

პოეტი თავის შეყვარებულს მიმართავს:

ბედნიერებით დამტკბარი  
შენს ფერხთ წინაშე ვიხრები:  
დაგტრუი, დაგმდერი, დაგხარი  
და გრძნობის ცრემლად ვიღვრები.

და გეტრუი სინამ მთიები  
არ განანათლებს სამყაროს,  
მაშინ შენ კვალად მშორდები  
და ობლად მტოვებ საბრალოს.

სატრუილო ლირიკაშიც კი პოეტი გარკვევით ავლენს თავის დამოკიდებულებას ამქვეყნიური სინამდვილისადმი:

შენ სტირი და ღწვებზედა  
ჩამოგდის ცრემლი მდუღარე;  
თვალთ მარიდებ, მაინც გატყობ,  
რომ ხარ განჯულ და მწუხარე...

.....  
მაგრამ შენ მე ყურს არ მიგდებ,  
ჩაგიღუნავს მწარედ თავი;  
რა ვქნა! მაშ მეც ტირილს ვიწყებ,  
მეუ ვარ სოფლის მომდურავი.

(„შენ სტირი და ღწვებზედა“...)

იოსებს გამოქვეყნებული აქვს ორსტროფიანი ლექსი, რომელშიც სატროფო ბედნიერების მომგანად ესახება:

როდესაც გული კვნესას დამიწყებს  
და სახე ჭმუნვით შემემოსება,  
შენ ეს, სატროფო, ნუ შეგაშინებს,  
ნუ მკითხავ – თუ რა მაქვს მწუხარება.

ტანჯვასა გული არის ჩვეული,  
ვერარას უზამს მას მწუხარება;  
ოღონდ შენ გნახო გაღიმებული,  
ჭმუნვაც სახილამ მსწრაფლ გადმეყრება.

(„როდესაც გული კვნესას დამიწყებს“)

ლექსში „შენ გახსოვს?“ ი. ბაქრაძე სინანულით მიუთითებს, რომ ცხოვრებაში მარადიული არაფერია, ყველაფერი წარმავალია, მათ შორის მხურვალე სიყვარულიც. პოეტი სატროფოს ახსენებს მათს ძველ ურთიერთობას, რომელიც ღროთა ვითარებაში გაქრა და დავიწყებას მიეცა:

შენ გახსოვს? მაშინ მთელი ბუნება  
ღუმილებითა იყო მოცული,  
მხოლოდ მე და შენ, სატროფო, ვფხიზლობდით  
ტრფიალებითა გატაცებული.

შენ გახსოვს? რარიგ აღტაცებითა  
განმიცხადებდი მე სიყვარულსა  
და მექადოდი, რომ სიკვდილამდინ  
მე მაკუთვნებდი შენს წრფელსა გულსა.

შენ გახსოვს? მაგრამ აწ ის აღარ ხარ...  
რისთვის გაგონებ წარსულს ამაოდ;  
რაც უწინ შენა გულითა გრწამდა,  
ის მიგაჩნია აწ სამასხაროდ.

საყურადღებოა, რომ ი. ბაქრაძე საგრფიალო-სამიჯნურო ლექსებშიც არ ერიდებოდა შეხებოდა სოციალურ-სამოგადოებრივ საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ორი ლექსი: „უანგარო სიყვარული“ და „ანგარიშიანი სიყვარული“ (დასახელებული ლექსების შესახებ დაწერილებით იხ. ნაშრომის IV თავში – „ი. ბაქრაძის ნაწარმოებთა აგრიბუცია“).

პირველ ლექსში ქალს სიყვარულში ანგარება არ ამოქმედებს, მისი სიყვარული უმწიკვლოა, უბიწოა; მისი გრიფიანობა მხოლოდ წმინდა გრძნობაზეა დამყარებული; რაც შეეხება მეორე ლექსს („ანგარიშიანი სიყვარული“) – ქალი ყველაფერს წინასწარ ანგარიშობს, ითვალისწინებს. მას სურს, ქმარს დიდი შემოსავალი ჰქონდეს, ანუ მდიდარი იყოს. ვაჟის შეკითხვაზე – „რას ითხოვ ჩემგან, რომ მთელი გულით შემეყვარო?“ ქალი უპასუხებს: „თუ გაქვს ურიცხვი შემოსავალი, ეს ჩემი გულიც შენი იქნება!“

„ანგარიშიან სიყვარულში“ ქალს მხოლოდ გამორჩენის მიზანი, მაგერიალური სიკეთისკენ სწრაფვა ამოქმედებს. სიყვარულის ასეთი გაგება – ანგარიშიანი სიყვარული – საქართველოში ფუხს იკიდებს განსაკუთრებით კაპიგალიზმის შემოჭრასთან ერთად, როდესაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გასაქანი ეძლევა მომხეჭელობას, უშრომლად, იოლი გზით, ჩარჩ-ვაჭრობით გამდიდრებას. პოეტს შეუმჩნეველი არ ღარჩა საზოგადოების გადაგვარებული ნაწილის ასეთი ამორალური საქციელი და მკაცრად დაგმო იგი.

\* \* \*

ი. ბაქრაძის ცოლისდა მთარგმნელი ელ. მამულაშვილი-ვასაძე მწერლის შესახებ წერს: „მას უყვარდა საზოგადოთ ბუნება, მთვარიანი ღამეები. იგი სააგარაკოთ სოფელ ბიწმენდში დაიარებოდა (საგურამოს მიღამოშია). მის ბინიღამ მშვენიერად მოჩანდა არაგვის ხეობა და კარგი გასახელი იყო. მთვარიან ღამეში აივანზედ იღგა ხოლმე და გაკყურებდა მქუხარე არაგვს, რომელიც მთვარის შუქზედ ვერცხლისფრად მიიკლაკნებოდა თავის ჭალებიან კალაპოტში. მაშინ ხმა რომ გაგეცათ მისთვის, არც გიპასუხებდათ რასმე, ისე იყო ხოლმე

ვართული ბუნების სიმშვენიერით და იმ დადუმებულ ლამეში ჭოგის ძახილით, რომელიც მას უყვარდა“...'

როგორც ვხედავთ, იოსებ ბაქრაძე ბუნების დიდი გრფი-  
ალი ყოფილა. ბუნებისადმი ძლიერმა სიყვარულმა ასახვა  
ჰპოვა პოეტის ისეთ ლექსებში, როგორიცაა: „გაზაფხული“,  
„სალამოს სურათი“, „სიმღერა მთესველისა“, „დარდი“ და სხვ.  
ამიგომ შემთხვევითი არ არის, რომ იგი ბუნებაში ხედავს თა-  
ვისი გკივილებისა და სიხარულის თანამომიარეს, ბუნების სი-  
დიადით გამოწვეული აღგაცება ყოველითვის უშუალოა.

ი. ბაქრაძეს დაწერილი აქვს ორსტროფიანი ლექსი „გა-  
ზაფხული“, რომელშიც გადმოცემულია ზამთრის წასვლა და  
გაზაფხულის დადგომა, თოელის დნობა და მდინარეების  
ჩქრიალი, უცხო ქვეყნებიდან მერცხლების მოფრენა და ლაქ-  
ვარდ ცაზე მზის ამობრწყინება, ველზე ყვავილთ მოფენა. ბუ-  
ნების გამოცოცხლების გამო „ხმა ისმის სამხიარულო“, –  
დასძენს პოეტი. იგი ვერ ფარავს აღურთოვანებას და ემოციუ-  
რი შეძახილით მიმართავს წელიწადის ამ სანაგრელ დროს:  
„გამარჯვება გაზაფხულო!“

ი. ბაქრაძის კალამს ეკუთვნის ლექსი „სალამოს სურა-  
თი“, რომელშიც პოეტი აგვიწერს, თუ მზე როგორ ჩადის და  
„მის ნაცვლად მთვარე სხივთმომუხინარე აღმოსაელეთით მო-  
იპარება“. მთვარემ გაანათა ღამის წყვლიადი, ღუმილს არ-  
ღვევს მხოლოდ ჭოგის გამალებული ძახილი; ანკარა მორაკ-  
რაკე წყლის „ჩხრიალს გყენი ბანს დასძახიან“. იმავე წყალში  
„ცისა ვარსკვლავნი გურუად მბრწყინაენი“ აირეკლებიან.  
ლექსი მთავრდება ნიკ. ბარათაშვილის შთაგონებით დაწერი-  
ლი სტრიქონებით, რომელშიც ხაზგასმულია ბუნების კეთილ-  
მობილური შემოქმედება ადამიანზე:

ვიმ ამ სალამოს,

- გურუა საამოს!

ვინ სჭვრეტდეს, რომ არ განისვენებდეს;

გულისა განჯვას,

აუენათ ძრახვას,

მცირედ ხანს მაინც არ ივიწყებდეს?..

<sup>1</sup> საქართველოს ლიგურაგურული მუზეუმი, ხელნაწერი 20815.

ბუნების აღწერას ი. ბაქრაძე იყენებს არა როგორც მხოლოდ ჩვეულებრივი ჭერეგის საგანს და ესთეტიკური სიამოვნების მომგერელს, არამედ როგორც ფონს, რომელზეც იშლება გლექიკაის ყოველდღიური მძიმე შრომა და ღუბჭირი ცხოვრება.

ი. ბაქრაძის ლექსში „სიმღერა მთესველისა“ ნათლად ჩანს პოეტის სიახლოვე ბუნების სამყაროსთან. იგი აგვიწერს გაბაფხულზე საქმიანობას გლექისას, რომელიც ყანაში თესავს და პატარა ჩიტი ცელქი, მარდი გოროლა მას თავს როგორ დასტრიალებს. მთესველი (გლექი) ასე მიმართავს გოროლას:

შენ იმღერე, მე დაეთესავ  
და თან იმას ვინაგრიდეთ,  
რომ სიმღერით დათესილსა  
სიმღერითვე მოვიმკიდეთ.

მაშინ შენ, ჩემო გოროლავ,  
მოსაველიც შენიც იყოს;  
ჩემს პაწია ბიჭსაც ვეცყვი,  
რომ მახე აღარ დაგიგოს.  
მაშ იმღერე, იცქრიალე,  
გადმიყარე გულს ნალველი...

ბუნების სურათების აღწერისას პოეტს იტაცებს მათი თავისთავადი სილამაზე, რომანტიკული მშვენიერება, მაგრამ ამავე დროს არასოდეს ავიწყდება ბუნების მოვლენათა კავშირი გლექის ცხოვრებასთან, მის სამეურნეო საქმიანობასთან, იგი ერთთავად შექხარის სიცოცხლესა და შრომას.

ი. ბაქრაძეს დაწერილი აქვს ვრცელი ლექსი სახელწოდებით „ღარდი“. ლექსში კარგად არის აღწერილი ქართლის ბუნების სილამაზე გაფხულში. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ პოეტის შემოქმედებაში გადმოცემულია ადამიანისა და ბუნების ურთიერთ დამოკიდებულება:

ოხ! მიყვარს ეს ღრო! გული, გონება  
ჰგრძნობს გამოუთქმელს სიამოვნებას,  
კვლავ მავიწყდება საწუთროება  
და მთლად ვეძლევი ტკბილსა ოცნებას...

მომღეენო ტაეპებში კი ბუნების ფონზე პოეტი აგვიწერს ჩაგრული ადამიანის უუფლებო მღვდომარეობას:

სამშობლო მხარეე! შენი ბუნება  
ყოველისფრითა არს შემკობილი...

.....  
შეხედეთ ფრინველთ, ამ ბუნებაში  
რა მხიარულად სუნთქვენ, გალობენ  
და თავიანთსა მწუხარებასა  
შეუშინებლად ცხადად მოჰსთქვამენ.  
ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ამ ბუნებაში  
კაცი რაღათა სუნთქავს ძნელათა,  
რისთვის იგიცა თვისთა ზრახვათა  
არა გამოსთქვამს თავისუფლათა?!

\* \* \*

ი. ბაქრაძეს საყმაწვილო ნაწარმოებებშიც უცდია თავისი კალამი. პოეტი კარგად იცნობს ბავშვთა სამყაროს. მის საბავშვო ლექსებს ახასიათებს სისადაე და ხალხურობა, ისინი მოზარდ თაობას უნერგავენ შრომის სიყვარულს, კაცთმოყვარეობას, პატიოსნებასა და კეთილსინდისიერებას, ამიგომ საინტერესო არიან აღმზრდელობითი თვალსაზრისით.

იოსების საბავშვო ნაწარმოებების იდეური შინარსი ძირითადად იგივეა, რაც მოზრდილთათვის განკუთვნილი ნაწარმოებებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკა.

პოეტს დაწერილი აქვს საბავშვო ლექსი „კუდქიცინა ჩემსა ცუგოს“, რომელიც ჩართულია საბავშვო მოთხრობაში. ეს ლექსი საბავშვო ლიტერატურის ყველა ქრესტომათიას დაამშვენებს. აი, თვით ლექსიც:

კუდქიცინა ჩემსა ცუგოს  
ტკბილათა სძინავს,  
კრაზანა მას არ ასვენებს,  
ბზუის და ჰფრინავს.

კრაზანამ ცუგოს ბზუილით  
დაუფრთხო ძილი,  
წამოვარდა, რომ კრაზანას  
წააელოს კბილი.

ბალახებში კრაზანამა  
დაიწყო ფრენა:  
ცუგომაც მას უწყო დენა,  
ყეუა და ღრენა.

როცა ყეფით დაიღალა,  
მან განიზრახა,  
დაეჭირა იგი პირით,  
გაალო ხახა.

მაგრამ კრაზანამ მას ხერხი  
სულ გაუცრუა:  
უკბინა და ცუგომ კუდი  
ამოიძუა.

ცუგო დაბრუნდა ბრძოლიდამ  
დამარცხებული,  
წამოყუნგდა მოწყენითა  
ტუჩღაშეებული.

როგორც პოეტის ბიოგრაფიიდან ვიცით, მას გარდაეც-  
ვალა უფროსი შვილი თამარი, რომელიც 9 წლისა ყოფილა.  
ამ ამბავმა დეპრესიამღე მიიყვანა იგი. გამწარებულმა მამამ  
თამარს მიუძღვნა პოემა „საწყალი გიგა (ამბავი ყმაწვილები-  
სათვის)“. თხზულება დაწერილია ხალხურ კილოზე, უხვად  
არის გამოყენებული ხალხური ლექსიკა, აღწერილია სოფლის  
ბუნება, შრომის შვილთა გარჯა ყანის მკის ღროს და ა. შ.

პოემის შინაარსი მარტივია, მაგრამ დამაფიქრებელი:  
შუადღისას სოფლის ბავშვებმა თამაში მიატოვეს და საბანა-  
ოდ მდინარეზე წავიდნენ, თან არ წაიყვანეს პატარა გიგა,  
მარტო დატოვეს გრიალ მინდორზე. ყანაში მზის ქვეშ გიგას  
ტკბილად ჩაეძინა. მძინარე ბავშვს გველი მიუსრიალდა და

უკბინა. მკის ღროს გლეხებმა გარდაცვლილი ბავშვი იპოვეს. ასე გრაგიკულად მთავრდება დასახელებული პოემა.

\* \* \*

დასასრულ, ორიოდ სიგყვით შეეჩერდებით იოსებ ბაქრაძის ნაწარმოებთა მხატვრულ მხარეზე. პოეტის შემოქმედების მხატვრული ღირებულების შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ხალხოსანი მწერლების თხზულებებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისება. მათ მხატვრულ შემოქმედებაში ყოველთვის არსებითია ნაწარმოების იდეური მხარე, თხზულების შინაარსი, მასში გადმოცემული საზოგადოებრივი ინტერესები და გრძნობა-განწყობილებები ანუ, სხენაირად რომ ეთქვას, ხალხოსანი მწერლები პირველ რიგში აყენებდნენ თხზულების იდეურობას, მხატვრული მხარე კი შედარებით ნაკლებად ჰქონდათ გათვალისწინებული. ამიგომ არის, რომ ხალხოსან მწერალთა ნაწარმოებებში მხატვრულობის თვალსაზრისით მოგჯერ არასრულყოფილების შეგრძნება შეიმჩნევა.

ხალხოსანი მწერლები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ნაწარმოების ფორმალურ მხარეებს, თხზულების გარეგანი მხარე, სილამაზე მათთვის მეორეხარისხოვანი იყო. მწერლობას ისინი უყურებდნენ, როგორც საბრძოლო საქმეს. ამიგომ მწერლობის, მხატვრული შემოქმედების საშუალებით ცდილობდნენ ხალხში გაეგანათ და გაეერყელებინათ აღმზრდელი იდეები და მისწრაფებანი. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როცა ი. ბაქრაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაწარმოების ამრს და სათანადოდ არ ზრუნავდა ფორმაზე, რის გამოც მისი შემოქმედების შემფასებლებისგან ყოველთვის მკაცრ კრიტიკას იმსახურებდა.

ერთი სიგყვით, პოეტისათვის ნაწარმოების ფორმა, ლექსის გარეგნული მხარე მეორეხარისხოვანია, მთავარია შინაარსი. ლექსებიდან არ ჩანს, რომ პოეტი ყოველთვის დაბეჯითებით ცდილობდეს მოცემული შინაარსი ლამაზ მხატვრულ ფორმაში გადმოგვეცეს. ამით არის გამოწვეული, რომ მშვენიერი პოეტური ნიმუშების გვერდით მრავლად გვხვდება მოსაწყენი პუბლიცისტური მსჯელობებით და დაუხვეწელი სტილით გადაჭვირთული არა ერთი ლექსი.



## იოსებ ბაქრაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა

ქართულ მწერლობას მთარგმნელობითი კულტურის საკმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდებში ქართულ ენაზე გადმოთარგმნეს მსოფლიო ლიტერატურის რჩეული ძეგლები. შეიქმნა სამწიგნობრო-მთარგმნელობითი სკოლები, სადაც დაუღალავ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი საეკლესიო მწერალ-მწიგნობრები: ექვთიმე და გიორგი ათონელები, თეოფილე ხუცესმონაზონი, ეფრემ მცირე და სხვ. მათ დაგვიტოვეს იმ დროისათვის ბრწყინვალე თარგმანები, გაამდიდრეს ქართული ენის ლექსიკა, შეიმუშავეს და შთამომავლობას გადასცეს თარგმნის ტექნიკა და ა. შ. გარდა ამისა მათ დიდი დამსახურება მიუძღვით მთარგმნელთა კადრების აღზრდა-გაწაფვის საქმეში. მათ მიერ იქნა შემუშავებული დევიზი: თარგმნის დროს შეილიშვილს შეილი გვირჩევნიაო, ე. ი. დღის წესრიგში დააყენეს ახალი პრობლემა – ძეგლები უნდა ითარგმნოს არა სხვა ენაზე ნათარგმნიდან, არამედ უშუალოდ ორიგინალის ენიდან.

ყოველივე ეს საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა და თარგმნის კულტურა დროთა განმავლობაში, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესატყვისად, მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა. მძიმე ძნელებელობის პერიოდშიც კი ქართველები არ წყვეტდნენ კავშირ-ურთიერთობებს უცხო ქვეყნებთან და თავს არ ანებებდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. ამიგომ ამა თუ იმ მოცემული პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის დროს აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ნათარგმნ ლიტერატურას. ჩვენი ლიტერატურის ძველი პერიოდის მიმართ ეს საკითხი დიდი ხანია დადებითად არის გადაწყვეტილი. მაგალითად, ბიზანტიური ძეგლების თარგმანებს უკავია აქ არანაკლები ადგილი, ვიდრე ორიგინალურ მწერლობას. რასაკვირველია, თარგმნილი და ორიგინალური ლიტერატურის ნაწილებს შორის შეფარდება დროთა განმავლობაში არსებით-

თად იცვლებოდა ქვეყნის კულტურულ და, კერძოდ, ლიტერატურულ მრდასთან ერთად, მაგრამ არ იყო არცერთი პერიოდი, როდესაც არ არსებობდა თარგმნილი ლიტერატურა: მას ყოველთვის პქონდა დიდი ან მცირე მნიშვნელობა ეროვნული ლიტერატურის ცხოვრებაში.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ამის შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს და, გარდა ამისა, ჩვენს თემას არ ეხება. ამიტომ სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ. ეს მცირე ექსკურსი დაგვჭირდა იმიტომ, რომ რამდენადმე გვეჩვენებინა, თუ რაგომ გამოცოცხლდა უცებ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპულ მწერალთა ნაწარმოებებისადმი ესოდენ დიდი დაინტერესება.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რომელიც მიუძღვის მამინდელ ქართულ პერიოდულ გამოცემებს ნათარგმნი ლიტერატურის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის მხრივ. ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად და მრავლად ქვეყნდებოდა ევროპულ მწერალთა ნაწარმოებები როგორც პოეტური, ისე პროზაული და, შიგადაშიგ, დრამატულიც.

საუკეთესო გრადიციების აღმდგენ-გამგრძელებლები იყვნენ გამ. „დროება“ და „ივერია“, რომლებსაც წლების განმავლობაში მეთაურობდნენ დიდი ილია და ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარ-ლიტერატორი და პუბლიცისტი სერგეი მესხი. როგორც ცნობილია, მათ თავის გარშემო შემოიკრიბეს და დარაზმეს იმ დროისათვის აღიარებული მწერალი-მთარგმნელები.

ილია ჭავჭავაძემ და სერგეი მესხმა ხელი შეუწყეს აგრეთვე ახალგაზრდა თუ დამწყებ მთარგმნელთა პროფესიონალიზმს, მათ დახელოვნებას მთარგმნელობით საქმიანობაში. ხშირად გაიგონებთ თანამედროვე მკვლევართაგან, რომ „დროებასა“ და „ივერიაში“ დაბეჭდილია სუსტი თარგმანებიო. რა თქმა უნდა, დღევანდელობის თვალსაზრისით ეს მართალია, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხო ავტორთა ნაწარმოებების სუსტ თარგმანებს ილიაცა და სერ. მესხიც კარგად აშჩნევდნენ და გრძნობდნენ, მაგრამ ისინი თავის გაზეთში ადგილს უთმობდნენ ახალბედა მთარგმნელებს და ამით ხელს

უწყობდნენ დაფრთიანებულიყვნენ და პროფესიული მთარგმნელები გამსდარიყვნენ. და აკი ასეც მოხდა! სწორედ „დროებასა“ და „ივერიაში“ აიღგეს ფეხი როგორც მთარგმნელებმა მთელმა რიგმა მწერლებმა. დასახელებულ პრესაში გამოიბრძმედნენ და ცნობილი მთარგმნელები გახდნენ: გრიგოლ აბაშიძე, გრიგოლ ვოლსკი, არგემ ახნაზაროვი, ალექსანდრე ნიკიგინი, იოსებ ცისკარიშვილი, სამსონ ყიფიანი და სხვ. მათ შორის იყო იოსებ ბაქრაძე.

ილ. ჭავჭავაძის, სერგ. მესხისა და მათ გარშემო შეკრებილი მწერლებისა და მთარგმნელების წყალობით, ქართულად ითარგმნა ევროპის გამოჩენილი მწერლების თხზულებები და ბევრმა ქართველმა მკითხველმა პირველად „დროებისა“ და „ივერიის“ პუბლიკაციებით გაიცნო უამრავი უცხოელი ავტორი. უკვე ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა და ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, რაც უნდა სუსტი ყოფილიყო ქართული თარგმანები. ამდენად, მართებულად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიგერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „ქართველი საზოგადოებრიობა ილიას „ივერიით“ ეცნობოდა ევროპული ლიგერატურის შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თარგმანთაგან ყველას მაღალ შეფასებას ვერ მივცემთ, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქართული მხატვრული თარგმანის განვითარებაში“.

სწორედ დასახელებული პერიოდული გამოცემების ფურცლებზე ჩამოყალიბდა ის სწორი შეხედულება, რომ მთარგმნელებს საგანგებოდ შეერჩიათ და გადმოეღოთ ეპოქისა და ქართველი მკითხველის მოთხოვნილებების შესაბამისი უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები. უფრო მეტიც, უკვე კატეგორიულად მოითხოვდნენ უცხოური ლიგერატურის არარუსული გზით, არამედ პირდაპირ (უშუალოდ) ორიგინალიდან თარგმნას. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ გამ. „დროებაში“: „დროა გამოვესალმით უცხო ქვეყნელ თხზულე-

---

<sup>1</sup> ნ. შედგინიძე, ინგლისელ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები გამ. „ივერიის“ ფურცლებზე, „კრიტიკა“, 1989, № 4, გვ. 134; მისივე, იოსებ ბაქრაძის (1850-1904 წწ.) მთარგმნელობითი მოღვაწეობა, „პროფესორ-მასწავლებელთა მე-60 სამეცნ. სესია, 23-25 მაისი (თბილისი), თბ., 1994, გვ. 28 (თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედაგოგ. ინ-ტი).

ბების თარგმნას რუსულიდამ. რუსულ მწერლობაში, როგორც იქაურმა კრიტიკამ აღმოაჩინა, ბევრი უნიჭო... უგვანო თარგმანია... ქართული მკითხველები მოიძულებენ ევროპიულ გენიოსებს უგვანო ქართული თარგმანების გამო“.

„ივერია“-„დროების“ მესვეურთა ამ დიდ ეროვნულ წამოწყებას მხარში ამოუდგა ი. ბაქრაძეც. იგი აქტიურად იყო ჩაბმული სარედაქციო „შავ სამუშაოებში“ ხელნაწერების წაკითხვა-გასწორებითა და, საერთოდ, მასალის მომზადებით.

აკად. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ მწერლის არქივში შემონახულია სხვადასხვა ავტორის ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები, რომლებიც აჭრელებულია ი. ბაქრაძის მიერ შეგანილი ჩამატება-გასწორებებით. ეს შავი პირები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ პასუხისმგებლობითა და რუდუნებით ეკიდებოდა მწერალი მასზე მინდობილ საქმეს. მაგ, ი. ბაქრაძის არქივში<sup>1</sup> დაცულია თარგმანი მოთხრობისა „კანდელის მეფარნე“, რომელსაც ბოლოში მოწერილი აქვს ინიციალები: ან. თარგმანი შავი ნუსხაა, იოსების ჩასწორებებით არის აჭრელებული. როგორც გაირკვა, მოთხრობის ავტორია პენრიკ სენკევიჩი, ხოლო მოთხრობის ბოლოს მოწერილი ინიციალები აღნიშნავს მთარგმნელის სახელ-გვარის დასაწყის ასოებს – ალექსანდრე ნიკიგინი. დასახელებული მოთხრობა გამოქვეყნდა 1894 წლის ჟურ. „მოამბეში“<sup>2</sup>.

შემორჩენილი მასალებიდან იმასაც ვგებულობთ, რომ მწერალი არა მარტო ასწორებდა რედაქციაში დასაბეჭდად შემოსულ მასალებს, არამედ საგანგებოდ ბრუნავდა ახალგაზრდა ლიტერატორთა და მთარგმნელთა აღსაზრდელად. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მთარგმნელი ქალის ელ. მამულაშვილის მოგონება.

---

<sup>1</sup> „დროება“, 1875, № 117. სხვათა შორის, XIX საუკუნის რუსი მთარგმნელებისა და მხატვრული თარგმანის განვითარების შესახებ ბოლო დროს გამოქვეყნებულია საინტერესო მონოგრაფიები: Н. Д. Левин, Русские переводчики XIX века и развитие художественного перевода, Л., 1985; В. М. Жирмунский, Гѣтс в русской литературе, "Избранные труды", 1982.

<sup>2</sup> ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი, № 20816.

<sup>3</sup> „მოამბე“, 1894, № 1, განყ. I, გვ. 56-69.

ელენე ანგონის ას. მამულაშვილმა-ვასაძემ მთარგმნელობითი მოღვაწეობა დაიწყო XIX საუკუნის 90-იან წლებში ი. ბაქრაძის მზრუნველობით. მისი თარგმანები ქვეყნდებოდა „ივერიაში“, „მოამბეში“, „კვალსა“ და „ჯეჯილში“. მთარგმნელი ქალი იგონებს: „ქართული ენა და ლიგერაგურა ი. ბაქრაძემ ძალიან კარგად იცოდა. მე პირველად თარგმნა იმან მასწავლა. ის გასაგებად მიხსნიდან ყველაფერს, რომ სულ ადვილად შევისწავლე თარგმნა. ის მომცემდა ხოლმე პაგარა სათარგმნს და როცა გავათაყებდი, ჩემი თანდასწრებით დაიწყებდა ხოლმე გასწორებას და მეტყოდა ხოლმე: ეს ესე არ არის, ეს ესე უნდაო... მისი წყალობით ცოგაოდენი წვლილი მეც მიმიძღვის ქართულ მწერლობაში“.

შემორჩენილია თავისი მოწაფისადმი ი.ბაქრაძის წერილი, რომელშიც იგი ამხნევებს სალიგერაგურო ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდას და მოუწოდებს, რომ გული დაუდოს და უფრო მონდომებით მოეკიდოს მთარგმნელობით საქმიანობას:

„პატივეთმულო ელენე!

სწორედ კარგს დროს გამომიგზავნე შენი ნათარგმნი, ე. ი. ისეთს დროს, როდესაც არაფერი არა გექონდა დასაბეჭდი და მე უნდა დამეწერა რამე. გმადლობთ ელენე, გმადლობთ!... შემიძლია კიდევ რამე გამოგიგზავნო სათარგმნი. განაგრძე, ელენე, ჭკუით მუშაობა. ამით შენ თავს სიამოვნებას მოუტან, ქვეყანას – სარგებლობას...

მართალია, მანდ რომ ვიყავ, გითხარი თარგმნა დაგვიწყებია-მეთქი, მაგრამ აქ რომ ჩამოვედი და კარგად გადავშინჯე შენი ნათარგმნი, სწორედ რომ კარგად იყო გადათარგმნილი. მე არ გეტყვი, რომ პირველი მოთხრობა-მეთქი, ე. ი. „ბენედეტა“, რადგანაც იქ ცოგაოდენი წილი მეც მეღო. არა, კარგად იყო ნათარგმნი „ბიძაჩემის ჩიბუხი“, რომელიც მსოფლოდ შენ გადათარგმნე ჩემს შეუშეელებლად. დარწმუნებული ვარ, უფრო უკეთესად გადათარგმნი, როდესაც გულს დაუდებ და იმას არ იფიქრებ, რომ მე აქა ვარ და გავისწორებ. გიგზავნი „დროებებს“ და წიგნებს“<sup>1</sup>...

<sup>1</sup> ლიგ. მუზეუმის ხელნაწერი, № 20815.

<sup>2</sup> იქვე, № 20817.

წერილში მოხსენებული ორივე მოთხრობა გამოქვეყნებულია კაზ. „დროებაში“.

\* \* \*

ნაშრომში ძირითადად ვეხებით ი. ბაქრაძის პოეტურ თარგმანებს, რამდენადაც მისი თარგმნილი ლექსებიდან ზოგიერთ მათგანს დღესაც არ დაუკარგავს ლაზათი და ქლერალობა, მათი გაცნობით თანამედროვე მკითხველი გარკვეულ ესთეტიკურ სიამოვნებასაც განიცდის.

რაც შეეხება პროზაული და დრამატული თხზულებების, აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული და არამხატვრული ნაწარმოებების თარგმანებს, მათი შესწავლა თავიანთი სპეციფიკის მიხედვით სათანადო დარგის სპეციალისტების საქმეა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ გვერდი ავუაროთ ამ ნაწარმოებთა თარგმანებს, მათზე ზოგადად მაინც ვამახვილებთ ყურადღებას, რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მწერლის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე.

ი. ბაქრაძემ არცერთი უცხო ენა არ იცოდა, მისი ყველა თარგმანი შესრულებულია რუსული თარგმანების მიხედვით, ე. ი. თარგმანების თარგმანებია. ამიგომ მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იოსების თარგმანები ამა თუ იმ ენაზე დაწერილ ორიგინალს (პირველწყაროს), გაუმართლებელია და ამ მხრივ კვლევა-ძიებას არასწორად ეთვლით. გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: რუსულად არსებობდა ერთი და იგივე უცხოელი ავტორის სხვადასხვა თარგმანი, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს ქართული თარგმანების რუსული დედნის დაძებნას. ამიგომ ქართული თარგმანის დედნის დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება და მომავალშიც საჭიროა ამ მხრივ მუშაობის განგრძობა.

უფრო მართებულია, დაიძებნოს და ქართული ტექსტები შეუდარდეს იმ რუსულ თარგმანებს, რომლებითაც ისარგებლა ქართველმა მთარგმნელმა, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, რა მეთოდით არჩედა და თარგმნიდა მწერალი

---

<sup>1</sup> „დროება“, 1885, 4 იელისი, № 141.

უცხოელ ავგორთა თხზულებებს. ერთის თქმა კი ამთავითვე შეგვიძლია. ი. ბაქრაძე თითქმის არსად გვაძლევს სიგყვა-სიგყვით თარგმანს. ზოგ შემთხვევაში იგი იძლევა თავისუფალ თარგმანს, ზოგჯერ კი მთარგმნელი მიჰყვება სათარგმნ დედანს, ე. ი. რუსულ ტექსტს, მაგრამ თავის თარგმანს აძლევს ეროვნულ იერს. პოეტი იყენებს ქართულისათვის დამახასიათებელ გამოთქმებს, ზოგჯერ ცელის ან უმატებს სიგყვებსა და წინადადებებს. თვალნათლივ შეიმჩნევა, რომ პოეტი სათარგმნელად არჩევს ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ახლოსაა მის სულიერ სამყაროსთან, მის იდეურ მისწრაფებებთან. თარგმნის დროს ი. ბაქრაძე არასოდეს დალატობდა ხალხურობის მაღალ პრინციპებს და, ამასთან, ქართულ სასაუბრო, ხალხურ ენას ეყრდნობოდა.

გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში უცხოელი ავგორების თხზულებების გადმოღების დროს შეინიშნება სათარგმნი ტექსტისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება. უკვე არსებულ ნაწარმოებს მთარგმნელი აძლევს ახალ ცხოვრებას სხვა სოციალურ-ისტორიულ და ნაციონალურ გარემოში. ცოცხალ ლიტერატურულ პროცესში მხატვრულ თარგმანსა და სხვა დანარჩენ ლიტერატურას შორის მკაფიოდ მღვარის გაელება ყოველთვის არ ხერხდება. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ნაწარმოები თარგმნას არ წარმოადგენს ამ სიგყვის პირდაპირი გაგებით, მაგრამ არ შეიძლება უსიგყვოდ, ულაპარაკოდ მიეკუთვნოს ორიგინალურ შემოქმედებას. მსგავსი შემთხვევების აღსანიშნავად ყველა ენაში არის სათანადო განსაზღვრა: „თავისუფალი თარგმანი“, „მიბაძვა“, „ამა და ამ მოტივის მიხედვით“, „ამრი ამა და ამ ენიდან“ და ა. შ. ამ გამოთქმების კონკრეტული შინაარსი ბევრ ენაში ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და იცვლება დროთა განმავლობაში. თარგმანი ისტორიული ცნებაა, სხვა და სხვა ეპოქაში მასში დებენ ნაირ-ნაირ შინაარსს და სხვადასხვანაირად ესმით მისი ურთიერთ მიმართება ორიგინალურ ლიტერატურასთან. გამონაკლისი ამ მხრივ არც ი. ბაქრაძესთან გვაქვს. მის გადმოთარგმნილ ლექსებს ზოგჯერ წარწერილი აქვს ავგორის ვინაობა (მაგ., ბაირონისა, ჰ. ჰეინესი...), ხან კი მოწერილი აქვს: „ჰეინელგან „ლონგოფელოდგან“, „ბაირონით“, „ბაირონიდან“,

„პლებტერიდგან“ ან „ღონ-ქუანიდამ“, „ჩაილდ-ჰაროლდიდგან“, ან „გომას გუდისებრივი“, „დიუპონლისებრივი“; ლექსების სათაურის ქვემოთ ფრჩხილებში გვხვდება ასეთი წარწერებიც: „გერმანულით“, „მიბაძეა“. ხოლო ვ. ჰიუგოს ლექსს „ლოცვა ყველასთვის“ მიწერილი აქვს: „თავისუფალი თარგმანი იბაქრაძისა“, გუცკოვის გრაგედიას „ურიელ აკოსტას“ კი მითითებული აქვს „გადმოღებული იბაქრაძის მიერ“.

აღნიშნული სიგყვა-გერმინების შინაარსის გარკვევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან პირველ ყოვლისა ამაზეა დამოკიდებული მწერლის თხზულებათა გამოცემაში სად მოთავსდეს უცხოელ ავტორთა ესა თუ ის ლექსი ი. ბაქრაძის ორიგინალურ, თუ ნათარგმნ ლექსებთან; მეორე – აღნიშნულ გერმინებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სათარგმნ ნაწარმოებებს პოეტი საგანგებოდ არჩეულა და თავის შეხედულებების მიხედვით „ამუშავებდა“ მაშინდელი საზოგადოებრივი აზრისა და სოციალური ყოფის მოთხოვნილებების შესაბამისად.

ი. ბაქრაძის გადმოთარგმნილ ლექსებში გვხვდება ოთხი სახის თარგმანი: 1. თარგმანი პირდაპირი გაგებით; 2. გადმოკეთება; 3. მიბაძეა და 4. თავისუფალი თარგმანი.

თარგმანში (ამ სიგყვის პირდაპირი გაგებით) ლექსი გადმოღებული უნდა იყოს მთელი სიმუსტით როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ, თითქმის სიგყვასიგყვით, მასში მთლიანად შენარჩუნებული უნდა იყოს დედნის განწყობილება. მთარგმნელი შემოქმედია და დაკავშირებულია სხვის ტექსტთან. ის ქმნის ლიტერატურის ნაწარმოებებს და უნდა შეინარჩუნოს ორიგინალის ეროვნული სპეციფიკის თავისებურებანი, წარსული ლიტერატურული ძეგლი უნდა გახადოს მისი თანამედროვე მკითხველისათვის ხელმისაწვდომი.

მთარგმნელობითი ნიჭის სპეციფიკურობა მკლავნდება არამარტო იმით, რომ კარგი მთარგმნელები შეიძლება იყვნენ სუსტი ორიგინალური მწერლები, არამედ იმითაც, რომ დიდი მწერლები არაიშვიათად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე სუსტ მთარგმნელებად.

მთარგმნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო პაგარაა მწერალზე და, ამავე დროს, უფრო დიდია მწერალზე. პაგარაა



რამდენადაც მისი ხელოვნება (თარგმანი) „მეორადია“, ხოლო დიდია – რამდენადაც მან უნდა შეძლოს გახდეს თანაბარი (ერთ ღონეზე) ყველა ავტორისა, რომლებსაც იგი თარგმნის, გარკვეულ ფარგლებში ფლობდეს იმ ცოდნას, რომლებსაც ისინი (ეს ავტორები) ფლობდნენ.

ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, თარგმანში „სხვისი ცხოვრება, ხასიათსა და მნე-ჩვეულებაში გამოთქმული, ნაჩვენები უნდა იყოს უცყუარად და შეუცვლელად“, ხოლო გადმოკეთებულში კი „უცხო ხატი სხვისი ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდაიქმნება და რამდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმდენად ნაშრომი კარგი და მოსაწონი... გადმომკეთებელს უფრო მეტი საგმალე უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა, გადმომკეთებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს და ამას გარდა თვითმოქმედი ძალიც შემოქმედისა“ (იქვე).

ი. ჭავჭავაძისეულ მეტად ლაკონურ და მუსტ განსაზღვრაში აღნიშნულია თარგმნილი და გადმოკეთებული ნაწარმოებების არსებითი, განსხვავებული ნიშნები. გადმოკეთებისას მწერლის მიზანია თავისი ხალხისთვის უფრო გასაგები და მისაწვდომი გახადოს ნათარგმნი ნაწარმოები, სხვა ხალხის საკუთრება თავისი ხალხის საკუთრებად აქციოს, ე. ი. ასეთ შემთხვევაში თავისებურ ორიგინალურ შემოქმედებით შრომასთან გვაქვს საქმე. ამიგომ, ბუნებრივია, საკითხი დგება პოეტის თხზულებათა კრებულში სად უნდა იყოს შეგანილი გადმოკეთებული ნაწარმოებები თარგმანებში, თუ ორიგინალურებში, სად უნდა განვიხილოთ გადმოკეთებული ნაწარმოებები ნათარგმნი, თუ ორიგინალურ თხზულებებთან ერთად.

ტექსტოლოგები საგამომცემლო პრაქტიკაში, სავსებით მართებულად, გადმოკეთებულ ნაწარმოებებს მწერლის თხზულებათა კრებულებში გრადიციულად ორიგინალურ ნაწარმოებებთან ერთად ათავსებენ, ე. ი. მას (გადმოკეთებულ ლექსს) პოეტის ორიგინალურ ნაწარმოებად თვლიან და მწერლის მხატვრული შემოქმედების განხილვისას სწავლო-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 125.

ბენ როგორც მწერლის დამოუკიდებელ ქმნილებას. მაგალითად, 1897 წლის ჟურნ. „ჯეჯილში“ გამოქვეყნებულია შ. მღვიმელის ლექსი „მათხოვარი“, რომელსაც მიწერილი აქვს „გადმოკეთებული“. პოეტის წიგნში შეტანილია როგორც მისი ორიგინალური ნაწარმოები<sup>1</sup>. 1911 წლის „ნაკადულში“ დაბეჭდილია ამავე ავტორის ლექსი „მერცხლის სიმღერა. გადმოკეთებული“. პოეტის წიგნში ეს ლექსიც შეტანილია როგორც ორიგინალური ნაწარმოები<sup>2</sup> და სხვ.

1883 წ. ჟურნ. „ნობათის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია რაფ. ერისთავის ლექსი „მიპატიჟება სასწავლებელში“, რომელიც თარგმნილია რუსულიდან („Приглашение в школу“). რაფ. ერისთავმა თარგმანში ლექსი უფრო განავრცო და მას ქართული იერი მისცა, ე. ი. გადმოაკეთა, ამიგომ ის შეტანილია პოეტის ორიგინალურ თხზულებებში<sup>3</sup>.

1890 წლის ჟურნ. „ჯეჯილში“ მოთავსებულია ა. წერეთლის ლექსი „არწივი“, რომელსაც სათაურთან მიწერილი აქვს „რუსულიდამ“. მიუხედავად ამისა პოეტის ლექსთა კრებულში ის შეტანილია როგორც ორიგინალური ნაწარმოები<sup>4</sup>. გადმოკეთების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ დიდი რუსი იგავთმწერლის ი. კრილოვის იგავ-არაკების აკაკისეული ქართული თარგმანები. ი. ბაქრაძის თარგმანებში კი გადმოკეთების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ჰაინეს ლექსი „ტურფავ, ტურფავ! რას უყურებ“, რომელიც, როგორც ე. კაეთიაშვილი მართებულად აღნიშნავს, „იოსებ ბაქრაძემ ისე დაუახლოვა ქართული ხალხური ლექსის ბუნებას, რომ არა მარტო საქართველოში, თვით გერმანულ მწერალს ადოლფ დირსაც ქართული ხალხური ლექსი ჰგონებია იგი და ქართულიდან გერმანულ ენაზე უთარგმნია. იოსებ ბაქრაძეს ოსტატურად დაუჭერია ჰაინეს განცდები და თითქოს საკუთარ

<sup>1</sup> „ჯეჯილი“, 1897, № 11, გვ. 3-4.

<sup>2</sup> შ. მღვიმელი, რჩეული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 111.

<sup>3</sup> „ნაკადული (მცირე წლოვანთათვის)“, 1911, № 3, გვ. 16.

<sup>4</sup> შ. მღვიმელი, რჩეული, ტ. II, თბ., 1964, გვ. 107.

<sup>5</sup> რ. ერისთავი, რჩეული თხზულებები, თბ., 1958, გვ. 121.

<sup>6</sup> „ჯეჯილი“, 1890, № 3, გვ. 20.

<sup>7</sup> ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 204.

სულში გადაუღლებია, მთელი სისრულით გადმოუცია იგი“.  
აი, ეს ლექსიც:

ტურფავ, ტურფავ! რას უყურებ,  
მოაცურე ჩემსკენ ნაღვი,  
ერთად დავსხდეთ და ვუყუროთ,  
როგორ არხევეს წყალს ნიაღვი.

ნურას ფიქრობ ჩემზე ავსა,  
გულს მხურვალედ ჩამეკარი,  
თუ რომ შენს თავს ანღობ ზღვასა –  
მე რითლა ვარ უნდობარი.

მაგრამ გულიც ხომ ზღვა არის,  
ხან ღელავს და ხან მშვიდდება  
და ძვირფასი მარგალიტი  
იმაშიაც იმალება.

რაც შეეხება მიბაძვას, მიბაძვა არის ავგორის მიერ თავისი ნაწარმოების შეგნებულად დამსგავსება სხვა მწერლის ნაწარმოების საერთო ნიშნებთან. ზოგჯერ ავგორი თვითონვე მიუთითებს ხოლმე თხზულების სათაურთან: „მიბაძვა ამა და ამ მწერლისადმი“. მიბაძვისას შეიძლება ახალი ნაწარმოები სჯობდეს ნიმუშს.

მიმბაძველს შეუძლია თავისებურად ორიგინალური ნაწარმოები შექმნას, ზოგჯერ მისაბაძი სავნის საპირისპიროც კი. ამ დროს მწერლის მოწონებული ნაწარმოები წარმოადგენს მხოლოდ სტიმულს ახალი ნაწარმოების დასაწერად, რომლის ფორმაცა და შინაარსიც სრულიად სხვა არის.

მიბაძვა არის ისეთი ქმნილება (ნაწარმოები), რომელიც იმეორებს რომელიმე ნიმუშის ფორმას, სტილს, მანერას. მიბაძვა დაკავშირებულია ორიგინალის ფორმის ახალი შინაარსის მისადაგებასთან (შეწყობასთან). ორიგინალის სტილისგური ნიშნები მიბაძვაში წარმოდგენილია შედარებით ღარიბუ-

---

<sup>1</sup> ვ. კავთიაშვილი, ეტიუდები გერმანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1991, გვ. 118. ა. ღირთან დაკავშირებით იხ. შ. რევიშვილი, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1969, გვ. 230-236.

ლად. მიბაძვით შექმნილი ნაწარმოებები თავისი ზომებით უმეტესად უფრო მცირეა, ვიდრე ორიგინალი.

მიბაძვის დროს უფრო ცოგაა საერთო სათარგმნ დედანთან. მიბაძვა ზოგჯერ იმდენად სცილდება სათარგმნ დედანს, რომ მთარგმნელის ორიგინალურ (სავსებით დამოუკიდებელ) ლექსადაც კი თელიან ხოლმე. მაგალითისათვის დავასახელებთ ჰაინეს მიბაძვით დაწერილ ილ. ჭავჭავაძის სამ ლექსს. ესენია: „მეცა მქონია კარგი მამული“, „სიხარული ჰგავს“ და „ვიხილე საგრფო“.

დიდხანს ცნობილი არ იყო, რომელი ავგორის მიბაძვით დაწერა ილიამ ლექსი „სიხარული ჰგავს“. ირაკლი კენჭომვილმა მიაკვლია, რომ იგი ჰაინეს ლექსის მიბაძვაა<sup>1</sup>. რაც შეეხება ლექსს „ვიხილე საგრფო“, იგი ბოლო დრომდე ილიას ორიგინალურ ლექსად იყო აღიარებული. მის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაშიც პოეტის ორიგინალურ ლექსადაა დაბეჭდილი<sup>2</sup>. ვენერა კავთიაშვილის დაკვირვებით კი, იგი არის ჰაინეს ლექსის „ძილში ვსტიროდი“-ს მიბაძვა<sup>3</sup>.

თავისუფალი თარგმანი არის ისეთი თარგმანი, რომელიც დედანს სიგყვასიგყვით, ზუსტად არ ემთხვევა. ამიტომ თავისუფალი თარგმანები მწერლის თხზულებათა გამოცემებში შეაქვთ ორიგინალური თხზულებების განყოფილებაში. სანიმუშოდ დავასახელებთ რაფ. ერისთავის მიერ შესრულებულ თავისუფალ თარგმანს. 1890 წლის ჟურნ. „ჯეჯილში“ გამოქვეყნებულია პოეტის მიერ თარგმნილი ლექსი „შვიდნი ვართ. აზრი რუსულიდან“<sup>4</sup>. დასახელებული ლექსი მოგვიანებით გადაბეჭდილია რ. ერისთავის ერთგომეულში ასეთი კომენტარით: „ლექსის ავგორი არის ინგლისელი პოეტი „გბათა სკოლიდან“ ეოდეორსკი (1770-1850), რომლის ლექსიც „We are seven“ რუსულ ენაზე თარგმნა ი. კობლოვმა (1777-1840), ხოლო ამ უკანასკნელისგან თავისუფალი თარგმანი მოგვცა რაფიელ ერისთავმა, რის გამოც მის ორიგინალურ ნაწარმოებებთან მოთავსდა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, № 18, გვ. 4.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, გვ. 26.

<sup>3</sup> ე. კავთიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 107-108.

<sup>4</sup> „ჯეჯილი“, 1890, № 1, გვ. 34-35.

<sup>5</sup> რ. ერისთავი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1958, გვ. 573, — დაყოფა ჩვენია, თ. მ.

ზემოთ განხილული ოთხი სახის თარგმანებიდან (თარგმანი პირდაპირი გაგებით, გადმოკეთება, მიბაძვა და თავისუფალი თარგმანი), რომელი მათგანი იგულისხმება ი. ბაქრაძის ლექსების სათაურებთან მიწერილ სიგყვა-გერმინებში, ყოველთვის გასაგები არ არის. ამის გარკვევა მხოლოდ ნათარგმნი და რუსული დედნის ტექსტების ერთმანეთთან შეჯერების შედეგად შეიძლება, ისიც არა ყოველთვის. მაგალითად, როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმები – „ტომას გულისებრივი“ ან „დიუპონლისებრივი“? თომას ჰუდისა და დიუპონლის ლექსების მსგავსი? ესე იგი მიბაძვასთან გვაქვს საქმე? ან რას ნიშნავს: „ბაირონით“, „ბაირონიდან“ და „პლექტერიდგან“? ბაირონისა და პლექტერის ლექსების ჩვეულებრივი, დედანთან მიახლოებული თარგმანები, თუ თავისუფალი თარგმანები? და ა. შ. რა თქმა უნდა, მსგავსი ბუნდოვანი თუ არაზუსტი (არაკონკრეტული) მინიშნებანი დიდად უშლის ხელს მკვლევარს დაძებნოს თარგმნილი ლექსების დედნები. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი მიზეზთაგანი ი. ბაქრაძის თარგმანების რუსული ორიგინალების მოსაპოვებლად. მიუხედავად სიძნელებისა მკვლევართა მიერ მაინც მოხერხდა ჰაინეს ლექსების ბაქრაძისეული თარგმანების ზოგიერთი რუსული დედნის დადგენა და ზედმიწევნით შესწავლა<sup>1</sup>. ასევე მიკვლეულია ბაირონის ზოგიერთი ლექსის რუსული დედანი და სათანადოდ განხილული<sup>2</sup>.

\* \* \*

იოსებ ბაქრაძემ უცხოურიდან თარგმნა ბევრი მწერალი. ყველაზე მეტი თარგმნა ბაირონისა და ჰაინეს თხზულებები – ბაირონის 30-მდე ლექსი და ჰაინეს მრავალი ლექსი და პოემები „დონ-ჟუანი“ და „ჩაილდ-ჰაროლდი“. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მას გადმოღებული აქვს სხვადასხვა

<sup>1</sup> ვ. კავთიაშვილი, დასახ. წიგნი.

<sup>2</sup> ნ. მედვინიძე, დასახ. წერილი; ნ. უბილავა, ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კრ-ში: „ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, თბ., 1979, გვ. 34-36.

მწერლის მხოლოდ თითო-ორი ნაწარმოები. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პოეტს სურდა ქართველი მკითხველისთვის საგანგებოდ მიეწოდებინა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის იმდროინდელ ცნობილ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებთა აღიარებული ნიმუშები. საბოლოო ჯამში დაგროვდა რუსული ენიდან ნათარგმნი სხვადასხვა ქვეყნის უცხოელ ავტორთა საუკეთესო ქმნილებანი, რომელთა გარკვეული ნაწილი ქართველი მკითხველისთვის პირველად ამ თარგმანების წყალობით გახდა ცნობილი. ამრიგად, წლების მანძილზე გულმოდგინედ შესრულებულმა თარგმანებმა საბოლოოდ შეადგინა უცხოელ ავტორთა ერთგვარი „მცირე ანთოლოგია“, რომელშიც ლიგერატურების მიხედვით შესულია შემდეგი მწერლები: ინგლისური ლიგერატურიდან – უოლტერ სკოტი, გომას მური, ბაირონი, გომას ჰუდი, ჰენრი უოდსვორთ ლონგფელო, ელფრიდ ტენისონი, უცნობი ავტორი (ლექსი „გოდება ირლანდიიდან გამოსულისა“); გერმანული ლიგერატურიდან – ფრიდრიხ შილერი, ჰაინრიხ ჰაინე, კარლ გუცკოვი; ფრანგული ლიგერატურიდან – ვიქტორ ჰიუგო, პიერ დიუპონი; იტალიური ლიგერატურიდან – ვიგორიო ალფიერი, უცნობი ავტორი (ლექსი „ოხ, იტალიავ, იტალიავ, გული გყვევდება“...); სერბიული ლიგერატურიდან – ივან დრაგაშევიჩი; რუსული ლიგერატურიდან – მ. ლერმონტოვი, დიმიტრი მინაევი, სიმიონ ნაღსონი, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო; სომხური ლიგერატურიდან – გ. სუნდუკიანი, რ. პატკანიანი, გ. დოდოხიანი, პ. თუმანიანი და ანონიმი ავტორი. ვერ დავადგინეთ რომელ ლიგერატურას მიეკუთვნება პლექტერის ლექსი „ვის გულშია გაზაფხული არ იმყოფება“ და ვალდაურის ლექსი „მოწყენით ორი დამგკნარი ვარდი“...

ამ თარგმანებსა და მათ ავტორებზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად აქვე მოვიყვანთ მოკლე ცნობებს მათ შესახებ. ავტორებისა და მათი ნაწარმოებების სახელწოდებებს ვიძლევი ქართულ ლიგერატურის მცოდნეობაში ამჟამად მიღებული მართლწერის მიხედვით (მაგალითად: ჰაინე-ჰეინე, გეინე, ლეინე; გომას ჰუდი – თომას გუდი; ჰოვანეს თუმანიანი – ოპანეზ თუმანიანი და ა. შ.).

# I. ინგლისური ლიტერატურა

## 1 უოლტერ სკოტი (1771-1832)

ინგლისელი მწერალი. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში შექმნა მრავალი პოემა, რომანი, ლიტერატურულ-კრიტიკული და საისტორიო შრომები. წერდა ლექსებსაც.

სკოტის რომანებში წამოჭრილია სოციალური უსამართლობის, ეროვნული, კლასობრივი ბრძოლის პრობლემები. სკოტის შემოქმედებას გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. მან დაამკვიდრა ისტორიული რომანის ჟანრი.

სკოტის შემოქმედებას საქართველოში გაეცნენ XIX საუკუნის დასასრულს. მისი ლექსი „საც გირიფს თხილთან გოტნი გაღუბავს“... 1886 წ. გადმოთარგმნა ი. ბაქრაძემ<sup>1</sup>. მანვე თარგმნა აგრეთვე სკოტის რომანი „აიენჰო“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ქურნ. „მოამბეში“ 1895 წელს. შემდეგ იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად<sup>2</sup>.

## 2. ტომას მური (1779-1852)

ინგლისელი პოეტი, წარმოშობით ირლანდიელი. ფართო პოპულარობა მოიპოვა მისმა „ირლანდიურმა მელოდიებმა“ (1807-1834 წწ.). ბეერი ლექსი ხალხურ სიმღერად იქცა. საყოველთაოდ ცნობილია მურის ლექსი „მწუხრის ზარები“, რომელიც ქართულადაც რამდენჯერმე არის გადმოღებული ი.კომლოვის რუსული თარგმანიდან („Вечерний звон“)<sup>3</sup>. წერდა აგრეთვე პოლიტიკურ ლექსებსა და სტატიებს, ღრამებს და სხვ.

ი. ბაქრაძემ 1882 წ. გადმოთარგმნა მურის ლექსი „როს შენ სგირი, იგანჯები“...<sup>4</sup>

<sup>1</sup> ვალტერ სკოტის მიერ თქმული, „ივერია“, 1886, 8 იანვარი, № 4.

<sup>2</sup> აიენგო, რომანი. ვალტერ სკოტისა. თარგმ. ი. ბაქრაძისა. ტფ., 1895; მეორეჯერ დაიბეჭდა 1937 წ.

<sup>3</sup> ტ. მურის რუსული თარგმანები იხ.: „Английские поэты в биографиях и образах“. Сост. Н. Гербель, СПб, 1875.

<sup>4</sup> „დროება“, 1882, 29 ივნისი, № 134.

### 3. ბაირონი (1788-1824)

ინგლისელი მწერლებიდან ქართულად უმეტესად ჯორჯ გორდონ ბაირონის თხზულებებს თარგმნიდნენ.

ბაირონის დიდი პოპულარობა „ჩაილდ ჰაროლდის“ გამოქვეყნებიდან დაიწყო. პოემის გმირი, იმედგაცრუებული ახალგაზრდა არისტოკრატი, მალე იქცა სინამდვილის წინააღმდეგ ამბოხებული პიროვნების სინონიმად. პოემაში ისმის პროტესტი არსებული სოციალური წყობილების მიმართ. ბაირონი სოციალური მოუწესრიგებლობისა და ეროვნული ჩაგვრის მიზეზებს ზნეობის დაცემასა და უმეცრებაში ეძიებს.

ბაირონი თავისი მეღანქოლიური განწყობილებებით ე. წ. „მსოფლიო სევდის“ გამომხატველი პოეტი იყო.

დრამატულია ბაირონის ლექსების ციკლი „ებრაული მელოდიები“ (1814-1815 წწ.), რომლებშიც სამშობლოს დაკარგვის ტკივილებთან ერთად გამოხატულია ადამიანის ძალისა და გამარჯვების რწმენა.

ბაირონის მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია დაუმთავრებელი რომანი ლქსად „დონ ჟუანი“, რომელშიც გადმოცემულია ინდივიდუალისტი პიროვნების ამბოხება მსოფლიო სოციალური სისტემის წინააღმდეგ.

ბაირონის ლექსების თარგმნა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. მის პირველ მთარგმნელთა შორის იყვნენ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი<sup>1</sup>. ბაირონის ლექსები ყველაზე მეტი გადმოთარგმნა იოსებ ბაქრაძემ<sup>2</sup>. ბაირონის შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო მთარგმნელად საქართველოში მას თვლიდნენ. ი. როსტომაშვილის რედაქციით გამოცემულ „რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ ეკითხულობთ: „ქართულს ენაზე გადმოთარგმნილია ბევრი თხზულება ბაირონისა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გადმოგვცემენ სავსებით ბაირონისებურს კილოს წერისას, მის

<sup>1</sup> მ. კუჭუხიძე, ბაირონი XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, „მაცნე“. ენისა და ლიტ. სერია, 1973, № 3, გვ. 56-63; მისივე, ნარკვევი კრ-ში: „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თბ., 1977.

<sup>2</sup> ბაირონის ლექსები ქართულს ენაზე, „სნობის ფურცელი“, 1897, 4. ოქტომბერი, № 330.



შემოქმედებითს პოეზიას. ჩვენში მის უკეთეს მთარგმნელად ითვლება იოსებ ბაქრაძე“.

როდესაც ი. ბაქრაძემ გადმოთარგმნა ბაირონის პოემა „ჩაილდ პაროლდი“, რომლის ბეჭდვა 1871 წლიდან დაიწყო ჟურნ. „მნათობში“, ამ თარგმანის შესახებ გაზ. „ცნობის ფურცელი“ წერდა: „იოსებ ბაქრაძემ მართლაც აგრძნობინა ქართველ მკითხველს ბაირონის სულის სიღიაღყო“.

პოეტის ლექსთა კრებულის გამომცემელი ს. ყუბანეიშვილი ი. ბაქრაძის თარგმანების შესახებ წერდა: „თარგმნიდა ის მშვენიერი ქართული ენით და მოხდენილი პოეტური ხერხებით, რისთვისაც ზოგი მათგანი ხალხში სამღერადაც კი იქცა“...

ბაქრაძისეულ თარგმანებზე ბოლო დროს გაჩნდა დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ი. ბაქრაძის თარგმანები მაღალი პროფესიული დონით არ გამოირჩევა“. თუ ისტორიული თვალსაზრისით შევხედავთ, აღნიშნული შეუასება, უფიქრობთ, მეტად მკაცრია. საგნები და მოვლენები იმ დროის მიხედვით უნდა შევაფასოთ, როდესაც ისინი არსებობდნენ. შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ საერთოდ იმდროინდელი მთარგმნელობითი დონე და, ამასთან, არ უნდა ამოვიღეთ თანამედროვე მკითხველის ესთეტიკური გემოვნებიდან და შეხედულებებიდან, თორემ ბევრი თარგმნილი ნაწარმოები დაჰკარგავს თავის ღირსებას.

აქვე ვიძლევი ი. ბაქრაძის მიერ თარგმნილი ბაირონის ლექსების ქრონოლოგიურ ნუსხას:

### 1871

ებრაული მელოდია. იუფაის ქალი (ბაირონით), „მნათობი“, 1871, № 8, გვ. 48.

ებრაული მელოდია. საულის სიმღერა. უკანასკნელი ომის წინაღ (ბაირონით), „მნათობი“, 1871, № 6, გვ. 68.

<sup>1</sup> რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, წ. II, ივ. როსტომაშვილის რედ., ტფ., 1899, გვ. 211.

<sup>2</sup> „ცნობის ფურცელი“, 1909, № 2496.

<sup>3</sup> ი. ბაქრაძე, ლექსები, თბ., 1938, წინასიტყვაობა, გვ. 9.

<sup>4</sup> ნ. ზედგინიძე, დასახ. წერილი, გვ. 131.

შენ გაიარე ქვეყნის გზა ძნელი (ბაირონიდამ), „მნათობი“. 1871, № 4, გვ. № 15-16.

ნაწყევეტი ბაირონის „ღონ-ქუანიდამ“, „მნათობი“, 1871, № 8, გვ. 118-119.

ჩაილდ ჰაროლდის სიმღერა (ბაირონით), „მნათობი“, 1871, № 2, გვ. 71-73.

### 1872

ღონ-ქუანი (ხმა მეორე), „მნათობი“, 1872, № 8-9, გვ. 49-86; № 10-11-12, გვ. 1-37.

### 1878

„არც ერთი შენა ამ ქვეყანაში“... „ღროება“, 1878, 5 დეკემბერი, № 249.

გოდება იროლისა მარიამნაზელ, „ღროება“, 1878, 24 ოქტომბერი, № 215.

მამ შენ დაღერი მღულარე ცრემლს? „ღროება“, 1878, 5 დეკემბერი, № 249.

როს ჩვენ ერთმანეთს ვეთხოვებოლით, „ღროება“, 1878, 24 ოქტომბერი, № 215.

ებრაული მელოღია. შენა სტიროლი, „ღროება“, 1878, 4 ნოემბერი, № 225.

ჩაილდ ჰაროლდის სიმღერა, „ღროება“, 1878, 11 ივლისი, № 137.

### 1879

ებრაული მელოღია (ბაირონისა), „ალმანახი შედგენილი გ. თუშანიშვილისაგან“, წ. II, თბ., 1879, გვ. 142.

ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდიდამ“, „ალმანახი შედგენილი გ. თუშანიშვილისაგან“, წ. II, 1879, გვ. 26-28.

### 1880

ჩაილდ ჰაროლდი. რომანი ოთხს ნაწილად გადმოთარგმნილი იბაქრაძისაგან [გალობა პირველი], „ივერია“, 1880, № 3, გვ. 142-204.

1886

ბაირონიდამ, „ივერია“, 1886, 21 იანვარი, № 15.  
ძილგამკროთალთ მშვე, „ივერია“, 1886, 28 თებერვალი,  
№ 46.

1893

„განწირულება შემეცვალა“ (ბაირონიდან), „კვალი“,  
1893, № 10, გვ. 10.

1894

დღეს შეესრულდი 36 წლისა, „მოამბე“, 1894, № 1, განყ.  
I, გვ. 114-115.

1895

ჩაილდ ჰაროლდი. ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდიდგან“  
[ნაწყვიტი], „ივერია“, 1895, 6 მაისი, № 96.

1896

„ჩაილდ ჰაროლიდამ“ (სიმღერა“, „ივერია“, 1896, 25  
მარტი, № 65.

1898

„ჩაილდ ჰაროლდი“ (გალობა მესამე), „ივერია“, 1898, 23  
აპრილი, № 86, გადაბეჭდილია წგ-ში: „სალარო ცოდნისა“. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი. ივ. როსტო-  
მაშვილის რედაქციით, წ. II, თბ., 1898, გვ. 211-212.

1899

კოლიმეის ნანგრევეებზედ („ჩაილდ ჰაროლდიდგან“),  
„ივერია“, 1899, 5 იანვარი, № 2.

„ჩაოლდ ჰაროლდიდგან“ (გალობა მეოთხე), „ივერია“, 1899, 21  
მარტი, № 62.

1901

ებრაული მელოდი. ქურციკი, „ივერია“, 1901, 6 იანვა-  
რი, № 5.

1902

ებრაული მელოდია, გიგესაგან იერუსალიმის დანგრევა, „ივერია“, 1902, 4 ოქტომბერი, № 210.

ჯულიას წერილი (ბაირონის „ღონ-ქუანიდან“), „ცნობის ფურცელი“, 1902, 1 დეკემბერი, № 2000.

1903

მაშ გამარჯვება, „სახალხო გაზეთი“, 1903, 14 მარტი, № 845.

პრომეთეოსი (ამირანი) ბაირონისა, „ივერია“, 1903, 9 დეკემბერი, № 262.

„ჩაილდ ჰაროლდიდან“ (გალობა მეორე), „ივერია“, 1903, 14 ნოემბერი, № 244.

#### 4. გომას პული (1799-1845)

ცნობილი ინგლისელი პოეტი. პოპულარობა მოიპოვა იუმორისტული ლექსებით „ახირებანი და უცნაურობანი“, რომლებსაც ასურათებდა საკუთარი კარიკატურებით. 1843-1845 წლების ნაწარმოებებში გამოხატა ინგლისელი პროლეტარიატის ცხოვრებას. დიდი წარმატება ჰქონდა პულის ლექსს „სიმღერა პერანგზე“ (1843 წ.), რომელშიც ასახავდა მკერავთა მძიმე შრომას. სოციალურ უსამართლობას უძღვნა 1844-1845 წლებში დაწერილი ლექსები: „ოხვრათა ხიდი“, „დედის სიმმარი“, „მუშის სიმღერა“ და სხვ.

იოსებ ბაქრაძემ თარგმნა პულის ორი ლექსი: „მუშის სიმღერა“ და „სიმღერა პერანგზე“. „სიმღერა პერანგზე“ მეტად გავრცელებული იყო. 1901 წ. ის გადმოთარგმნა ა. წერეთელმა<sup>1</sup>. იმავე წელს გადმოთარგმნა ი. ევლოშვილმა<sup>2</sup>. ამ ლექსის გამოცხადება ი. გრიშაშვილის „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მუშის სიმღერა (გომას გულისებრივი), „ივერია“, 1877, № 6, გვ. 7-8. ხელმოწერა: ს. ოქრიაშვილი; ი. ბაქრაძე, კრებული, 1938, გვ. 17-18.

<sup>2</sup> გომას გული, სიმღერა პერანგზე (ეუძღვნი ე. დიმ. ღვინიაშვილისას). [თარგმ.] სოსიკო ბაქრაძისა, „დროება“, 1878, 25 ივნისი, № 125.

<sup>3</sup> სიმღერა პერანგის გამო, „ივერია“, 1901, 6 ნოემბერი, № 242.

<sup>4</sup> სიმღერა მკერავი ქალისა. „კეალი“, 1901, № 15; ი. ევლოშვილი, ლექსები და პოემები, შ. რადიანის შეს. წერილით და რედ., თბ., 1948, გვ. 118-120.

<sup>5</sup> ი. ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი, თბ., 1984, გვ. 59.

გ. ჰუდის ლექსი „სიმღერა პერანგზე“ რუსულად მეტად გავრცელებული იყო, არსებობდა მისი რამდენიმე თარგმანი შესრულებული XIX საუკუნის 60-იან წლებში მ. მიხაილოვის, ე. კოსტომაროვის, დ. მიხაილოვსკისა და დ. მინაევის მიერ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მათ შორის ყველაზე უფრო მარჯვე, კარგია მ. მიხაილოვის თარგმანი, რომელიც ძალიან ზუსტად გადმოცემს ლექსის მხატვრულ თავისებურებებსა და ემოციურ ხასიათს. მიხაილოვის თარგმანთან შედარებით სხვა თარგმანები ნაკლებად საყურადღებოა<sup>1</sup>.

ქართული ტექსტის არსებულ რუსულ თარგმანებთან შეჯერებით ირკვევა, რომ ი. ბაქრაძემ თავისი თარგმანი შეასრულა სწორედ მ. მიხაილოვის ნათარგმნი ტექსტიდან.

პოეტი-დემოკრატი მიხაილ ლარიონის ძე მიხაილოვი (1829-1865) XIX საუკუნის ცნობილი რუსი მთარგმნელია. ახლოს იყო დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის წრესთან, ანტი-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ბრალდებით 1861 წ. დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა<sup>2</sup>.

გ. ჰუდის ლექსი „სიმღერა პერანგზე“ ი. ბაქრაძეს შეეძლო ენახა ნ. გერბელის მიერ შედგენილ ინგლისური პოეზიის ცნობილ ანთოლოგიაში, სადაც შეგანილია დასახელებული ლექსის მ. მიხაილოვის თარგმანი<sup>3</sup>.

## 5. ელფრიდ გენისონი (1809-1892)

ინგლისელი პოეტი. მას ეკუთვნის ლექსების კრებულები და პოემები, ავტორია დრამებისა. ე. გენისონის პოეზია თავისი ხასიათით სანტიმენტალურია, გამოირჩევა მუსიკალობით.

- იოსებ ბაქრაძემ თარგმნა მისი ლექსი „გოდია“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Н. К. Орловская, Вопросы литературных связей Грузии с Западом, Тб., 1986, გვ. 271-275.

<sup>2</sup> П. С. Фатеев, Михаил Михайлов – революционер, писатель, публицист, М., 1969.

<sup>3</sup> Английские поэты в биографиях и образцах. Составил Н. В. Гербель, СПб. 1875. გადაბეჭდილია წიგნში: М. Л. Михайлов, Полное собрание стихотворений, М.-Л., 1934, გვ. 166.

<sup>4</sup> „დროება“, 1878, 21 ივნისი, № 121. რუსული თარგმანი. იხ. წიგნებში. Англ. поэты в биографиях и образцах. Сост. Н. В. Гербель, СПб. 1875; М. Л. Михайлов, Полное собрание стихотворений, М.-Л., 1934, გვ. 180.

## 6. უცნობი ავტორი

იოსებ ბაქრაძემ 1871 წელს გადმოთარგმნა უცნობი ავტორის ლექსი „გოდება ირლანდიიდან გამოსულისა“. ლექსს სათაურთან მიწერილი აქვს „ინგლისურიდამო“, მაგრამ სინამდვილეში ნათარგმნია რუსულიდან.

## 7. უცნობი ავტორი

ი. ბაქრაძემ რუსულიდანვე გადმოთარგმნა უცნობი ავტორის პროზაული თხზულება „ზანგი პასტორი ჯონ კრიდი“. ამ ნაწარმოებსაც მიწერილი აქვს „ინგლისურიდამო“. მთარგმნელის ვინაობა აღნიშნულია კრიპტონიმებით<sup>1</sup>.

## II. გერმანული ლიტერატურა

### 8. ფრიდრიხ შილერი (1759-1805)

გერმანელი დრამატურგი, პოეტი, ისტორიკოსი. გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართველოში მისი ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. შილერის ქართული თარგმანებით დაინტერესებულა ი. გრიშაშვილი, რომელსაც შეუდგენია თარგმანების ბიბლიოგრაფია<sup>2</sup>.

იოსებ ბაქრაძემ თარგმნა შილერის ორი თხზულება: ოთხმოქმედებიანი დრამა „ვილჰელმ გელი“ და გრაგელია „მარია სტიუარტი“.

### 9. ჰაინრიხ ჰაინე (1797-1856)

გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი. საქართველოში ჰაინეს შემოქმედება დიდი პოპულარობით სარგებლობდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ი. ჭავჭავაძე და ა.

<sup>1</sup> „მნათობი“, 1871, № 3, გვ. 100-102.

<sup>2</sup> ზანგი პასტორი ჯონ კრიდი (ინგლისურიდამო), [თარგმ.] ი.ბ.-მესი, „დროება“, 1884, № № 71-75.

<sup>3</sup> ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, ტ. I, ნაწ. 3, თბ., 1980, გვ. 27-29.

<sup>4</sup> „მოამბე“, 1905, № 7, გვ. I, გვ. 45-100; № 8, გვ. I, გვ. 1-70.

<sup>5</sup> ქ. ბურჯანაძე, რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მივიწყებულ პოეტზე, „ცისკარი“, 1972, № 6, გვ. 145.

წერეთელი პირველნი იყვნენ, ვინც ჰაინეს ლექსები ქართულად თარგმნეს.

ჰაინეს ნაწარმოებთა მთარგმნელთა შორის ყველაზე ნაყოფიერი იოსებ ბაქრაძე იყო. მან გადმოთარგმნა ჰაინეს 30-ზე მეტი ლექსი. ბაქრაძის თარგმანებს იმ დროისთვის უთუოდ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართველ მკითხველს ათვისებობიერებდა დასავლეთ ევროპის მხატვრული სიგყვის სამყაროთი.

როგორც მონოგრაფიაში მრავალგზის აღვნიშნეთ, ი. ბაქრაძის თარგმანები შესრულებულია რუსული თარგმანების მიხედვით, რუსულად კი ჰაინეს თითქმის ყველა ლექსი რამდენჯერმეა თარგმნილი, მათში ყველაზე საუკეთესოდ მ. მიხაილოვის თარგმანები ითვლება. ბაქრაძეს სწორედ მიხაილოვის თარგმანები აურჩევია<sup>1</sup>.

ჰაინეს ლექსების ქართული თარგმანები და მათ შორის ი. ბაქრაძის თარგმანებიც საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი გერმანულ-ქართული ლიგერატურული ურთიერთობის სპეციალისტებს<sup>2</sup> და გამეორების თავიდან ასაცილებლად სიგყვას აღარ გავაგრძელებთ, თავს მოუყრით მხოლოდ ბაქრაძის მიერ თარგმნილ ნიმუშებს და აქვე ჩამოეთვლით პირველი პუბლიკაციების მიხედვით, რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ აღნიშნულ თარგმანებზე:

### 1870

„თუ რომ გაქვს შენა სარჩო მრავალი“... (თარგმ.) ი. ელაქაძის, „დროება“, 1870, 26 თებერვალი, № 8.

### 1871

„ძილში ესტიროდი, მე დამესიბმრა“... „მნათობი“, 1876, № 6, გვ. 96.

---

<sup>1</sup> "Немецкие поэты". под ред. Н. В. Гербея, СПб, 1877, გვ. 445-446; Генрих Гейнс. Библиография русских переводов и критической литературы на русский язык [Сост. А. Г. Левинсон], М., 1958.

<sup>2</sup> შ. რევიშვილი, ქართულ-გერმანული ლიგერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 201-236; დღამქარაძე, ჰაინრიხ ჰაინე, თბ., 1972; ვ. კავთიაშვილი, ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიგერატურაში, თბ., 1978; მისივე, ეტიუდები გერმანულ-ქართული ლიგერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1991 და სხვ.

1882

„ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ“, „ივერია“, 1882, № 12, გვ. 63.

1890

„რისთვის გაყვითლდნენ ასე ვარდები“, „ივერია“, 1890, № 240.

1893

„მომეს ხელი! გულზედ დამაღე ჩქარა!“, „კვალი“, 1893, № 20, გვ. 13.

10. „ტურფა ქალი ჭაბუკს უყვარს!“, „კვალი“, 1893, № 10, გვ.

„ყვაილებს მოუწყენიათ“... „კვალი“, 1893, № 20, გვ. 15.

1894

მწყემსი, „მოამბე“, 1894, № 4, განყ. I, გვ. 149-150.

1895

„ხეების ჩრდილს ქვეშ მიმოვიღოდი“... „მოამბე“, 1895, № 4, განყ. I, გვ. 154.

1900

ახ! ისევ ის თვალებია... „ივერია“, 1900, 21 ოქტომბერი, № 230.

1901

„აგერა მთებზე მზე უკვე ბრწყინავს“... „ივერია“, 1901, 10 მარტი, № 55.

„ახ! ყვაილები რომ მიხედნენ“... „ივერია“, 1901, 3 მაისი, № 96.

1902

ვითა ქურციკი გამურთხალი... „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1902, 21 ნოემბერი, № 68, გვ. 1.



ზაფხულის დღე იწურება..., „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1902, 10 ნომბერი, № 66, გვ. 1.

„კვალად მესიზმრა: მე და შენ ორნი“, „ცნობის ფურცელი“, 1902, № 240.

ლოყით მოეკარ ჩემსა ლოყასა..., „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1902, 1 დეკემბერი, № 71, გვ. 1.

როს ბურანშია ვიყავ წასული..., „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1902, 29 დეკემბერი, № 79, გვ. 1; გადაბეჭდილია: იქვე, 1903, № 87, გვ. 1.

როცა ვუყურებ მე შენსა თვალებს..., „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1902, 1 დეკემბერი, № 71, გვ. 1.

სად მოუპოვებ მგზავრი მაშვერალი..., „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1902, 27 ოქტომბერი, № 64, გვ. 1.

გურფავ, მე და შენ გადახვეულნი..., „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1902, 24 ნოემბერი, № 69, გვ. 1.

უძრავად ლაქვარდ ცაზედა..., „ცნობის ფურცელი“, 1902, 25 დეკემბერი, № 2024.

შხამით სავსეა ჩემი ლექსები..., „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1902, 25 დეკემბერი, № 78; გადაბეჭდილია: „ცნობის ფურცელი“, 1903, № 87.

### 1903

„ბედნიერება, ვით ქარაფშუტა“, „ივერია“, 1903, 1 აგვისტო, № 163.

„გაგაფრენ შენა, ჩემო ძვირფასო“..., „ივერია“, 1903, 1 ნოემბერი, № 233.

„დამტკნარი მზისა სხივებით“..., „ივერია“, 1903, 23 მაისი, № 109.

მაგიდას უსხდნენ და ჩაის სვამდნენ... (პეინელგან), „ივერია“, 1903, 5 ნოემბერი, № 236.

მართლა შენ მე გამიხდი მგრად? „ცნობის ფურცლის“ სურათ. დამატ., 1903, 9 თებერვალი, № 91, გვ. 1.

„რა დამაღიწყებს მე იმ ღროს წარსულს“..., „ივერია“, 1903, 23 მაისი, № 109.

„რას გვარგებს შენი იგავნი“..., „ივერია“, 1903, 1 აგვისტო, № 163.

სეველამ მომიცეა, გული მგმუნვარებს..., „ცნობის ფურცლის“ სურათი. დამაგ., 1903, 26 იანვარი, № 87, გვ. 1.

### 10. კარლ გუცოვი (1811-1878)

გერმანელი მწერალი. თავის ნაწარმოებებში გაბედულად ამხელდა რეაქციას. მსოფლიო თეატრების რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა მისმა ღრამამ „ურიელ აკოსტამ“, რომლის გმირი ებრძვის დესპოტიზმსა და რელიგიურ ფანატიზმს.

ოსებ ბაქრაძემ გადმოთარგმნა გუცოვის დასახელებული პიესა<sup>1</sup>, რომელიც დიდხანს წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე<sup>2</sup>.

## III. ფრანგული ლიტერატურა

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა დიდ ადგილს უთმობდა ევროპული ლიტერატურის ნაწარმოებებს, მაგრამ გარკვეულად შეიმჩნევა ფრანგული ლიტერატურის ცნობილ ავტორთა თხზულებებით დაინტერესება. ეს, ალბთ, გაპირობებული იყო იმითაც, რომ მოცემულ პერიოდში რუსეთის ე. წ. არისტოკრატიულ ფენებში იმდენად იყვნენ გატაცებული ფრანგული ენით, რომ ოჯახებშიც კი საკუთარ ენაზე (რუსულზე) ლაპარაკს ერიდებოდნენ და ფრანგულად საუბრობდნენ. ამან გარკვეული გავლენა მოახდინა რუსულ ლიტერატურაზეც. რუსი ავტორები თავის მხატვრულ ქმნილებებში უხვად ჩართავენ ხოლმე ფრანგულ ენაზე დაწერილ ტექსტებს. ერთი სიტყვით, სწრაფვა ფრანგული ენისა და კულტურისაკენ ერთგვარ „მოდად“ იქცა, რასაც არ შეიძლება თავისი გავლენა არ მოეხდინა საქართველოზეც, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო რუსულ კულტურასთან, და ინტერესი არ გამოეწვია მოწინავე ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. ი. ბაქრაძეს ფრანგული ლიტერატურიდან სათარგმნელად შეურჩევია ვ. ჰიუგოსა და პ. დიუპონის ლექსები.

<sup>1</sup> გუცოვი, ურიელ აკოსტა, გრაველია 5 მოქმ. გადმოღებული ი. ბაქრაძის მიერ, „თეატრი“, 1886, №№ 45-48; 1887, №№ 1-10.

<sup>2</sup> ქ. ბურჯანაძე, ნარეკევი, გვ. 145.

## 11. ვიქტორ ჰიუგო (1802-1885)

ვიქტორ ჰიუგო არის ავტორი რომანტიკოსთა ლიტერატურული მანიფესტისა და საქვეყნოდ აღიარებული რომანებისა: „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „საბრალონი“, „ოთხმოცდაცამეტი წელი“, „კაცი, რომელიც იცინის“ და სხვ. ჰიუგო იყო აგრეთვე ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი პოეტი, რომელმაც დატოვა მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა. თავისი პოლიტიკური შეხედულებებით იგი სოციალურ წინააღმდეგობათა მშვიდობიანი გზით გადაჭრის მომხრე იყო.

ი. ბაქრაძემ რუსული თარგმანიდან გადმოიღო ვ. ჰიუგოს ლექსი „ლოცვა ყველასთვის“<sup>1</sup>.

## 12. პიერ ღიუპონი (1821-1870)

მეორე ფრანგი პოეტი პიერ ღიუპონი იყო XIX საუკუნის 40-იანი წლების დემოკრატიული პოეზიის წარმომადგენელი, სახალხო მომღერალი. სიმღერების კრებულით „გლეხები“ (1845) ღიუპონმა შექმნა სოფლური ცხოვრების ამსახველი რეალისტური სურათები და კოლორიტი. ღიუპონისათვის დამახასიათებელია ოპტიმიზმი, რწმენა ხალხისა. რეალისტური გენდენციები („მუშათა სიმღერა“, „სიმღერა პურზე“).

ი. ბაქრაძემ ს. ოქრიაშვილის ფსევდონიმით 1877 წელს გამოაქვეყნა ღიუპონის ლექსის „გლეხების სიმღერა“-ს თარგმანი<sup>2</sup>.

## IV. იტალიური ლიტერატურა

### 12. ვიგორიო ალფიერი (1749-1803)

იტალიური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო პოეტი და დრამატურგი ვიგორიო ალფიერი, ეროვნულ-განმანათლებლური კლასიციზტური გრავედიის ფუძემდებელი იტალიაში. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა როგორც იმდროინდელ სამოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ისე მომდევნო პერიოდის იტალიურ ლიტერატურაზე.

<sup>1</sup> ლოცვა ყველასთვის. თავისუფლად ნათარგმნი ი. ბაქრაძის, „ცნობის ფურცლის“ სურ. დამატ., 1903, 1 იანვარი, № 80.

<sup>2</sup> გლეხების სიმღერა (ღიუპონლისებრივი), „ივერია“, 1877, № 3-6, გვ. 11-12.

ვ. ალფიერი სიუჟეტებს ანტიკური ლიტერატურიდან სესხულობდა, მაგრამ თითქმის ყოველ მათგანს იგი ერთი მთავარი თემის, ერთი იდეის, გირანთის წინააღმდეგ ბრძოლის, რესპუბლიკის შექმნის, თავისუფლების იდეის საფუძველზე ამუშავებდა. თავისუფლების გრაგედიებს მიეკუთვნება „ვირჯინია“ (1777), „პაცის შეთქმულება“ (1787); სამეფო ტახტისთვის ბრძოლის გრაგედია „მარია სტიუარტი“ (დაახლ. 1779-1780 წწ.). ალფიერის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სონეტები, ეპიგრამები და თარგმანები ანტიკური ლიტერატურიდან.

იოსებ ბაქრაძემ 1872 წელს თარგმნა ალფიერის გრაგედის „პაცის შეთქმულების“ ნაწილი და ეს თარგმანი მიუძღვნა ზურაბ მოენიძეს. „ზურაბ მოენიძე ფსევდონიმია ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერლის ანგონ ფურცელაძისა. თარგმანი დაიბჭდა კურნ. „მნათობში“.

იმავე წელს „მნათობშივე“ მთლიანად გამოქვეყნდა<sup>1</sup>, ხოლო 1873 წ. ცალკე წიგნად გამოვიდა ალფიერის მეორე გრაგედია „ვირჯინია“<sup>2</sup>.

#### 14. უცნობი ავტორი

ი. ბაქრაძემ რუსულიდან გადმოთარგმნა უცნობი იგალიელი ავტორის ლექსი „ოხ, იგალიაჲ, იგალიაჲ, გული ტყვეედება“<sup>3</sup>.

### V. ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურა

#### 15. პენრი უოდსუორთ ლონგფელო (1807-1882)

ამერიკელი პოეტი. მსოფლიო დიდება პოეზიამ მოუხვეჭა. ლექსების გარდა წერდა რომანებს, პიესებსა და ნარკვევებს. ამერიკის ლიტერატურაში დიდი მოვლენა იყო ლონგფელოს პოემა „სიმღერა ჰაიავათაზე“, რომელიც ეროვნული

<sup>1</sup> შამა და შვილი (სცენა ალფიერის გრაგედიიდან „პაცის ჯალაბობა“). ეუძღენი ზურაბ მოენიძეს (რუსულიდან), „მნათობი“, 1872, № 1, გვ. 132-133.

<sup>2</sup> ვირჯინია. თხზ. ალფიერისა. თარგმნილი ი. ბაქრაძისაგან, „მნათობი“, 1872, № 10-11-12. გვ. 1-80.

<sup>3</sup> ალფიერი, ვირჯინია, გვ., 1873.

<sup>4</sup> „ოხ, იგალიაჲ, იგალიაჲ, გული ტყვეედება“... (იგალიურიდან), [თარგმ.] ი. ბაქრაძისა, „ვირჯინია“, 1881, № 1, გვ. 112.

ეპოსის შექმნის პირველი ცდაა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ლონგფელოს „ლექსები მონობაზე“.

ლონგფელოს ლექსი „წყარო და ზვირთი“ ი. ბაქრაძემ რუსულიდან თარგმნა 1900 წელს<sup>1</sup>.

## VI. სერბიული ლიტერატურა

### 16. ივან ღრაგაშევიჩი

სერბიელი პოეტი. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ღრაგაშევიჩი ცნობილი იყო, როგორც პატრიოტული ლექსების ავტორი და სერბიელთა გაბზეთ „ბელგრადელი მეომრის“ რექტორ-გამომცემელი.

ი. ბაქრაძემ თარგმნა ღრაგაშევიჩის ლექსი „ბრძოლა“<sup>2</sup>. როგორც ქ. ბურჯანაძემ გაარკვია<sup>3</sup>, ლექსი თავისუფლად არის თარგმნილი ნ. ვ. გერბელის რუსული თარგმანიდან<sup>4</sup> და სიმღერად გავრცელდა ხალხში.

## VII. შოგლანდიური ლიტერატურა

### 17. რობერტ ბერნსი (1759-1796)

შოგლანდიელი პოეტი. შოგლანდიელი ხალხის მიერ აღიარებულია როგორც ეროვნული პოეტი. მისი ლექსები დამუხტულია შოგლანდიური ხალხური პოეზიისთვის დამახასიათებელი მომავლისადმი რწმენით.

ბერნსის პოლიტიკურ ლირიკაში ასახულია ეროვნული ენისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ინგლისური თვითმპყრობელობის სიძულვილი და თავისუფლებისადმი მისწრაფება. იგი პროგრესული რომანტიზმის წინამორბედად ითვლება. მისი ლექსები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი.

<sup>1</sup> წყარო და ზვირთი (ლონგფელოდგან), „ივერია“, 1900, 29 ოქტომბერი, № 236.

<sup>2</sup> ბრძოლა (სერბიელი პოეტის ღრაგაშევიჩისა), „ივერია“, 1881, № 3, გვ. 51. მთარგმნელის ხელმოწერა არა აქვს, სარჩევშია მითითებული: „იმისივე“.

<sup>3</sup> ქ. ბურჯანაძე, დასახ. ნარკვევი, გვ. 148-149.

<sup>4</sup> Поэзия славян. Сборник под редакцией Ник. Вас. Гербеля, СПб, 1871, გვ. 287.

ი. ბაქრაძემ 1878 წ. გამოაქვეყნა ბერნსიდან მომდინარე ლექსი „სიმღერა“ („არც სახლი მაქვს, არც კარი“...), რომელიც ხალხმა ერთბაშად აიგაცა და სასიმღერო ლექსად აქცია. სპეციალისტების სიგყვით, იმ დროს „ივერიაში“ ამაზე უკეთესი „თარგმანი“ არ დაბეჭდილა“.

## VIII. რუსული ლიტერატურა

რუსული ლიტერატურიდან ი. ბაქრაძემ გადმოთარგმნა ოთხი პოეტის ლექსი. ესენია: მ. ლერმონტოვი, დ. მინაევი, ს. ნაღსონი და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

### 18. მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი (1814-1841)

მ. ლერმონტოვმა დეკაბრისტებისა და პუშკინის საუკეთესო გრადიციები განავითარა და გამოხატა იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების ფიქრები რუსეთის მომავალზე, ხალხის ბედზე, პიროვნების თავისუფლებაზე. პოეტი დაუნდობლად ილაშქრებდა დესპოტიზმის წინააღმდეგ. მისი თავისუფლებისმოყვარე, მუამბოხე გმირები ვერ ურიგდებოდნენ არსებულ უსამართლობას. ლერმონტოვის პატრიოტიზმი და დემოკრატიზმი, მისი პოეზიის ხალხურობა ნათლად გამოვლინდა ისეთ ლექსებში, როგორცაა: „ბოროდინო“, „სამშობლო“ და ა. შ.

ი. ბაქრაძემ თარგმნა ლერმონტოვის ლექსი „წმინდა საკანის კარების გვერდით“.

### 19. დიმიტრი დიმიტრის ძე მინაევი (1835-1889)

რუსი პოეტი დ. მინაევი დაჯილდოებული იყო საგირული ნიჭით. 1859 წ. გამოსცა ლიტერატურული პაროდების წიგნი „გადამღერება“. მომდევნო წლებში გამოქვეყნებული აქვს ლექსთა კრებულები. თავის ნაწარმოებებში თანაუგ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1878, № 4, გვ. 10, ხელმოწ.: სოსიკო ოქრიაშვილი.

<sup>2</sup> ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 1986, გვ. 397-398.

<sup>3</sup> К. Д. Александров, Н. А. Кузьмина, Библиография текстов Лермонтова (1824-1935), М.-Л., 1936.

<sup>4</sup> Д. Д. Минаев, Думы и песни... т. 1-2, СПб., 1863-1864; იხ. აგრ. მისივე, Стихотворения и поэмы, Л., 1960.

რძნობდა ჩავრულ გლებობას, დაუზოგავად ამხელდა ლიბერალებსა და ბიუროკრატებს.

იოსებ ბაქრაძემ 18. წ. თარგმნა მინაევის ლექსი „გაზაფხულის მოლოდინი“.

## 20. სემიონ იაკობის ძე ნაღსონი (1862-1887)

რუსი პოეტის ს. ნაღსონის პოეზიაში დიდ პატრიოტიზმსა, სოციალურ და მოქალაქეობრივ მოტივებთან ერთად გადმოცემულია გულგატეხილობის, უიმედობისა და სევდის განწყობილებანი. ლექსის დიდმა მუსიკალობამ განაპირობა ნაღსონის პოეზიის პოპულარობა<sup>1</sup>. ბევრი მისი ლექსი სიმღერად იქცა.

ლექსში „ძმავ, მეგობარო, მრავალგანჯულო“ („Друг мой, брат мой“) პოეტი ოცნებობს პარმონიულ საზოგადოებრივ წყობილებაზე. 1894 წელს სწორედ ეს ლექსი თარგმნა ი. ბაქრაძემ<sup>2</sup>.

## 21. ვლადიმერ ივანეს ძე ნემიროვიჩ-დანჩენკო (1858-1943)

რუსი თეატრალური მოღვაწე, მწერალი, დრამატურგი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო მრავალი მოთხრობის, რომანისა და პიესის ავტორია. წერდა ლექსებსაც.

ი. ბაქრაძემ 1895 წელს თარგმნა მისი ლექსი „სურვილი“<sup>3</sup>.

## IX. სომხური ლიტერატურა

სომხური ლიტერატურიდან ი. ბაქრაძემ თარგმნა ხუთი მწერლის ნაწარმოებები. ესენია: გ. სუნდუკიანი, რ. პატკანიანი, გ. დოღობიანი, კ.თუმანიანი და ანონიმი სომეხი ავტორი.

## 22. გაბრიელ მკრტიჩის ძე სუნდუკიანი (1825-1912)

ცნობილი სომეხი დრამატურგი გ. სუნდუკიანი იყო კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი სომხურ ლიტე-

<sup>1</sup> С. Надсон, Полн. собр. стихотворений, М.-Л., 1962.

<sup>2</sup> „ძმავ, მეგობარო, მრავალგანჯულო“..., „მოამბე“, 1894, № 7, განყ. I, გვ. 82.

<sup>3</sup> სურვილი (ნემიროვიჩ-დანჩენკოსი), „ივერია“, 1895, 25 აპრილი, № 86.

რაგურაში. დაიბადა და ცხოვრობდა თბილისში. იგი მხარში ამოუდგა თბილისის ამქრებს სოციალური უფლებებისათვის ბრძოლაში (1865 წ.). სუნდუკიანის ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული სომხურ თეატრთან. მისი პიესები თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულზეც („სალამოს ცხვირი ხეირია“, „ოსკან პეგროვიჩი საიქიომი“, „ხათაბალა“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“, „პეპო“). ქართულად თვითონ ავტორი თარგმნიდა. გ.სუნდუკიანის პიესები იღვმებოდა ქართულ სცენაზე. დრამატურგის „პეპოს“ ავტორიზებულ თარგმანთან დაკავშირებით საგანგებოდ ვჩერდებით ნაშრომის ბოლოს (დის. გვ.134).

### 23. რაფიელ გაბრიელის ძე პაკკანიანი (1830-1892)

მეორე სომეხი მწერალი, რომლის ნაწარმოებიც თარგმნა ი. ბაქრაძემ, იყო რ. პაკკანიანი. იგი ავტორია მოთხრობებისა, პაგრიოტული ლექსებისა და საგირული ლექსების ციკლისა „ახალი ნახიჩევანის ლირა“ (1879 წ.). თავის ნაწარმოებებში პაკკანიანი მიმართავდა რა წარსულის საგმირო ფურცლებს, ისწრაფოდა სომეხ ხალხში გაელვძიებინა ეროვნული თვითგამორკვევა, მოუწოდებდა განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ. მან შექმნა სამოქალაქო პოეზიის ყურადსაღები ნიმუშები. მწერალი ამხელდა სავაჭრო ბურჟუაზიისა და სასულიერო წოდების ანგარებას, ეგოიზმს.

ი. ბაქრაძემ გადმოთარგმნა პაკკანიანის გახმაურებული ლექსი „არაქსის ცრემლები“.

### 24. გეორგ დოღობიანი (1830-1908)

ისგორიამ მრავალი მაგალითი იცის იმისა, როცა ერთ-ერთმა ნაწარმოებმა ავტორს სახელი გაუთქვა. ასეთი ბედი ხვდა წილად სომხურ ლექსს „მერცხალს“ („წიწერნაკს“). დასახელებული ლექსი თავის დროზე სიმღერად იქცა და ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და რუსულ ენებზე გადათარგმნეს. ამ მეტად გახმაურებული პაგრიოტული ლექსის ავტორად სხვადასხვა პირს ასახელებდნენ. არსებობდა ისეთი მოსაზრე-

<sup>1</sup> არაქსის ცრემლები, „ივერია“, 1897, 9 თებერვალი, № 21.



ბაც, თითქოს „მერცხალი“ სომხურ ენაზე ოდნავ შეცვლილი სახით ნათარგმნი იყო ცნობილი ფრანგი მწერლის ბერანეს „მერცხლებიდან“. ზოგიერთები კი თელიდნენ რუსი პოეტის ა. კოლცოვის ლექსის „სიმღერის“ თარგმანად.

სომხური ლიტერატურის მკვლევარმა დოც. ივ. ბეგლაროვმა გ. დოდოხიანის ავტოგრაფის და მისი სხვა ლექსების აღმოჩენით საბოლოოდ გაარკვია, რომ ლექსის ავტორია XIX საუკუნის სომეხი მწერალი გეორგ დოდოხიანი. „მერცხალი“ პოეტს დაუწერია ქ. დორპატში (იურიევში) 1853 წელს ბაშკირული „მაკლარკა“-ს გავლენით. ეს ლექსი პირველად თვითონ ავტორმა იმღერა და ასე გავრცელდა მისი ჰანგი ხალხში.

ქართულად „მერცხალი“ პირველად ი. ბაქრაძემ გადმოთარგმნა, „რომელიც თავის დროზე ძლიერ გავრცელებული იყო დაბალ ხალხში და ალგაცებითაც მღეროდნენ“. დღეისათვის არსებობს დასახელებული ლექსის ოთხი თარგმანი, რომლებიც ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: 1. „მერცხალი“ – „წიწერნაკ“ (მთარგმ. ი. ბაქრაძე), 2. „სიმღერა უცხოეთში მყოფი ჭაბუკისა“ (მთარგმ. მაგმაძე [ილია ჭყონია]), 3. „წიწერნაკ“ (მთარგ. ე. გაფრინდაშვილი) და 4. „მერცხალი“ (თარგმ. დავ. გაჩეჩილაძე). ოთხივე თარგმანი თავმოყრილია გ. დოდოხიანის ლექსთა კრებულში<sup>1</sup>.

## 25. ჰოვანეს თათევოსის ძე თუმანიანი (1859-1923)

ქართველი ხალხისათვის კარგად არის ცნობილი სომეხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პ. თუმანიანის მხატვრული შემოქმედება. თუმანიანი წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებსა და ბალადებს. მის ნაწარმოებებში ასახულია სომხური სინამდვილისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტები, ხალხის ზნე-ჩვეულებანი, სომეხი ხალხის წარსული და აწმყო. თუმანიანი ოპტიმისტი მწერალი იყო. სწამდა თავისი სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ნათელი მომავალი.

<sup>1</sup> „ივერია“, 1904, 16 მაისი, № 115.

<sup>2</sup> გ. დოდოხიანი, თხზულებანი. წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და რედაქცია ივ. ბეგლაროვისა, ტ. 1, თბ., 1939, გვ. 227-233.

იოსებ ბაქრაძემ გადმოთარგმნა თუმანიანის ორი ლექსი: „მურისძიება მგოსნისა“<sup>1</sup> და „\* \* \*-ისას“<sup>2</sup>.

## 26. ანონიმი სომეხი ავტორი

ი. ბაქრაძეს სომხური ლიტერატურიდან გადმოუღია ანონიმი ავტორის პატრიოტული ხასიათის სამსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც ასე იწყება: „ჰოი, სამშობლოე, ტანჯვისათვის განაწირულო!“<sup>3</sup>.

## X. დასაღბენი ამბორები

მიუხედავად დიდი ცდისა ვერ მოხერხდა დაგვედგინა ორი უცნობი ავტორის ვინაობა და რომელ ლიტერატურას განეკუთვნებიან ისინი, ამიტომ საჭიროა ამ მხრივ კვლევა-ძიების გაგრძელება. ეს ავტორებია:

## 27. პლებგერი

იოსებ ბაქრაძემ 1878 წელს ი. რომანიძის უსევედონიით გამოაქვეყნა თავისი თარგმნილი ლექსი – „პლებგერიდამ“ („ვის გულშია გაბაფხული არ იმყოფება“)<sup>4</sup>.

## 28. ვალდაური

პოეტს თარგმნილი აქვს 4-სტროფიანი ლექსი, რომელსაც სათაურად წარწერილი აქვს: „ვალდაურიდან“ („მოწყენით ორი დამტყნარი ვარდი“...).

\* \* \*

იოსებ ბაქრაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ზოგადი შეფასებიდან ირკვევა, რომ მის მხატვრულ თარგმანებს თავის ღრობე გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, ღღეს კი,

<sup>1</sup> მურისძიება მგოსნისა (ოქანეზ თუმანიანის), „ივერია“, 1899, 11 აპრილი, № 79.

<sup>2</sup> იქვე, 2 მაისი, № 91.

<sup>3</sup> ი. ბაქრაძე, კრებული, 1938, გვ. 100.

<sup>4</sup> „ღრობა“, 1878, 13 ივლისი, № 139.

უმეტეს მათგანს მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს. ამ თარგმანებმა უდავოდ ხელი შეუწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მთარგმნელობითი კულტურის განვითარებას. ამასთან, მწერლის ქართულმა თარგმანებმა მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობას გააცნო დასავლეთ ევროპის მწერლები, რომელთა გარკვეულ ნაწილს ჩვენში მანამდე არ იცნობდნენ. ი. ბაქრაძის თარგმანებმა კიდევ უფრო გააძლიერა დაინტერესება უცხოური ლიტერატურის გასაცნობად, ხელი შეუწყო ქართული ლიტერატურული ამროვნების ევროპეიზაციას.

დასასრულ, ცნობილი რუსი მკვლევარი კულტუროლოგი პ. საკულინი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი რუსი პოეტი როგორც არის, მაგალითად, ვასილი ქუკოვსკი, ცნობილია უპირატესად თავისი თარგმანებითა და მიბაძვებით. სწორედ ამაშია მისი დამსახურება რუსული ლიტერატურის წინაშე<sup>1</sup>. არ შეეცდებით, თუ იგივეს ვიგყვით იოსებ ბაქრაძის მთარგმნელობით მოღვაწეობაზეც ქართული ლიტერატურის მიმართ.

\* \* \*

ცალკე უნდა გამოვყოთ ი. ბაქრაძის მოღვაწეობა დრამატული თხზულებების თარგმნის დარგში, რადგან მისმა თარგმანებმა თავის დროზე უდავოდ გაამდიდრეს ქართული თეატრის რეპერტუარი.

ცნობილია, რომ იოსებ ბაქრაძე ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს დაუახლოვდა მოწინავე საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ სცენისმოყვარეთა დრამატულ წრეს და უშუალოდ მონაწილეობდა წარმოდგენების დადგმაში და ზოგიერთ წარმოდგენაში ასრულებდა კიდევაც მსახიობის როლს. როგორც ჩანს, თავისი ბუნებით იგი თეატრალი იყო და სწორედ თეატრის სიყვარულმა მოაკიდინა ხელი უცხო ავტორთა დრამატული ნაწარმოებების თარგმნას.

ეს ის დრო იყო, XIX საუკუნის 70-80-იანი წლები, როდესაც ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდნენ ხელოვნებას და, კერ-

<sup>1</sup> П. Н. Сакулин, Филология и культурология, М., 1990, с. 38-40.

ძოდ, მწერლობას. მათ თეატრი ხალხის გათვითცნობიერების ერთ-ერთ უმთავრეს გზად მიაჩნდათ, თეატრს ისინი თვლიდნენ მასების იდეოლოგიური დონის ამაღლების ძლიერ გრობუნად და ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის საწინააღმდეგო მეგალ მოხერხებულ იარაღად, ამიგომ ყოველნაირად ცდილობდნენ თეატრი გადაექციათ ხალხის განათლებისა და აღზრდის საშუალებად. მზარდ მოთხოვნებს ეროვნული დრამატურგია ვეღარ აკმაყოფილებდა, ამიგომ სასცენო ხელოვნების გულშემატკივრებმა დაიწყეს პიესების თარგმნა რუსული და ევროპული ენებიდან. დრამატული ნაწარმოებების თავისი თარგმანებით მათ ერთგვარად გაამდიდრეს ქართული თეატრალური სამყარო.

თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული პერიოდის ქართული თეატრის საერთო მდგომარეობასა და ქართული ორიგინალური თუ ნათარგმნი პიესების სიმცირეს, გასაგები ვახდებთ, რომ უცხოელ დრამატურგთა თხზულებების გადმოღებით ი. ბაქრაძემაც გარკვეულად შეუწყო ხელი ქართული თეატრის განვითარებას.

რა თქმა უნდა, ი. ბაქრაძე გვერდზე ვერ დადგებოდა ასეთი მძლავრი ეროვნული მოძრაობიდან და იმანაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. ი. ბაქრაძემ უცხოური ლიტერატურიდან თარგმნა ვ. ალფიერის „ვირგინია“, კ. გუსკოვის „ურიელ აკოსტა“, ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი“ და „პაცის ჯალაბობა“. იგი ერთთავად ცდილობდა მსოფლიოში ცნობილ უცხოელ მწერალთა პიესებთან ერთად ქართულ სცენაზე დაწერგილიყო მეზობელი ხალხების – სომხების, აზერბაიჯანელების, რუსების და ა. შ. პიესებიც.

სწორედ მიუთითებს თეატრმცოდნე ალ. ბურთიკაშვილი, როდესაც თავის მონოგრაფიაში წერს: „ქართული თეატრის მაშინდელ რეპერტუარში მოძმე ერის დრამატურგს სუნდუკიანს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა, რაც აიხსნება ამ პიესების ღირსებით და აგრეთვე იმითაც, რომ ამ პიესების თემატიკა ახლოს იყო ჩვენს ცხოვრებასთან და მათში შუქდებოდა ჩვენი დედაქალაქის სხვადასხვა ფენების ცხოვრება“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ალ. ბურთიკაშვილი, ნაგო გაბუნია, თბ., 1949, გვ. 41.

გ. სუნდუკიანის პიესების ფართო აღიარებას საქართველოში ხელი შეუწყო აგრეთვე ცნობილი ქართველი მსახიობების ნატო გაბუნია-ცაგარლისა და მაკო აბაშიძის მიერ სცენაზე განსახიერებული როლების დიდი ოსტატობით შესრულებამ. „ქართული არგისტებით მოხიბლული დრამატურგი, ქართული თეატრის მუღმივი სტუმარი, მოძმე ერის მჭიდრო ურთიერთობის მოგრფიალე სუნდუკიანცი არაერთხელ მიმართაჲდა ხოლმე ნატოს და მაკოს „ჩემიპიესების სული თქვენთან ხართ“.

გარკვეული წელილი ამ საქმეში ი. ბაქრაძესაც მიუძღვის. იგი მეგობრობდა გ. სუნდუკიანთან და ეხმარებოდა პიესების ქართულად გადმოთარგმნაში. იოსების ცოლისდა ელ. მამულაშვილი-ვასაძე იგონებს: „თუმცა მან (იოსებმა, – თ.მ.) სომხური ენა არ იცოდა, მაგრამ სუნდუკიანცის შემწეობით დაიწყო სომხურიდან თარგმნა. როცა სუნდუკიანცი მოვილოდა ხოლმე მასთან და დაიწყებდნენ თარგმნას, ისე გაერთობოდნენ ხოლმე თარგმნაში, რომ ზოგჯერ ზედ დაათენდებოდათ, ისე გაიგაყებდათ ხოლმე თარგმნა“.

გ. სუნდუკიანის „ქეპოს“ პირველ ქართულ პუბლიკაციაზე დართულ შენიშვნაში ავტორი მადლობას უხდის რაფ. ერისთავს, ტერ-დავით იარაღიანსა და იოსებ ბაქრაძეს თარგმნის დროს დახმარებისათვის<sup>1</sup>.

გაბ. „ივერიაში“ დაბეჭდილი ნეკროლოგის ცნობით კი, იოსებმა თვითონ ავტორისავე დახმარებით თარგმნა შემდეგი პიესები: „ქეპო“, „კიდეე ერთი მსხვერპლი“, „ხათაბალა“ და სხვ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აღ. ბურთიკაშვილი, ნატო გაბუნია, თბ., 1949, გვ. 42.

<sup>2</sup> ლიგ. მუგ. ხელნ. № 20815.

<sup>3</sup> გ. სუნდუკიანცი, ქეპო. კომედია სამ მოქმედებად, თხზულება სომხურ ენაზედ გ. სუნდუკიანცისა, მისგანვე ქართულად ნათარგმნი, „ივერია“, 1880, № 3, გვ. 205-288. ერთ-ერთი წიგნის საკუთარ ეგზემპლარზე, სადაც აღნიშნულია, რომ 1878 წლის მაგისტრის საგარეჯოს თეატრში დაუდგამთ ი. ბაქრაძის ნათარგმნი სუნდუკიანის „ქეპო“, ი. გრიშაშვილს წიგნის არშიაზე მიუწერია: „თვით ავტორმა თარგმნა, ბაქრაძე დაეხმარა რაფ. ერისთავთან ერთად“ („ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი“, გ. I, ნაწ. 3, თბ., 1980, გვ. 173).

<sup>4</sup> „ივერია“, 1904, 16 მაისი, № 115.

გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ქართულ პერიოდ-იკაში უამრავი წერილია დაბეჭდილი იმდროინდელ თეატრალურ დადგმებზე, რომლებშიც დადებითადაა შეფასებული ი. ბაქრაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. დადგმული პიესების განხილვისას კრიტიკოსები და რეცენზენტები ყოველთვის იწონებენ და ქება-დიდებათ აღნიშნავენ მთარგმნელის დიდ დამსახურებას.

\* \* \*

როგორც აღვნიშნეთ, ი. ბაქრაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა არ შემოიფარგლება მარტო მხატვრული ლიტერატურით, ამიგომ არ შეიძლება ყურადღების გარეშე დაგვავიწყოს მისი გადმოთარგმნილი არამხატვრული ნაწარმოებები, მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო-პოპულარული და სხვა სახის ნაშრომები. წინამდებარე შრომაში არ ვიხილავთ ამ თარგმანებს, მხოლოდ ზოგადად ვეხებით მათ, რადგან ეს თარგმანები, ჯერ ერთი, მხატვრულ ლიტერატურასთან არაფრით არიან დაკავშირებული და, მეორე მხრივ, მათ ღღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული არიან.

სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების გადმოთარგმნაც, რა თქმა უნდა, სათანადო ცოდნას, უნარსა და გამოცდილებას მოითხოვს. ამიგომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ როდესაც საკითხი დადგა ქართულად გადმოეღოთ ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვ. პოგოს აღიარებული ნაშრომი — „საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო“, ი. გოგებაშვილს შეუკითხნენ, ვისთვის მიენდოთ მისი გადმოთარგმნა, უკანასკნელმა კი ბაქრაძეზე მიუთითა, როგორც კარგ, დახელოვნებულ მთარგმნელზე<sup>1</sup>.

